

780
1980

(6)

ಪ್ರವಚನ



1980
ಜನವರಿ-ಫೆಬ್ರವರಿ

1

ISSN 0184-8846



1980/2

780

ლ 0 0 6 0

N 1

11



თარგმანი რუმინულიდან

ლ 0 6 0 6

16513

სულ ხუთი ასო,
სულ უბრალო ხუთი ასოა,
მისი გვარი რომ
ამოქჟარგა, ამოაქსოვა.

სულ ხუთი ასო
მშობლიურად გვეხმეურება,
არუკლილია
შათში მთელი ქვეყნიერება.


სულ კრძალულ ასოს
უკვდავებით შესამკობარსა
ისე ვერწმუნეთ,
თვით ცხოვრების გვექცა კომპასად.

რა ბუნებრივად გვეჩვენება,
რომ იქაც, შორეთს,
ვარსკვლავსაც
ხუთი ქიმი აქვს სწორედ!..

□

არქონის საბ. საბ.
საბ. საბ. საბ. საბ.
საბ. საბ. საბ. საბ.

მეზღვენი



მხატვარი: ტარიელ ვართაგაძე

პიქტორ ასტაფიევი

დღეცისმარი



მ ო თ ხ რ ო ბ ა

თარგმნა ზეზუნა მელულაშვილმა

დიდი რუსი მომღერლის — ალექსანდრ პიროგოვის ხსოვნას

ფოთოლი ქალაქშიც ცვიოდა. ალვებისა მწვანედ ჩამოდიოდა, ცაცხვებისა — ყვითლად. ცაცხვისა ქუჩა-ფილაქნებზე იყო მიმოშანშლული, ალვისა კა ბეთა ძირებშივე ეყარა და ამობრუნებულს ნახორკლი რუხფრად გამოუჩნდა. შიუხედავად ხალხპრავლობისა, ხმაურისა და მიდმოოდისა, ქალაქსაც რალაცნაირი ნალველი დასწოლოდა, თუმცა ჯერ ცასაც შემოდგომური ნათელი ედგა და მზეც საკმაოდ ათბობდა.

სერგეი მიტროფანოვიჩი ტროტუარს მიუყვებოდა და საკუთარი ომბოხის კაკუნს აყურადებდა, რაც, მისი ფიქრით, ხნამალლა გაისმოდა ამ გნიასშემდგარ და მაინც თითქმის მიყუჩებულ ქალაქში. ცდილობდა ნელა ევლო და ხის ფეხიც ფოთლებზე დაეხეებინა, მაგრამ კაკუნი მაინც ისმოდა.

ტყის დასახლებიდან მას ყოველ შემოდგომობით იძახებდნენ ქალაქში საექიმო კომისიასე და ყოველ წელს წყენას თითო ნაწიბურს უტოვებდნენ გულზე. ამდენმა უსარგებლო საექიმო სინჯვამ, გულზე დაყურადებამ თუ თითებით კაკუნმა, რასაც ათას ცხრაას ორმოცდაათხს აქეთ ივინიერად ითმუნდა, ბოლოს და ბოლოს შეაყელთა კაცი. ექიმი აგერ ახლაც უსინჯავდა, ცივი თითებით ჭგვლემდა პირგადადებულად ნაკერ მის დამორილ ფეხს და სერგეი მიტროფანოვიჩმაც ველარ დაიოკა თავი:

— რათ, ჯერ არ გამზრდია?

ექიმმა თავი აიღო და აშკარად დამჩნეული უკმაყოფილებით შეეყითხა:

— რა თქვით?

აქამდე ნაგროვ-ნადუღარი ბრაზით ყელამდე მოყრილმა სერგეი მიტროფანოვიჩმა ხმამალლა გაუმეორა:

— ფეხზე გეკითხებით, ხომ არ გამზრდია-მეთქი?

მეზობელ მაგიდასთან მჯდარი შედდა, ავადმყოფობის ბარათებს რომ აესებდა, შემობრუნდა, ეჭვიანოდ მიაჩერდა სერგეი მიტროფანოვიჩს და მზერაში ცოტა არ იყოს ავი გაფრთხილება აისახა: აქ წყნარი დაწესებულებაა და, ინვალაღი ხარ თუ ვილაცა, მოდი, ჭკვიანად იჯექი; შენ თუ სადმე გადაგიყ-

ლურჯავს და ახლა ან მაგიტომ ან ისე, უბრალოდ, არევა გინდა — ნურას უკაცრავად, ტელეფონიც წინ მიდგას და 02-ის აკრეფაც ვიციო. ახლა მილიციას ბევრი ლაილია კი აღარ უყვარს, წამში გადაგხოტრავს თავს; ახლა, საყვარელო, ცოტა ჭკუით უნდა იყო.

მაგრამ მედღას არც ყურბილი აუღია, არც 02 აუკრეფია, თუმცა კი დიდი სიამოვნებით იზამდა ამას, რათა ეს დაღუშული და ჯაჯლანა მსუბუქებს ურთბელ მაინც დარწმუნებულიყვნენ მის უფლება-თანამდებობაში. გარდა ამისა, საბეჭდი მანქანის ამ მომამბეზრებელ კაქუნსაც ცოტა ხნით მაინც დააღწევდა თავს.

რა შეამჩნია, ინვალიდი გაჩუმდათ, ქალმა გამარჯვებული მზერა მოატარა მისაღებს, რომელიც თავისი ხუთკაუჭიანი საკიდით პატარა საბაზრო ფარდულს მოგაგონებდათ; არადა, ის ხუთი კაუჭიც ექიმებს დაეკავებინათ და პაციენტები სადაც მოხვდებოდათ, იქ აწყობდნენ ტანსაცმელს — სკამებზე ან პირდაპირ იატაკზე.

შეგიძლიათ ჩაიცვათ, — უთხრა სერგეი მიტროფანოვიჩს ექიმმა, თან სათვალე მოიხსნა და ხალათის ვალთით მინებს წინდა დაუწყო.

სერგეი მიტროფანოვიჩი ცალ ფეხზე ხტუნვით წავიდა კუთხისაკენ, სადაც მისი ომბოხი და ტანსაცმელი ეწყო. მოჭრილს ქვემოთ ჩამოკონწიალებულ საცვლის ცარიელ ტოტს მალლა-მალლა მიაფრიალებდა, სახვევები კი სკამებს ედებოდა და მაგიდებზეა გაშლილ ხალიბაზე მისთრევდა.

მაგიდებს შორის, როგორც მწყობრშუა ჩაეელოს, ისე იხტუნავა. საცვლის ტოტიც ასევე კონწიალით მოსდევდა. უომბოხობას შეუჩვეველსა და ერთორგან წონასწორობადაკარგულ სერგეი მიტროფანოვიჩს შიშით გაუელვა კიდევ, რომელიმე მაგიდას ხომ არ მიეეჭახე, მელანი ხომ არ გადაეაქციე, ვისმე თეთრი ხალათი ან ის გაკრიალებული მაგიდა ხომ არ დავუსვარეო.

როგორც იყო, კუთხეს მშვიდობით მიაღწია, სკამზე დაეშვა და დარბაზს თვალი მოავლო. კომისია თავისი საქმით იყო გართული. დარწმუნდა, რომ ამ ხალხისთვის ეს ყველაფერი ჩვეული ამბავი იყო და მისთვის არავის ეყურნა. სულ ბოლოს რომ გასინჯა, იმ ექიმსაც ქალაღდში ჩაერგო თავი და რაღაცას წერდა გამალებული.

სერგეი მიტროფანოვიჩმა ჩაიცვა, ომბოხი მოირგო და მაგიდისკენ წავიდა. ექიმი ჯერ კიდევ წერდა. მერე წამით წერა შეწყვიტა, სერგეი მიტროფანოვიჩს თავის დაქნევით დაჯდომა ანიშნა და სკამიც კი მიუცურა ფეხით. სერგეი მიტროფანოვიჩს დაჯდომა არც უნდოდა. მოთმინებით უცდიდა, მალე გასულიყო აქედან და პაპიროსი მოეწია.

იდგა და ფიქრობდა, რომ რაც წლები გადიოდა, კომისიაზე სულ ცოტანი და ცოტანილა ხვდებოდნენ ძველი ნაცნობი ინვალიდები. დიახ, მიდიან, კვდებიან ინვალიდები, პროცედურა კი ძველებური რჩება. ან ვინ იანგარიშებს, იმ საცოდავებს რამდენი დღით შეუმცირეს ისედაც დღენაკლული სიცოცხლე სწორედ ასეთი კომისიებითა და გასინჯვებით, სხვადასხვა ქალაღდებისათვის აქეთ-იქით გზავნითა და ათასგვარ რიგებში დგომა-ლოდინით.

ექიმმა წერტილი დაუსვა, დაწერილი მოწაფური ცისფერი საშრობით დააშრო და თავი ასწია:

— რაღას უდგახართ? — და მამინვე ბოდიშისა თუ ნდობის კილოთი წაიბურტყუნა: — ოჰ, ეს ჯღაბნა, სულ ჯღაბნა!..

სერგეი მიტროფანოვიჩმა ცნობა გამოართვა, ოთხად დაეცა, ცნობა—საფულეში, საფულე კი ბიჭაკის უბის ჯიბეში ჩაიდო; მერე ახალი, საქალაქოდ გამოყოფილებული კები, აქამდე რომ უხერხულად ჰქონდა იდლიაში ამოხრილი, სასწრაფოდ ჩამოიფხატა და ექიმს თავის დაკვრით დაემშვიდობა.

ექიმმა კბალმეხხრად გაუღიმა და ხელები გაშალა, ვითომცხემეცხემეში იდლია, კანონიაო, ძმაო.

სერგეი მიტროფანოვიჩმა პასუხად დაქანცული ღიმილი შეაგება, თითქოს თანაუგრძნობსო, გრძლად ამოიოხრა და გაბრუნდა. უხაროდა კიდევ, რომ ეს დავიდარაბა მეორე შემოდგომამდის მაინც აღარ მოუწევდა.

მეორე შემოდგომამდის კი ჯერ შორს იყო და წინათაც შორი ეგონა ბოლმე, თუმცა ფიქრში ხანდახან იმედიც გაუკრთებოდა, იქნებ ამ ერთ წელიწადში ცხოვრებაში რაიმე ცვლილება მოხდესო.

ქუჩაში გამოსვლისთანავე პაპირთსს მოუკიდა, ხარბად მოჭახა „პრიბოი“. შორჩა თუ არა, მაშინვე მეორეს მოუკიდა, ოღონდ უკვე დანჯად მიეტკბარუნა და ფიქრში თავს უსაყვედურა: „ხმა თუ ამოიღე, ბარემ ბოლომდის გეთქვა!... კანონიათ ასეთი!... შენ იტყოდი, მეორე გამოჩნდებოდა, მესამეც ამოგიდგებოდათ, ერთად იტყოდით, სადაც საჭირო იყო და გამოსცვლიდნენ იმ კანონს. კანონი რა, ქვა არის? თუ მთა არის? მთაც ხომ აუღიანთ ბოლოს და ბოლოს?!...“

მატარებლის მოსვლამდე ჯერ კიდევ დიდი დრო იყო და სერგეი მიტროფანოვიჩი კაფე „სპუტნიკში“ შევიდა. ჭიქა კისელი და ორა ულუფა სოსისი აიღო. ერთი სუფრაგადაუფარებელი, მაგრამ სუფთა და გლუვი, ღიაფერის ხაზებით როგორღაც აბლაბუდურ ყაიდაზე მოხაზულ-მოხატულა მაგიდა იბოვა და იმას მიუჯდა.

წიგნს ჩაპყურებდა. წიგნი სავსე იყო შიმშებისა და სამკუთხედების ჩანახაზებით, რაღაც ნიშნებითა და არარუსული ასოებით. ქალიშვილი წიგნს თავაუღებლივ კითხულობდა, ამავე დროს სოსისს მდოგეს უსვამდა, დანა-ჩანგალს ხმარობდა, ჩაის სვამდა და მაინც არაფერს აქცევდა მაგიდაზე. — ხედავ, როგორ ხერხიანად გამოსდის ყველაფერი? — გაუკვირდა სერგეი მიტროფანოვიჩს. თავად იგი დანას კარგად ვერ ხმარობდა, მაგრამ ქალიშვილი მის უგერგილობას ვერ ამჩნევდა და სერგეი მიტროფანოვიჩს უხაროდა ეს.

კაფეს ჭერზე ზოლიანი ფარნები ეკიდა. კედლები ცისფრად იყო შეღებილი და ცისფერზე იქათ-აქეთ ზოლები გაეფლოთ. ფანჯრებზე თხელი ფარდები ეკიდა — ისინიც ზოლიანი. ცისფერი, მქრქალი წვრილბინდი იდგა ირგვლივ. ფარდებს ქარი ეხლებოდა და ცოტაოდენ მაინც ინელებდა სამხარეულოდან მონადენ ხრაკის სუნს.

„რა სილამაზეა! ერთ რამედ ღირს!“ — აღნიშნა სერგეი მიტროფანოვიჩმა და წამოდგა.

— გაამოთ, ქალიშვილო!

ქალიშვილმა წიგნს თვალი მოსწყვატა და დაბნეულად მიაჩერდა:

— ოპ, დიახ-დიახ, გმადლობთ, — მერე დაუმატა: — გისურვებთ ბედნიერებას! — და ისევ წიგნში ჩარგო თავი, თან ჩანგალს უკვე მოცარიელებულ თეფშზე აფხაქუნებდა. „ასე კითხვა-კითხვაში შენ მთელი ხარი შემოგეჭმება“, — გაეღიმა სერგეი მიტროფანოვიჩს.

კაფეს მინის ვიწრო კარი ება. ის კარი ორმა ყმაწვილმა გაუღო. ორივეს

ერთნაირი, ღიაფერას, შემოდგომის კვალობაზე ცოტა არ იყოს თხელი პიჯაკი ეცვა. სერგეი მიტროფანოვიჩი აწრიალდა, აჩქარდა და უკვე გარეთ გასული თავს გაუბრაზდა, რადგან სიჩქარეში ყმაწვილებისთვის მადლობის თქმა და-ავიწყდა.

ქუჩაში კვლავ გახურებული ფოთოლცვენა იდგა. ჩუმად დასრულებულნი მანქანები, ზაფხულის ყაიდაზე ფანჯრებდაღებულნი რბილად დასრულებულნი ტროლეიბუსები, სკოლიდან ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ ჯერ კიდევ პეწშერ-ჩენილ ფორმისტანსაცმლიანი ბავშვები და მოჭთანტავდნენ ფოთოლსა და ქრიამულს.

სერგეი მიტროფანოვიჩი მოქანცული მიხანბაღდა სადგურზე, იყიდა ბილეთი, ჩამოჭდა სკამზე, ჯერ კიდევ რომ ეტყობოდა გადაღებილი ასთები „МПС“ და დაუწყოთ ლოდინი მატარებელს.

ჩამოდგა საგარეუბნო მატარებელი, საიდანაც ერთი ამბით გადმოცვივდნენ ჯგუფად შეკრული ჭაბუკები და ქალიშვილები — ერთიანად შარვლებში, საზღვარგარეთულ მოდაზე ნაკერ ქურთუკებში გამოწყობილნი და თმამოკლედშეკრეჭილნი თან ვერც გაარჩევდი, ბიჭი რომელი იყო და გოგო — რომელი. კალათებში სოკო ეყარათ, ვის — ათიოდე, ვის — უფრო ნაკლები, ოღონდ ცირცელი კი ყველას დაემტვრია და შოთხვითაც ყველანი იყვნენ პირმოგანგლულნი. მოსვლისთანავე ნაყინს დაესივნენ.

— „მეც ნაყინი ვიყიდო თუ დავლიო ცოტა?“ — გაიფიქრა სერგეი მიტროფანოვიჩმა, მაგრამ ნაყინისა მაინც ეშინოდა — წარამარა ანგინა სტანჯავდა; მერე კიდევ, გული, თორკმელი, ღვიძლი და, ღმერთმა უწყის, რაღა არ გაახსენებდა თავს.

„ეგ ომისგან, ომისგან დაგრჩა, მიტროფანოვიჩ“, — ეუბნება ხოლმე ცოლი. ცოლის გახსენებაზე სერგეი მიტროფანოვიჩს როგორღაც გული მოეფოლხვა და ხალხის შეუმჩნეველად პიჯაკის ჯიბე მოისინჯა. იქ ცელოფანის პატარა პარკში შექცალული ატმები ეწყო. მის ცოლს, პანიას, ყოველგვარი საჩუქარი უხარია. აქ კი ატამი იშოვება, წაუღებს და გაახარებს, მას ხომ თავის დღეში გემოდაც კი არ გაუსინჯავს ეს ხილი. ეს რა საკვირველებიაო, იტყვის: ალბათ ზღვის გაღმიდან თუ მოიტანესო: წაიღებს და დამალავს, მერე კი ქმარსვე გამოაჭმევს, რაღა თქმა უნდა.

სადგურს ხალხი მოემატა. ჭარმაგი კაპიტნის მეთაურობით გუნდად შემოვიდნენ თავგადახოტრილი ბიჭები და მათი გამცილებელი გოგოები. სადაც კი იყო, დაიკავეს თავისუფალი სკამები, ადვილი ყველას არ ეყო და სერგეი მიტროფანოვიჩსაც მოუხდა ჩაჩოჩება.

ბიჭებმა დაუდევრად მოისროლეს სკამზე არცოფ ძალიან გატენილი პატარა ზურგჩანთა, ზონრიანი სპორტული ჩანთა და ერთიც კიდევ, ლამაზი სურათებით მოჩითული, გერმანული სამხედრო ზურგჩანთის წანაგვარი ჩანთა.

სამი ბიჭი სერგეი მიტროფანოვიჩის გვერდით ჩამოჯდა. ერთი, სპორტული შალის კოსტიუმში რომ ეცვა, მაღალ-მაღალი იყო, თითქოს კედრისგან გამოკვეთილი, მეორე — კვერცხის გულივით ჩამრგვალებულ-ჩაქცალელებული, წამდაუწყუმ თავს იტყვევდა; თანაც, გაიხედავდი და, ორთავ ხელს საქოჩრეზე იტაცებდა — სადღა იყო ქოჩორა! მესამე — თავბერა და ტანმორჩილი — წყნარი ბიჭი ჩანდა. ამ ბიჭს რუსი ტურისტული ქურთუკი ეცვა, ქურთუკზე კი

ხუჭუჭთმიანი გოგო ჩამოჰკონწიალებოდა, რომელსაც მოკლე ქვედა კაბის გვერდზე მცირე ნარღვევი მოუჩანდა.

პირველს, როგორც მერე გამოირკვა, ვალოდია ერქვა. მას გიტარა ეჭირა და თავისდა უნებურად ბიჭებში თავსაცობდა. გოგო მასაც მოჰყვა — კარგად ნაპატიები, ცისფერ შარვალში და თითქმის შუა თეძოვებამდე ჩამოშვებულ სვითერში გამოწყობილი. სვითერს ცალხელივით ეღვა საყველთა და მისი ხელი იმ საყველოზე სცემდა სწორად ჩამოვარცხნილი, თეთრად შეღებილი თმა. ელაღს კი, ესკას რომ ეძახდნენ და ჭიანჭრობდა — ეესეი დამიძახეთო, ერთბაშად ოთხი გოგო ახლდა: ერთი მათგანი, ფერ-ჯილაკზე თუ განაჯიდიო, ესკას და იყო, დანარჩენები კი მისი დაქალები. ესკას დას ბიჭები „ტრანზისტორს“ ეძახდნენ, ალბათ გრძელი ენის გამო. მესამე ბიჭის სახელის გაგება ძნელი არ იყო: ქვედაკაბიანი გოგო, თხელ, ვარდისფერ კოფიაში რომ წყვილი კოკორი უთრთოდა, ტკიპასავით მიჰკროდა ბიჭს და იყო თუ არ იყო საჭირო, თავდავიწყებით შესძახოდა: „სლაეიკ!... სლაეიკ!...“

ამათში ერთი სალახანა ბიჭიც ერია, ჭრელეებიანი და ცალ სახელოზე სპილენძის საბნევიანი, ეოლოსფერი შარვალს ერთი წვერი დარდიმანდულად რომ გადაეგდო მხარზე. სახე მკვირცხლი და ცვალებადი მქონდა, მზერა — მჭიდვ და საზრიანი, ხელები კი დაუდგროსელი. აერგეი მიტროფანოვიჩმა ხელად დაასვენა: ეს ბიჭი ან ავარება ერთი იყო ან ე. წ. პლატიანი, რომელთა ვარდშეც ჯერ არ შემდგარა არც ერთი რუსული კომპანია.

კაბიტანმა როგორც კი მოაყვანა თავისი რაზმი, მამინვე სადღაც შორეულ სკანზე გაუფრდა, ოდნოდ იაეთი პოსტია კი ამოირჩია, საიდანაც ყველა თვალქვეშ ეყოლებოდა, თავად კი შეუმჩნეველი დარჩებოდა.

მშობლები ცოტას თუ მოჰყვნენ სადგურზე და ისინიც, სადღაც კუთხეში მიკუნჭულები, ჩუმად იწმენდდნენ ცრემლებს. ბიჭები არც ისე ნასვამები იყვნენ, მაგრამ ყატყატი გაჰქონდათ და დროდადრო ყანჩადაც იქცეოდნენ.

— ახალწვეულები ხართ? — ყოველ შემთხვევისთვის დაინტერესდა სერგეი მიტროფანოვიჩი.

— სწორედ ისინი ვართ! ნეკრუტები! — ყველას მაგონრად მიუგო ესკა-ფესემ და გიტარიან ამხანაგს ხელა აუქნია: — შიდა, ვალოდია!

ვალოდიამ ყველა სიმს ერთად ჩამოჰკრა მტევანი და გოგო-ბიჭებმაც დასცხეს:

შავი კატა, ხეპრე კატა!
 ეს ცხოვრება ატა-ბატა!
 ყველას — ყველა, მაგრამ კატას
 არაფერი მიე-მა-ა-ატას!

და მთელ დარბაზში ალთა-ბალთად აიტაცეს:

არაფერი მიე-მა-ა-ატას!..“

„დახე ამ შეჩვენებულებს — თავი გააქნია მიტროფანოვიჩმა. — სიმღერა ისეც უწმაწურაა, ესენი კი...“

მარტო სლაეიკა და მისი გოგო არ აპყვნენ სიმღერას. სლაეიკა დამნაშავედ იღიმებოდა, გოგო კი ქურთუკში შესძვრობოდა და გაუფრებელიყო.

„კატას“, თუმცა კი უხერხულა სიტყვით, მაგრამ მშობლებიც შეუერთ-

დნენ. არავინ მღეროდა „ღღვიანდელ ღღვსა უკანასკნელსა“. არ იყო გარმონი, არ მოსთქვამდნენ დედაკაცები, როგორც თმამდელ წლებში იცოდნენ გაცილებსას; კაცები საჩხუბრად არ იფოფრებოდნენ, ზედ არ იხევდნენ ხელთებს და არ იმუქრებოდნენ—ორად გაეგლიჯათ ყველაჯურა ნტერი და დივესანტი.

„კატიდან“ ანალგაზრდები გადავიდნენ რომელიღაც უკვე მთლად აბდა-უბდა სიმღერაზე და ფეხები ბრაგუნზე. ვალოდია თავდავიწყებულად და გიტარას, დანარჩენები კი ფეხებს იატაკზე აბრახუნებდნენ.

ჩიკ-ჩიკ, ჩა-ჩა-ჩა!

ჩიკ-ჩიკ, ჩა-ჩა-ჩა!

აქ უკვე ველარც სიტყვას გაარჩევდი და ველარც მუსიკას, მაგრამ ბიჭებსაც და გოგონებსაც ეხალისებოდათ თავისი უაზრობით რომელიღაც პირველყოფილ სიმღერას მინაგვანი ეს ალია-ბალია. ისინი იცინოდნენ და წივილ-კივილით ერთმანეთს აწყდებოდნენ; ვალოდია ღუნდრუცა გულსვარდის კი ტუფლებს ერთმანეთზე ურავუნებდა და როცა სწორად ჩამოშლილი, მინისებურად მბრწყინავი თმა თვალებზე ქუბზად ჩამოეფარებოდა, მაშინვე თავის გაჭრევით მხარზე გადაიყრიდა.

კაპიტანი პამიდორს პურს ატანდა. გაზეთი მუხლებზე გაეშალა და თითქოს არაფრის ბაიბურში არ იყო. მაშინაც კი არ ამოუღია ხმა. ბიჭებმა რომ ზურგჩანთიდან ნახევარლიტრიანი ანოაძვრინეს და მოყუდებით სმა დაიწყეს. პირველად, რაღა თქმა უნდა, კაპიტანი სალახანა ეცემოდა ხოლმე არაყს. მოყუდებით სმა მარტო მას შეეძლო. დანარჩენები, კაცმა რომ თქვას, უფრო თავს იმაიუნებდნენ და თვალდატყრეცილები ბოთლშივე იწუნებოდნენ. ესკა-ევსეი, მაგალითად, მოიყუდებდა თუ არა, ხელადვე უზარმაზარ სანაგვე ურნასთან მივარდებოდა, სლაფიკას კი პირველ ყლუშზევე დასცეცხლა და ცრემლები წამოაყრევინა. სლაფიკა გაბრაზდა და თავის გოგოს დაუწყო ბოთლით ტურტური.

— აჰა! (გოგო ძალღუთრა ერთგულებით შესჩერებოდა და ვერ გაეგო, რას მოითხოვდა მისგან სლაფიკა) გამომართვი! — ბრმული დაქინებით სჩრიდა ცხვირპირში ნახევარლიტრიანს.

— ოი, სლაფიკა!... ოი, შენ ხომ იცი, რომ... — ატიტიანდა გოგო, — მე უჭიქოდ არ შემიძლია.

— დამა ჭიქას ითხოვს! — წამოხტა ესკა-ევსეი და ჩანაცრულ სახეზე ცრემლი მოიწმინდა, — ამ წუთში იქნება! აჰა! — უბრძანა მან ბლატიანს.

ისიც მაშინვე ენა ესკა-ევსეის ზურგჩანთას და იქიდან პატარა თეთრი ჭიქა ამოაძვრინა, რომელსაც სახურავზე ვარდისფერი ქალი ეხატა. ყველ „ვიოლაზე“ დახატული ეს ქალი ძალიან ჰგავდა ვილიცას ან მას ჰგავდა ვილაცა. სურგეი მატროფანოვიჩმა უყურა, უყურა და უცებ დაიჭირა მსგავსება — ვალოდიას გოგო! რაც ნაღდია, ნაღდია!

— ყველი შეიქამოს! — გასცა განკარგულება ესკა-ევსეიმ, — ტარა დამას გადაეცეს! რაკი მას...

„მას, მას არ შეუძლია უჭიქოდ სვას...“ — ერთხმად აიტაცეს ბიჭებმა. ამ გამაწვილებისათვის, ეტყობა, სულ ერთი იყო, რას იმღერებდნენ და როგორ იმღერებდნენ.

ვალოდია გიტარას კი უბეჯითებდა, მაგრამ ეტყობოდა, ძალისძალიათი

მხიარულობდა; თავის ქალბატონს თითქოს ვერ ამჩნევდა, არადა მაინც ეძებდა თვალებით და იპოვიდა თუ არა, მაშინვე გაიცვივებდა სიფათს, ვითომდაც არც არაფერიო.

— ზო-რ-ბაა! — დაიხავლა პლატიანმა სალახანამ და თან ერთი უწმაწურიც მიაყოლა. ყველიანი თითქოს ლოკვაში გართულს უცებ შეჩვივდა; ისადაც არც არაფერიო.

ზიზ-ზიზ-ზიზ

— აბა, აბა! — ფიცხლად მიუტრიალდა მას სლავიკა.

— სლავიკ, სლავიკ! — მუჭლუგუნი დააყარა თავისმა გოგომ სლავიკას, მიახედა და მათკენ ქუშად მზირალი კაპიტანი დაანახვა.

— ცირკია, რაღა, ბიჭებო, ნაღდი ცირკი! — ჩხაოდა სალახანა, თითქოს ვერც ხედავდა და არც ესმოდა სლავიკასი, — ესეთივე ყველო, ჰა-ჰა-ჰა... — უშნო სიცილით დაიწყო მოყოლა მან, — ესეთივე ქილით, ჰა-ჰა-ჰა... სამშობიაროში მოიტანეს გადასაცემად... ახალმომშობიარებულმა ქალებმა კიდევ, ჰა-ჰა-ჰა... რომ ნახეს საფარებელზე დახატული შიშველა მზეთუნახავი, სულ მო-ი-თხიპ-ნენენ!.. კრემი ეგონა-ააათ!..

ბიჭების როზროზმა და გოგოების წიოკმა იქაურობა გააყრუა. ზოგი პირდაპირ სკამზე გადაიგდნენ ჩაბყირებული. მარტო ვალოდიას ქალბატონმა გაუძლო ცთუნებას, თუმცა კი წამიერად მასაც აუთახთახდა მკერდის დასტანბოები, რამაც ელვასავით გადაუარა სეიტერზე და ბარაქიან დაბაბქვეშ საყელოს ცალულიც შეუტოკა. სერგეი მიტროფანოვიჩმა პირი მიიბრუნა, როგორღაც უხერხულად იგრძნო თავი, აიღეწა.

— შენა, შენა, შენ რაღაზე იყავი სამშობიაროში? — სიცილში ენა ძლივს გამოიგნო ესკა-ეესკიმ.

— სხვა რაზე უნდა ვყოფილიყავი, — ეითომ სარცხელით თავი ჩაღუნა სალახანან და მარდის ფუნჯის თითზე ხვევას მოჰყვა, — აბორტის საქმეზე!..

ქალიშვილებს ღერმა გადაჰკრაო, უცებ მიხუმდნენ. სლავიკა წამოხტა, სალახანაზე გაიწია, მაგრამ გოგო მაშინვე ქურთუკის კალთაზე ჩამოეკანჭურა:

— სლავიკ! სლავიკ, გეხვეწები რა! ის ხომ ხუმრობს!.. — სლავიკა მორჩილად დაიღვენთა და თავისი გოგოს თავზემთ დაარბაზს მიაჩერდა, გოგო კი წინანდებურად ქურთუკის ქვეშ შეინაბა ჩიტივით.

ამასობაში ტიქამ ღობურად ჩამოიარა.

ვალოდიამ ტიქიდან ნახევარი მოსვა, მერე შოკოლადს, ხელადვე რომ დაუხვედრა ესკას ცეცხლივით გადადღადებულმა დაიკომ, წვერი წააკვნიტა და ტიქა მღუმარედ მიუტანა ცხვირთან თავის ქალბატონს.

— შენ ხომ იცი, მე ვერ ვიტან არაყს! — კარგა ხანს იბრანჭებოდა გოგო. ვალოდიას გაწვდილი ტიქა გოგოდ ეჭირა, ყვრიძალები თანდათან ეძაბებოდა და შავად ვადართხმული მისი წარბებიც ნელი-ნელ მიიხვეტებოდნენ წარბშესაყარისკენ.

— სერიოზულად, ვალოდენკა... პატიოსან პიონერულ სიტყვას... კარგი რა!..

მაგრამ მას ტიქა არ მოუშორებია და გოგომაც ორი საკლავიშე თითით ჩამოართვა.

— რანაირი ხარ, იცი?! ეს ხომ ცუდად გამხდის...

ვალოდია არც ამჩნევდა გამოხმაურებია და გოგომაც ბრაზიანად გადაინთქრია არაყი შეღებილ ტუჩ-პირში. ეს ამბავი ქალიშვილების ტაშით აღინიშნა.

ვალოდამ თავის ქალბატონს პირში მაშინვე ბურთივით ჩასჩარა კამფეტის ნარჩენი და გამხეცებულმა დასცხო ვიტარას.

«ე-ე, ყმაწვილო, კარგი სუნი არ უდის შენს საქმეს. ეგ შეიძლება ყაჭაზე და კონიაკზეა გაზრდილი, შენ კი არყით... ჰა?»

სერგეი მიტროფანოვიჩს სახელოზე ჩამოსწიეს და მიახედეს, სლავიკი-გო ჭიქას აწვდიდა.

— შესვით, თუ შეიძლება, ჩვენი ბიჭებისთვის... და... ყველაფრისთვის, ყველაფრისთვის! — მან სახე ხელებით დაიფარა და ძირში მოჭრილ ხესავეთ გადაესვენა მკერდზე თავის სლავიკას. სლავიკამ ხელად ქურთუკის ქვეშ შეიხიზნა გოგო და თავდავიწყებით დაუწყო ნანაობა.

«ეხ, შე ბოლოქანქალა, შე ბოლოქანქალა!» სერგეი მიტროფანოვიჩი წამოდგა, კეპი მოიხადა და მალლა თაროზე შედო.

ვალოდამ სიმებს ბრტყლივ ჩამოაფარა თათი, შეწვრიტა დაკვრა. მთლად გამოლენჩებულმა ესკა-ევსეიმ დასა და ყველა მის დაქალს ერთად გადაჰხვია ხელი. ამგვარნი ყოველთვის ყველასთან მეგობრობენ და ყველასთან ისე, ზერე-ქვერედ-დადგება დრო, ჩამოუჭროლებს ამ შენს ესკა-ევსეის რომელიმე გამოჯანდრული დედაკაცი, მოიტაცებს და მერე, დღევოველ და ყოველ წუთს სიცოცხლე უხდა უწამლოს, მე რომ არა, ცხოვრებაში შენს დაღუპვას კაცი ვერ გაიგებდაო.

— რა ვთქვა, ბიჭებო, — დაილაპარაკა სერგეი მიტროფანოვიჩმა და ჩაახველა, — რა ვითხრათ... ეს იმისა იყოს, რომ ჩვენს შვილებს ქუხილისა არ შინებოდეთ! ასე!... — თავს ძალა დაატანა და ჭიქა, შიგ რომ თეთრად დაცურავდა ყველის ნაწილები, დაგნოვნებით დაცალა, თან, თითქოსდა კმაყოფილებისაგან, ჩაარუყრუყა და ყელიც ჩაიწმინდა, რითაც ძალიან აღაფრთოვანა ბლატიანი.

— აი, კაცი! ეს ნაღდი მეომარია! — შესძახა მან და ძველბიჭური შინაურულობით ჰკითხა:

— ფეხი სად მოგძვრა?

— ომში, ბიჭებო, ომში, — თქვა სერგეი მიტროფანოვიჩმა და ბლატიანი სალახანასთვის არც შეუხედავს, კვლავ დაიხურა კეპი.

მას არ უყვარდა მოყოლა, სად და როგორ დაკარგა ფეხი, ამიტომაც ვაუხარდა, რომ მაშინვე ჩასხდომა გამოაცხადეს და ფეხს ამბავიც თავისთავად მოიხსნა.

შორეული სკამიდან კაპიტანი წამოდგა და ახალწვეულებს უბრძანა, გამომყევითო.

— ჰაიდა, ჩვენთან წამოდი, ძააკაცო! — გამოსძახა ესკა-ევსეიმ, — ერთად უფრო მხიარულად ვიქნებით, — თან ურალურ ხალხურ კილოზე უქცევდა და მაიმუნურად იღრიკებოდა, — მამები და შვილები! როგორც თანამედროვე ლიტერატურა ამტკიცებს, ჩვენს შორის კონფლიქტი არ არსებობს...

„განათლებული ლაწირაკები! ენავადლეტილები! ამათ ვერც ჩვენი ხახოლი ზემდეგი დაიურევბდა, ესენი თიფიანთი ლაზღანღარობით მასაც კი ამოიჭამდნენ...“

გახსოვდეს კარვად,
 ელოდე სალდათს,
 ელოდე სალდა-ა-ათს, ელოდე სალდა-ა-ათს... —

• უკვე როგორც საჭირო იყო, მაიმუნობის გარეშე, მღეროდნენ ბიჭები და გოგოები. ყველანი ერთად მიდიოდნენ, ხელიხელგადახვეულები. მარტო ვალოდიას ქალბატონი გამოპყოფოდა მარაქას, განაპირებულ მიბრძანდებოდა, ზონარგაყრილ სპორტულ ჩანთას მიიქნევდა და, როგორც სერგეი მიტროფანოვიჩი ფიქრობდა, ზრდილობისთვის და იკავებდა თავს, თორემ ავგონში აპყვებოდათ და მოხარულიც იქნებოდა, ახლავე გამოთხოვებოდა ყველას.

ვალოდია კვლავ გიტარას უბრაახუნებდა, დაბოღმილი ქალბატონისათვის ერთხელაც არ მიუხედავს.

სერგეი მიტროფანოვიჩმა ბაქანზე ფარდულს მოჰკრა თვალი და ომბოლის კაკუნით წიაშურა.

— თქვენ საით? — დაუძახა ესკა-ევსეიმ და მისი ამბანაგებიც შედგნენ. სერგეი მიტროფანოვიჩმა ანიშნათ, იარეთ, ნუ გეშინიათ, ამ წუთში დაგეწევიათ.

ფარდულში ორი ბოთლი უცხოური ვერმუტი იყიდა. სხვა ღვინო, შამპანურის გარდა, არ იყო, შამპანურზე ფულის ფლანგვა კი უსარგებლოდ მიაჩნდა.

ვაგონში რომ წევიდა, იმ კვამლში, აურზაურსა და სიმღერა-სიცილში უცებ გაოგნდა, მაგრამ მაშინვე კაპიტანს მოჰკრა თვალი და მისმა გამომეტყველებამ დაამწვიდა ძველი ჯარისკაცი. კაპიტანი ვაგონის სამოვართან მიმჯდარიყო, კვლავ გახეთი ეჭირა. კვლავ თვალქვეშა ჰყავდა მთელი ვაგონი და თავად კი თვალში არავის ეჩრებოდა.

— მტკიცეა ჯარისკაცული ძმობა! — დასძახეს გასასვლელში თავგადაბოტრილმა ბიჭებმა და ბაქანზე მდგარი ვაზიანი წყლის ავტომატებიდან წამოდებული თლილი ჭაჭები ერთმანეთს მიაჭახუნეს.

— მტკიცეა, თუმცა კი სამსახური ცოტა გაჭიანურდება ხოლმე!

— აა, კოცნაობთ? დამე მოკლეს და ვეღარ იმყოფინეთ, პა?

და მაშინვე დაამღერეს ტყბილ-მშობლიური, ამჩქროლენგული:

დამე მოკლეს
თვალზენ ღრუბლები...

„ეპ, ბღარტებო, ჯერ თქვენ რა იცით სამსახურისა! — გაეცინა სერგეი მიტროფანოვიჩს, — ჯერ არაფერაც არ იცით. ჯერ ჩადით ადგილზე! ეს კაპიტანი აქ ვიშვებთ ნებაზე, თორემ იქ ისეთ ჭანჭიკებს დაგიჭერთ, ძვრა ვერსაითა ქნათ!“
ბეელმა საფრონტო სიმღერამ შესძრა მისი გული და მაშინვე ბიჭებისაკენ გაეშურა, რომ მოწოლილი სევდა-ნაღვლისაგან თავი დაეღწია.

— ვალოდია! ესკა! სლავიკ! სადა ხართ, ბაჭებო? — სერგეი მიტროფანოვიჩი შედგა და წიაყურა, თითქოს ტყეში ყოფილიყო.

— აქა ვართ, აქა! ვაისმა ვაგონის შუა თაბოებიდან.

— ჩემი მარფუტაც ხომ არ არის მანდა? — იკითხა მან და თვითონაც შეიჭყლურტა გატენილ კუბეში.

— თქვენი, სამწუხაროდ, არ არის. ვაეხმინა ვალოდია, მას უფრო მეტად დაეტყო მოღუშულობა და უკვე აღარც მალავდა, უგუნებოდ რომ იყო.

— აი, ჯარისკაცუნებო, ეს ჩემგან იყოს, ამით გაგაცილებთ! — თარომაგიდახე ბოთლი ჯახუნით დადგა სერგეი მიტროფანოვიჩმა.

— ოპ, რატომ წუხდებოდით? — ერთხმად იუარეს ბიჭებმა და გოგოებმა, ყველამ, ბლატიანის გარდა, რომელსაც, რაღა თქმა უნდა, უკვე მოესწრო სადღაც დამატებით გადახუხეაცა და ფანჯარასთან, წინა კუთხეში მოყუჩებაც.

მას კები თვალეზუ ჩამოსცურებოდა, შარფი კი მალა დაეკიდა კაუჭზე, რითაც დანარჩენებს ადვილის დაბევებას აუწყებდა.

— ჯიგარი ხარ! — ქცევა მოუწონა ბლატიანმა სერგეი მიტროფანოვიჩს და ბოთლს ხელი დასცა; — ამისი ბურღლაც აღარ იქნება მალე!..

— კორპსაძრობი ვისა აქვს? — კუბეში დამდგარი ხმაური დაეძრებოდა კას დამ.

— რად გვინდა კორპსაძრობი? გადმონაშთაა და მეტი არაფერი! — თვალის ჩაუკრა მას ბლატიანმა და, როგორც ციყვმა თხილს ჩენჩო, ბოთლს ისე მოაძრო კბილებით მოსჭრული ჩაჩი, მერე კორპი თითით ჩააგდო ბოთლში, — მორჩა, სულ ეს არის! შენ კი, სულელო, გეშინოდია! — თან, თვითკმაყოფილმა, ერთხელ კიდევ ჩაუჩხლაკუნა თვალი ვსკას დას. ძალიან კი ეთვლებოდა იგი ამ გოგოს, მაგრამ არ გამოსდიოდა, გოგო ცუდად დაფარული ზისლით ეკიდებოდა და თავი შორს ეჭირა. ერთხელაც, როცა, ცოტა არ იყოს, თავს გავიდა, გოგომ მკაცრად მოუჭრა:

— აბა, აბა! დაიმოკლე შენი დაუბანელი თათები!

მანაც დაიმოკლა, მაგრამ, ეტყობა, გოგოს ნათქვამი ერთ ყურში შეუშვა და მეორედან გაუშვა. ცოტა ხნის მერეც, ვითომ შემთხვევით, ხან მუხლებზე აღებდა ხელს, ხან ცოტა მალა და გოგოც მოშორებით გადაჯდა.

ბაქანზე გამოაცხადეს: „ორმოცდაათხმეტ ნომერ მატარებლის გამგზავრებამდე რჩება ხუთი წუთი. მგზავრებს ვთხოვთ...“

სერგეი მიტროფანოვიჩი და კებიანი ძველები უცებ წამომხტარმა ბიჭებმა და გოგოებმა ცალ მხარეს მიხშირეს. ესკა-ეცსეი დასა და დის ამხანაგებს გადაეხვია. ისინი ტიროდნენ, იციანოდნენ, ესკაც ტიროდა და იცინოდა. ვარდისფერკოფთიანი ქალიშვილი სლავიკას მკვდარავით მიესვენა და ისე ჩაეჭიდა, იტყოდი, გაშვებას აღარ აპირებსო. აქამდისაც არა ერთხელ ნამტირალევ, ცრემლით ჩარეცხილ სახეზე ახლაც ღვრად ჩამოსდიოდა ბავშვური, კუნწულ-კუნწულა ცრემლები და კოფთაზე რუბ ზოლებად აჩნდებოდა. გოგონას იპონელი ქალის ყაიდაზე მოეხატა თვალეზი და ცრემლს საღებავიც ჩამოჰქონდა.

— ნუ ღრიალებ, ნუ ღრიალებ-მეთქი! — ხმაჩამხრჩვალი ბურტყუნებდა სლავიკა და გოგონას ანჯღრევდა, რომ ცნობაზე მოეყვანა, — ზომ დამპირდი, არ ავღრიალდებიო!

— კარგი, აღარ ვი... კა-ჰა-არ-გი-ი...

— უყურე შენ! — გადაიხარხარა ბლატიანმა, რაკი თავი ყველასაგან გარიყულად იგრძნო, — ალბათ იმნაირი ურთიერთობა ჰქონდათ და... იმდულრება ახლა... ეშინია...

სერგეი მიტროფანოვიჩი მას ყურს არ უგდებდა. იგი ვალოდიას და მის ქალბატონს უყურებდა და ეცოდებოდა ვალოდია.

— იმსახურე, ვალოდია, დაიცავი სამშობლო... — შეღებილი ტუჩებით ვალოდიას მიეკრა იგი. მერე იდგა და აღარ იცოდა, რა ექნა ან რა ეთქვა, მხოლოდ მალი-მალ, ნერვიულად გადაიქნევდა ხოლმე თავსა და თეთრ, ნაფერებ თმას მხარზე გადაიყრიდა.

ზემო თაროზე ხელგადაწყობილი ვალოდია ფანჯარაში იყურებოდა და არაფერს ამბობდა, მარტო თითებით აკაკუნებდა თაროზე.

— თუ სურვილი გექნება, მოიწერე, ვოვა, — უთხრა ქალბატონმა და.

ხალხით გაქედილი გასასვლელისაკენ მიბრუნდა: — რა ხმაურია, რა აურზაურია!.. ყველგან კიდევ ეს რახის სუნი!...

— მორჩა! — ბოლოს და ბოლოს ამოთქვა ვალოდია. მან შეატრიალა თავისი ქალბატონი, გასასვლელისაკენ წაიყვანა და მისივე მხარზე მოუდგინა წიხი გადასძახა: — მორჩით, ბიჭებო!

ბიჭებმა და გოგოებმა ვაგონიდან გასვლა იწყეს, სლავიკას გოგო კი უცებ სკამზე დაჯდა:

— არ წავაა-ააა...

— რაო, რაო?! — ქორივით დააცხრა სლავიკა, — თავსა მჭრი, არა? მარცხვენ, ხომ?...

— თუნდაც ასევე...

— მუცელი დაიდო, ნაღდია! — აცქმუტდა მაგიდასთან ბლატიანი, — ელოდე, სლავიკ, პატარა ჯარისკაცს შეიძლება, ჯარისკაც გოგოსაც!...

— გოგონი, გოგონი!.. წადი, შვილო, წადი, დაემშვიდობე, როგორც რიგია... თორემ ამ ძვირფას წუთებს ტირილში ჩაატარებ და მერე თვითვე ინანებ...

სლავიკამ მადლიერად შეხედა სერგეი მიტროფანოვიჩს და გოგო ავადმყოფივით გაიყვანა ვაგონიდან.

„მუდამ ერთი და იგივე მეორდება, — ხელებზე თავჩამოყრდნობილი მწარედ ფიქრობდა სერგეი მიტროფანოვიჩი, — განშორება და ცრემლი, განშორება და ცრემლი... ოქროს წლები — ყაზარმაში, სულ სამხედრო წესდების ფარგლებში სუსტი სული კიდევ, ერთხელ რომ დაყალიბდება, ასევე დაბეჭდილ-გაქვავებული რჩება მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე...“

— იქნებ ცოტა გადაგვეკრა, სანამ სტილიაგები მოვლენ, ჰა? — შესთავაზა მარტოობით შებეზრებულმა ბლატიანმა და მოუთმენლად მოისრისა ხელები.

— თუ დაღვევაა, ბარემ ყველამ ერთად დავლიოთ.

მატარებელი დაიძრა. მოიბრინა სლავიკამ, აძვრა მაგიდაზე და დიდი თავი ფანჯრის ვიწრო ღიობში გაჰყო.

მატარებელი სვლას უმატებდა და გვერდით, როგორც ოდესღაც, სირბილით მოსდევდნენ გოგოები, ქალები, დედები; ბაქნიდან ხელის ქნევით ემშვიდობებოდნენ მამები და პაპები, მატარებელი კი სულ უფრო და უფრო იკრებდა სიჩქარეს. ესკას დაც მატარებლის სიჩქარის კვალობაზე უმატებდა სირბილს და ეღალი თმის ფრიალით რალაცას მოჰყვიროდა ძმას. ვალოდიას ქალბატონი ცოტაზე კი აჰყვა მატარებელს, მაგრამ მალევე გაჩერდა, მხოლოდ ხელსდა აქნევდა ნარნარად, გედის ფრთასავით.

ყველაზე შორს სლავიკას გოგომ გამოსდია მატარებელს. ბაქანი რომ მორჩა, ლიანდაგებზე გადახტა. ვიწრო კაბა სირბილში უშლიდა, ბორძიკობდა, მაგრამ მაინც ცდილობდა დაეჭირა სლავიკას ხელი.

— დაეცემი! ნუ მორბიხარ, დაეცემი! — უყვიროდა იგი ფანჯრიდან.

ისართან მატარებელი შეზანზარდა, რკალივით გაიხარა და გოგონაც ვარდისფერი ჩიტივით მიჰფარდა მოსაზვევს.

სლავიკა ტომარასავით ჩამოეკიდა ფანჯარას, ხელები ფანჯრის გარეთ მოწყვეტით ჩამოსცვივნოდა, თავს კი სქელ ჩარჩოზე ახლიდა.

ბიჭები ისხდნენ დაბნეულები, დათვინიერებულები, სრულებითაც არა

ისეთნი, როგორც სადგურზე. ყველა ჩემად იყო. ბლატიანსაც კი მოეკეტა ყბა და არ ცქმუტავდა მაგიდაათან, თუმცა წინ ხელუხლები ბოთლი ედგა.

ვაგონს გამყოლმა ქალმა ჩამოუარა ცოცხით, მოჰგავდა და მოაწვევლავ ზოდა. სქლად შეცურავდა ფანჯრის ლიობში თამბაქოს ბოლი და ზუსტუნებდა ელნაფლის რკალი. აი, ხიდის ნეკნები გადათვალეს ვაგონის თვლებმა, გადაიარეს შდინარე. დაიწყეს საავარაკო გარეუბანა და ისიც შეუმჩნეველად გაიშვეფა ტყე-მანდვრიანებში. მატარებელი თანაბარ სიჩქარეზე გადავიდა, აღარც საყვირი ისმოდა, აღარც ვაკერა-გაზანზარება იგრძნობოდა, თანაც მიდიოდა, თითქოს მიფრინავდა უკვე და ხალხს შორი წგზავრობისათვის განაწყობდა.

ესკა-ევსეიმ ვეღარ მოითმინა:

— სლაეკა! სლაეკა!.. — შარვალზე ჩამოჰქაჩა ამხანავს, — ასე იქნები დანიშნულების ადგილამდე?

სლაეკამ კისერი მოაბრუნა, თავი გამოიღო, თავის კუთხეში მიიკუნჭა და ყურზე ქურთუკი აიფარა.

სერგეი მიტროფანოვიჩი წეიფერთხა, ბოთლი გადმოიღო და ყველიან ქალაღდის ჭიქას დაუწყო ძებნა.

— რაო, შაითნებო, რა ცხვარი ჩამოუშვით? თქვენ რა სასაყვდილოდ მიდინართ თუ როგორ არის თქვენა საქმე? მოდიოთ, ცოტა დავლაოთ, წავისაუბროთ, თუნდაც ვიმღეროთ, ასე არა სჯობს? თქვენი „კატა“ მე არ ვიცი, ჩვენს საყვარელ სიმღერას კი როგორმე მოვახერხებ.

— ნამდვილად! — გაინძრა ესკა-ევსეი და სლაეკას ყურზე ქურთუკი ჩამოაძრო, — შენ რაღა მოგივიდა?! ვალოდ! ბიჭებო! გაცმა პატივი დაგვდო, ხნიერმა, უფებოზ... აბა!

„ეპ, ჭაბუკო, ჭაბუკო, — ამოიოხრა სლაეკას შემხედვარე სერგეი მიტროფანოვიჩმა, — ეგ არაფერია, ყველაფერი გაავლის. ნწუხარება ის კი არ არის, რაც უკან დარჩა, ნამდვილი მწუხარება ჯერ წინა გაქვს...“

— მაგას ჯერ მოეშვით, — უთხრა მან ესკა-ევსეის და როცა, როგორც იქნა, ერთი დაჰყუეტალი, ცალ მხარეს გამსკდარი ჭიქა იპოვა, ხმამაღლა დაუმატა: — დაე, კარგი ზემდეგა შეგხვედროდეთ!

— შოიცადეთ! — გამოფხიზლდა ვალოდია, — ჩვენ ხომ ტოლჩები, კოვზები, საქმელიცა და ყველაფერიც გვაქვს. სადგურზე ცოტა წავიმასხარავეთ — უკვე სრულიად ფხიზელის სიცილით გაიცინა მან, — ახლა კი, მოდიოთ, როგორც ადანიანებს შეეფერებათ!..

ახლა უკვე აღამიანურად დაიწყეს სმა და საუბარი. განცდილმა დაშორებამ ბიჭებს უბრალოება დაუბრუნა, უფრო ნისადგომელნი გახადა ისინი. აღარც ხალხსა უცხოობდხენ და აღარც დიდგულობდნენ.

— მეც მომაწოდეთ! — თავისი კუთხიდან გამოძვრა სლაეკაც, ღვინის აწხეფებითა და ბუყბუყით, ხრჩობა-ხრპობით, როგორც იქნა, გამოსცალა ჭიქა, გულიანად გადაისროლა და ისევ წაიფარა ყურზე ქურთუკი.

ისევ მიეძალნენ ბიჭები ფეხის გამო. სერგეი მიტროფანოვიჩი უკვე უფრთხილდებოდა ბიჭების ამ გულითად დამოკიდებულებას და თავპატივი აღარ დაუწყია, მოპყვა, ბრძოლისათვის მოუმზადებელ ჩვენს არტილერიას ერთხელ რა მოულოდნელად შემოუტია მტერმა ტანკებითო.

მთის კალთაზე ფიჭვნარის კედელი ატყორცნილიყო, მაღალი, ამიერკარპატის ფიჭვნარისა. გამოსათოფ სექტორს ბრძოლის დროსვე კაფავდნენ. ბატა-

რეის ორი გათვლა ფიჭვებს ხერხავდა, ორს კი ქვემეხები უნდა მოეტრიალებინა. ტყის პირას გატანილი სათვალთვალო პუნქტიდან ძალიან აჩქარებდნენ, მაგრამ ფიჭვები მსხვილი იყო, ორნი ხერხავდნენ და ცუდი ოთხის მეტი არა ჰქონდათ. სიცივის მიუხედავად, უპერანგებოდ მუშაობდნენ, თველი, ღვარად ჩამოსდიოდნენ. სათვალთვალო პუნქტიდან ემუქრებოდნენ, დედას აფხვებდნენ და ბოლოს დაუღრიალეს კიდევ:

— ტანკები ზედ მოგადგენს! გადაგსრესავენს! მიბრუნითი ცეცხლი!

ცეცხლის გახსნა კი არ შეიძლებოდა, ქვემეხების წინ ჯერ კიდევ ხუთი ფიჭვი მაინც იყო წასაქცევი. მაგრამ ომი იმის თმია, რომ ხშირად შეუძლებელი უნდა შექდო.

დაუშინეს გამალებული ცეცხლი. სერგეი მიტროფანოვიჩი რომ მეთაურობდა, იმ ქვემეხიდან გავარდნილი ყუმბარა მოხვდა მოუჭრელ ფიჭვს. ახლო აფეთქებას გამო გადაბრუნებულმა მოკლე ქვემეხმა მთელი გათვლა ქვეშ მოიყოლია, გვერდით მდგარი მეთაური კი პაერში აიტაცა და მიწაზე დაანარცხა.

გონზე მხოლოდ ლაზარეთში მოვიდა, აღარც ფეხი ჰქონდა, აღარც სმენა და ენაც წართმეოდა.

— აი, ასე მორჩა ჩემი მეომრობა, ბიჭებო.

— ნახე, რა ყოფილა? ჩვენ კი გვეგონა... — დაიწყო ესკა-ევსეიმ.

სლავიკამ ქურთუკის საყელოდან ცხვირი გამოყო და განცვიფრებით შეაღებდა სერგეი მიტროფანოვიჩს. ტირილისაგან დასიებული თვალები ჩასცივებოდა და თავიც როგორღაც უფრო დიდი უჩანდა.

— თქვენ კი გეგონათ, ფეხით ამბრაზურა დავფარე, არა?

— ცოლმა, ცოლმა თუ მიგიღოთ, როგორც საჭიროა? — ხმა ამოიღო ვალოდიამ, — დაჭრის შემდეგ-მეთქი, რა თქმა უნდა.

— აბა, როგორ? მაგას რაღა ლაპარაკი უნდა. მოვიდა, ლაზარეთში მინახულა, წამიყვანა. ყველაფერი კარგად, პატიოსნად! — სერგეი მიტროფანოვიჩმა პირდაპირ შეხედა ვალოდიას.

მას ფიქრადაც კი არ გაუვლია არასოდეს, რომ პანია არ მიიღებდა. ასეთი ამბავი არც ლაზარეთში სმენია. სამოვრებივით უხელფეხო ხეიბრებსაც კი არ დასცდენიათ რაიმე ამგვარი. იქნებ მალავდნენ, რა იცის კაცმა? თავისი უბნის დედაკაცებისაგან კი, მერე და მერე, მოუკრავს ყური, ამა და ამ უნამუსომ ხეიბარი ქმარი მიატოვაო, მაგრამ არც მათი ჭარტალი სჯეროდა. წიგნებშიაც წაუკითხავს ასეთი ამბები, თუმცა ქალადი ხომ, როგორც ამბობენ, ყველაფერს იტანს.

— ქალი, ჩვენი რუსი ქალი ხეიბარ ქმარს არ მიატოვებს. ჯანმრთელს, კიდევ პო, შეიძლება თავის ქეიფზე მოეჭყეს, ისიც—თუ მოთმინება დაკარგა, ხოლო ხეიბარი და ობოლი რომ მიატოვოს, ეგ არ იქნება! ჩვენი ქალი, ჩვენი დედაკაცი ნამდვილი ადამიანია ყოველთვის და საუკუნოდ! თქვენც, ახალგაზრდებო, ცუდს ნუ იფიქრებთ მასზე. აი, შენი, მაგალითად, შენი, — მიუბრუნდა სერგეი მიტროფანოვიჩი სლავიკას, — შენი გულისთვის ცეცხლში და წყალშიც კი...

— მოდიტ, გაკოცოთ, რა! — მოვრალივით დაიდრიალა სლავიკამ და მიეკრა სერგეი მიტროფანოვიჩს. მას კი მოუწონდა სლავიკასთვის თავზე ზედი ღადესვა, მაგრამ ვეღარ გაბედა და შეძრულადლა წაიბურტყუნა:

16513

ბ. ანდროს სპბ. სპბ.
სსს. ანდროსი
რ. ს. ანდროსი
მ. მ. ანდროსი

— ეხ, ბავშვები ხართ, ბავშვები! მაშ, ვიმღეროთ, ჰა, არწივო? — მიუბრუნდა იგი ვალოდიას, — ვაგონში პატარა ბაღლი ხომ არაეინ არის?

— არ არიან, არა, — აყაყანდნენ ახალწვეულები, — თითქმის მთელი ვაგონი ჩვენებსა აქვთ დაკავებული, — მიდი, ძიაჯაცო!

კილოზე და ღინილზე სერგეი მიტროფანოვიჩმა შეატყუა კერვა მთვრალი ეგონათ და ახლა ელოდნენ, როგორ გააბამდა იგი ან „ოი, რიაბინა — რიაბინუშკას“ ან კიდევ „მეტყვიამფრქვევედ დავიბადე, მეტყვიამფრქვევედვე მოვკვდებო“.

მან ცერად გახედა ჭაბუკებს, ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა, მერე მკერდის-მიერი და ბუბუნა ხმით, სათადარიგო პოლკის ასეულში მომხახნელად ყოფნი-სას, იმ ქარ-ყინვებშიც რაღაც საოცრებით რომ არ გაუფუჭდა და დღემდისაც ხალასად მოჰყვა, რბილად დაიწყა:

დღეცისმარი თუ
ღამეცისმარი...

შემწყნარებლობა, დამცინავი მზერა ყმაწვილების სახეზე ერთბაშად წაიშალა, ნაცვლად აისახა შეცბუნება და ის-ის არის გაღვიძებული ყურადღე-ბა. მან კი იმავე ნდობითა და საუბარში გართულის თავდავიწყებით განაგრძო:

ჩემი ფიქრი ხარ, ჩემი სიზმარი...

ამ ადგილას მან თვალემა ოდნავ მინაბა. იჯდა არა გვერდზე გადახრილი, არამედ მუხლებზე ხელებდაწყობილი, ბიჭებში ცოტა წალუნული, მინაქროლი მატარებლის რხევაზე ისიც ირხეოდა და ჩაიხშო რა გულის მძაფრი ამოკვივი-ლი, უკვე სულ ნელა, რომელიღაც შინაგან სიმზე დაამთავრა შესაგალი:

ჩემებრ გან არის შენთვის მწაურვალი?
ჩემებრ ვინ განდოს ვული მხურვალი?
ჩემებრ ვინ გიოხრას: „ჩემო ძვირფასო!“?

მის ხმაში, რომელშიც ვერ დაიჭვრდით ვერც დღეული გაგრიის უხეშო-ბასა და ვერც სწავლით შექენალ სინატიფეს, გამოსჭვიოდა მთელი მისი ხა-სიათი, მისი სული — დამყოლი და ალერსიანი. ის გადმოვიწლიდა მთელ თა-ვის არსებას და იდასტურებდი, რომ არ იყო მასში არავითარი სიბინძურე, სიბნელე და შენიღბული ხვანჯები. ოდნავ მოჭუტული მისი მზერა შერბილე-ბული იყო დროით, დაღლილობითა და ცხოვრების იმგვარი წვდომით, რაც ხელეწიფვით მხოლოდ ადამიანებს, რომელთაც შეიცნეს სიკვდილი. უსმენდი სერგეი მიტროფანოვიჩს და კაცი აღარ იყავი მარტოსული, მხრალივით გცილ-დებოდა ყოველდღიური წვრილმანობის ლექი და ყაბყა, ვინდოდა გეძმო მოყ-ვასი, ჰყვარებოდი და გყვარებოდა.

უკვე აღარც ბიჭებისთვის არსებობდა გერხვის ომბოხიანი ხეიბარი მაუ-დის ძველმოდურ პიჯაკში და ყველა ღილზე შეკრულ, ცერად ჩატრილსაყე-ლოიან ცისფერ ხალათში; აღარცთუ შემელოტებული და შეჭალარავე-ბული საფეთქლები ეტყობოდა, აღარცსად ნაოჭები — აგრერიგად რომ არ უბ-

დებოდა მის ახალგაზრდულ გამოქვეყნებას, და აღარც შეუად დასერილ-დაკოყრებული ხელები.

ბიჭებს ახლა ძნელოდ ახალგაზრდა, ორდენებ და შედლები წარმოვიყვებოდა.

ჯერ თავადაც კი, როგორც კი დაიწყებდა ამ სიმღერას, როდის მოსმენილსა და სიტყვა-პანგიტაც თავად მისგანვე გადასხვაფერებულს, თავის თავს წარმოიდგენდა ყოველთვის იქ, თავისი ბატარეის გათვლაში, წარმოიდგენდა ახალგაზრდა, ჯანმრთელსა და ქორიან მეთაურს, ყველასგან პატივცემულს არა მარტოდენ სიმღერისა და დამყოლი ხასიათის გამო.

გარდა ამისა, ბიჭებს ანცვიფრებდათ ერთი რამეც: ასეთი ხმის პატრონი კაცი როგორ შერჩა სადღაც მყარუბულ დასახლებაში? არაერთხელ ყოფილან ეს ბიჭები თავიანთი ქალაქის საოპერო თეატრში, მოუსმენიათ იქ ბებრუხანა ქალების ჩხავილიც, ღიბიანი კაცების ბლაგილიც და იმასაც მიმხვდარან, რომ ლუკნა-პურას საწოვნელად ამ ხალხისთვის სხვა ადგილი უფრო უბრალო იქნებოდა, მაგრამ ზელოვნებაში, ჯარისკაცების ახანოსი არ იყო, თავისუფალი სკამები არ მოიძებნება. ჰოდა, რას იზამ, მღერის სადღაც სერგეი მიტროფანოვიჩის მაგივრად ყურნაკლული, ყურისწამლები და ხმაჩახლეჩილი ვინმე. ეს კი — ეს კაცი, — რაც შრომა-წვალებით არ მოუპოვებია და მხოლოდ ღვთით დაპყვებებია, იმის ფასი რომ არ იცის, — თავის ნიჭიერებას ეკრძალება და მღერის ერთი მაშინ, როცა გული სთხოვა, ერთიც კიდევ — სხვას რომ გული ჩაუდგას; მღერის უბრალოდ, არც თავის ნიჭს ამონავეებს, არც თავს იქცევს ანით.

არავინ ისე არ ფანტავს თავის ნიჭიერებას, როგორც რუსი ხალხი. რამდენი ჩვენი ბუღბული ტყუილუბრალოდ დახარჯულ-დაკარგულა მეეტლის კოფოზე, ჯარისკაცულ მწყობრში, გამტყვრალ ღრეობაში, ყინულოვან სიმარტოვეში თუ რუსეთის გადაქაჯულ ადგილებში? ვინ იცის, რამდენი...

... მიკაკუნებდნენ თვლები და ვაჭონი ერთთავად ცალ მხარეს კოჭლობდა.

სერგეი მიტროფანოვიჩმა სიმღერა დაამთავრა და, როგორც იჯდა, ისევე დარჩა მაგიდას ქვეშ ომბოხგაწვდილი. ხელებიც, სრულებითაც რომ არ წააგავდნენ მის ხმას და ფრჩხილის ძირებში ანაქერცლებით, ნაჭრევებითა და ნაკაწრებით იყვნენ დაჯირჯვლებულნი. წინანდებურად განისვენებდნენ მუხლებში. მხოლოდ სახე გაუფერმკრთალდა, რამაც გამოამჩნია მოუპარსავი ადგილი ქვემო ტუჩის ქვეშ, თვალები კი ისევ შორს, შორს ჰქონდა მიპყრობილი.

— დიას! — გააგრძელა ესკა-ვესეინ და თავი გაიჭ-გამოიქნია, თითქოს ქორის გადაგდება უნდაო. ეღალთმიანები ხომ უმეტესად ქორიანები არიან.

როგორც კი შენიშნა, საუბარში ჩარევას ბლატიანი ხემუტრუკაც აპირებდნო, თანაც, რაკი წინდაწინვე იცოდა, რასაც იტყოდა („ჩვენთან, სხვათა შორის, კოლონიაში, ერთი ფაიზახი ტიპი იყო, იმანაც კაი სიმღერა იცოდა განშორებაზე და სიყვარულზე“), სერგეი მიტროფანოვიჩმა ფანჯარაში გაიხედა მუხლებზე ხელები დაირტყა:

— აბა, ყოჩაღად, ბიჭებო! უკვე საცაა, ჩავალ კიდევ, — და მორცხვად გაიღიმა: — სიმღერა და საუბარი გზას ამოკლებს. აბა, დავემშვიდობოთ ერთმანეთს! — ის წამოდგა სკამიდან, იგრძნო, როგორ ეწეოდა დაბლა პიჯაკის ცალი კალთა და ხელი იტაცა: — მე ხომ ერთი ბოთლიცა მაქვს! ბარემ, ესეც მიგეყოლებინათ! მე კი მეტი აღარ მინდა.

— არ არის საჭირო, — ხელი დაუკავა სლაეიკამ, — ჩვენც გვაქვს. ფულიც გვაქვს და ღვინოც. უმჯობესია, სახლში წაიღოთ, მეუღლეს მიართვათ.

— როგორც გინდათ. ოღონდ მე ხომ...

— არა, არა. გმადლობთ, — კვერი დაუკრა სლაეიკას ვალდობილად. — თქვენს მეუღლეს ჩვენგან სალაში გადაეცით. როგორც ჩანს, კარგი ქალი უნდა იყოს.

— უხეიროს შინ არ გავიჩერებთ, — გულლიად მიუგო სერგეი მიტროფანოვიჩმა და ბიჭები რომ ცოტათი შეეხალისებინა, დაუმატა: — ჩვენს არტელში ერთი გლეხი გვყავს, ხის დაორთქვლაზე მუშაობს, იმან იცის ხოლმე კვენხა: მეო, მეხუთე ცოლი მყავს და ჩემს დღეში არც ერთისთვის არაფერი მიწყენინებია, როგორი კაცა ვარო?!

ბიჭებმა გაიცინეს და გაპყვნენ სერგეი მიტროფანოვიჩს. ტამბურში ყველამ მოსწია სიგარეტი. მატარებელმა დაიქმუტუნა და გაჩერდა პატარა სადგურზე, რომელსაც ხვეულად ერტყმოდა ნისლჩამდგარი სოჭნარი. სოჭები ჭის მახლობლადაც იდგნენ და სკვერშიც იზრდებოდნენ. ერთ მოჭრილ სოჭზე ცხენი იყო მიბმული, ცხენს ლაში ჩამოეგდო და თვლემდა.

სერგეი მიტროფანოვიჩმა ფროთხილად ჩამოიარა საფეხურები, უკვე მკვიდრად დაემყარა გატკეპნილ, კენჭებით დახორკლილ მაზუთიან მიწას და მატარებელიც თითქოს მხოლოდ ამას უცდიდათ, თითქმის თვალშეუმჩნევლად დაიძრა. სერგეი მიტროფანოვიჩმა კეპი აუწია:

— მშვიდობიან სამსახურს გისურვებთ, ბიჭებო!

ისინი მკვიდროდ იდგნენ განცილებლის ზურგს უკან და გამოსცქეროდნენ, მატარებელი კა სულ უფრო აჩქარებდა სვლას. ელმავალი უკვე ყრუდ მიძინა-ჯუნებდა სადგურის გადაღმა სოჭნარში, ისართან ვაგონების სწორხაზობრიობა ტყდებოდა და აწ უკვე პატარა ტყის თავზე მიმცურავი ელექტრორკალი დანესტიანებულ სადენებს ნაპერწკლებს აყრევინებდა. როცა ისართან უკანასკნელმა ვაგონმაც გადაირაკრაკა ტყვიამურქვედვივით და სრული სიწყნარე ჩამოდგა, სერგეი მიტროფანოვიჩმა გაიბეორა:

— მშვიდობიანი სამსახური გქონოდეთ! — და დაიხურა კეპი.

ბიჭების ხსოვნას ის სწორედ ასეთი შემორჩა: ომბონზე დაყრდნობილი, ქუდმოხდილი, ჭაღარამოდებული და პიჯაკის ცალკალთაჩაზიდული; მის ზურგს უკან კიდევ პატარა, წყნარი სახელის მქონე სადგური „პიხტოვკა“, რომელსაც თითქოს ახალნახნავისა და საკმევლის სუნი ასდიოდა.

...თანამგზავრი არავინ გამოსჩენია და სერგეი მიტროფანოვიჩს, თუმცა კი შეჩვეული, მაგრამ მაინც ოთხი გრძელი კილომეტრის გავლა მარტოდმარტოს მოუხდა.

პიხტოვკა უკან დარჩა, სოჭებიც აგრეთვე. ისინი გალავანივით ევლებოდნენ ახოებსა და ტიალ ადგილებს. თოვლსაცავი ზოლებიც კი ვარჯებმოხერხილი სოჭებისგან შეეკრათ. სწორედ ასეთ ადგილებში გალადებულიყო უფრო სოჭნარი, მაღლა ატყორცნილი ვარჯები ერთმანეთში გადაეხლართა, ქვეშ კი სიბნელე და შმორი სუფევდა.

ორმოცდახუთის შემოდგომაზე ახოებში ის-ის იყო ტანს იყრიდა ახალი ტყე: ყველგან მოჩანდა გორმასები და ჭყანტობიანი ჭალები, სადაც აქა-იქ შავ-შავ ლაქებად მოჩანდა შტოში და სელწავი. მიჯრით მდგარ თივის ფრთემოქცეულებს, ზვინებსა და ბულულებს ზურგები ბებერი ცხენივით ჩაწავებოდათ, იმ სიწავეზე კი გავარვარებული თუნუქის ნაჭრებივით წითელფრობდნენ ქარისგან მიმოყრილი ფოთლები.

შემოდგომა მაშინ ახლანდელზე დარიანი იყო, შორეთი პირმზიანობდა და მიწა თითქოს გაზაფხულური ბურთით იყო გადალამბული.

ვინ იცის, იქნებ ყველაფერი იმიტომ იყო მორთულ-მოჩითული და ალერსიანი, რომ პოსპატილიდან სახლში მიმავალ ნაომარ ადამიანს ხედებოდნენ. შეჭრფინავდა თითოეულ ბალახს, თითოეულ ბუჩქს, ფრინველს, ხეხობასა თუ ჭიანჭველას. მთელი ერთი წელიწადი საწოლში გატანჯულნი — ენა და ხსოვნადაკარგული ახლა ვერ ძღებოდა მის თვალწინ ხელახლა გადაშლილი სამყაროს ყურებით. მას ჯერ კიდევ არ შეეძლო ყველაფრის ცნობა, არც კარგად ესმოდა და ვერც გამართულად ლაპარაკობდა, თანაც ისე იქცეოდა, პანია თუ ექიმებს არ გაეფრთხილებინათ, იქნებ ჭკუაზე შემცდარადაც ჩაეთვალა ჭმარი.

ტყისპირა ჯაგებში ნარცეცხლას მოჰკრა თვალი, ეკლიანსა და თავხედურად აყვავებულს. ვერა და ვერ მოიგონა მისი სახელი. ზარნუყა, ფამფარა, ფუჩფუჩა, ღიღილო, თავყვითელა, კუროსთაევი, ორკბილა — ველარც ერთი ვერ იცნო, არც ერთის სახელი არ მოადგა ენაზე. ჩანდა, მის ხსოვნაში ყველა ისინი ერთმანეთსა ჰგავდნენ, რაკი ყველა ყვითლად ჰყვაოდა.

— ლომისკბილა, ლომისკბილა! — დაიჟინა მან, ყავარჯნებიანი ტყეში გადავარდა, წაიბორჩიკა და პირქვე წადლავდა. აღარ წამომდგარა, ისევე პირქვე მწოლიარემ ერთი წლიოკი, შეუხედავი ყვავილი მოწყვიტა და ყნოსვა დაუწყო.

— ლომისკბილაა, იცანი? — დაუდასტურა პანიამ და სახიდან აბლაბუდა ააცალა. თვითონ ვერც კი გრძნობდა თუ სახეზე აბლაბუდა ეკრა.

ცირცელთან შეჩერდა და დიდხანს უყურა, რაღაცაზე ჩაფიქრდა. მცენარეს ყუნწები თავის ადგილზე ჰქონდა, კენკრა კი ზედ აღარ ესხა.

— ჩიტებს, ჩიტებს გაუკენკიათ!

— ჩი-ი-ტე-ებს? — გაიბადრა იგი, — ტყის ქათმებს?

— ტყის ქათმებს, შაშვეებს. ცირცელი ყველა ფრინველს უყვარს, შენ ხომ იცი?

— ვი-იცი.

„არაფერიც არ იცი!“ — წუხდა პანია და მთავარ ექიმთან უკანასკნელ საუბარს იგონებდა. ექიმი დიდხანს, მოთმინებით უხსნიდა, როგორ უნდა მოქცეულიყო ავადმყოფი, რა უნდა ესვა, რა უნდა ეჭამა, როგორი მოვლა უნდოდა მთელი ამ ხნის განმავლობაში თითქოს მზერით სწავლობდა პანიას. ექიმი, თითქოსდა სხვათაშორის, დაინტერესდა, ბავშვი თუ გყავთო. პანია აიღუწა, მიუგო: ომამდე ვერ მოვასწარიო. გულში კი გაიფიქრა: „არა უშავს, ჯერ ახალგაზრდები ვართ“.. „ფრიად სამწუხაროა“, თქვა ექიმმა, პანიას თვალი მოარიდა და მათი საუბარიც აღარ გაგრძელებულა.

პიხტოვკიდან დასახლებამდის, გზაში, იგი ყველაფერს მიხედა, ექიმს სიტყვებიცა და მათი მკაცრი მნიშვნელობაც მთელი სისრულით მხოლოდ ახლა შეიგნო.

სერიოზა კი დამწუხრებისა და დაფიქრების საშუალებას არ აძლევდა. ამჯერად მოთეთრო-მოშავო კენკრაზე უთითებდა, გამომწვევად რომ მოკალათებულყო ხორციანი ფოთლების გულისგულში.

— ხა-ხარისთვალაა?

— ხარისთვალაა, — მორჩილად დაუდასტურა ცოლმა, — აი, ეს კი კლდის-

ვაშლაა, მაისურასაც ეძახიან, ლამაზი კენკრაა და მეტისმეტად ტკბილი. არ გაგონდება?

იგი დაიძაბა, შებღვნი ნაოჭები დაისხა. სახეზე გონისთვის მტკიცეული ძალდატანება აესახა. ქალი მიხვდა, რომ ქმარს კონტუზირებულ ტვინი გადაეჭანცა და სასწრაფოდ დაუმატა:

— წავიდეთ, წავიდეთ!

მღანარიაპირში შოთხვი იდგა, იგი მიეარდა და ორივე მუქით წასწვდა.

— ტ-ტკბილია!

გადამწიფებულს არაა და ტკბილი იქნება, რაღა თქმა უნდა.

მან დაძაბულად შეხედა ცოლს. სულ ცოტა ხნის წინ დაუბრუნდა სერგეის ტკბილის შეგრძნება, მანამდის კი მწარე-მყავეს ერთმანეთში ვერ ანსხვავებდა. პანია ამ ამბისას ვერაფერს ჩაშხედარიყო და, ალბათ, სხვასაც ცოტა ვინმეს თუ ეცოდინება ესა.

კიდევ ერთხელ, მაგრამ უკვე დაეინების გარეშე მიუთითა მან სვიაშემოხვეულ შოთხვზე და ქალმაც დაქანცულად აუხსნა:

— ცხელი ზაფხული იყო, იმიტომაც დარჩენილა ცარიელი ბჭკლები და ფოთლები. სვიას სინესტე უყვარს.

იგი დაიღალა, ყავარჩნებზე ჩამოეკიდა და ქალმა ინანა, რომ ქმარს დაუჯერა და საზიღარი არ გამოიძახა. ხშირად ჩამოსხდებოდნენ ხოლმე დასასვენებლად თავის ზვინებთან. იგი ხელში ჭმუჭნიდა თევას და სუნავდა. ხანდახან მზერა გაუბრწყინდებოდა ხოლმე. ჩანდა, სუნით უკვე გრძნობდა თევას. სათიბებში ახლად ამწეანებულყო აქვატი, მკრთალად ჰყვოდნენ ხრიალები და აქა-იქ ვარდისფრობდნენ გვიანო სამყურას დაღვრენილი ღეროები. კიდევბშეთერთებულა ცა წყნარი იყო, ნათელი, ღბილი მტრედსფერი დაჰკრავდა. ამ გამჭვირვალე სიჩუმეში სუსხის მოსალოდნელობას დაიგუჰმანებდა კაცი.

დასახლების მისადევარზე სერგეი უკვე აღარაფერს ეკითხებოდა ცოლს, გაფაციცებით ადგამდა ყავარჩნებს და ხშირად ჩერდებოდა. სახე ჩამოუდნა, ზემო ტუჩისთავზე წვრილი ოფლი დააყარა.

დასახლება, განაპირებზე რომ ცარიელი ბოსტნები ეკრა, ხშირი, ლამაზი ტყის შუაში მოსვლად და ობლად გამოიფურებოდა. სახლები დაცოტავებულიყო და რაც დარჩენილიყო, იაიც დაძველებულიყო, ჩამავებულიყო. წვრილი ტყე ზედ მოსდგომოდა სახლებს, ბარდს გადაეგლო და გაუკაცრიელებულიყო დასახლება. არც ხმა ისმოდა სადმე და არც ხალხის მიდი-მოდი. ბავშვებიც კი არ ჩანდნენ. მხოლოდ დასახლების სიღრმიდან მოისმოდა პატარა ძრავის დაგადუგი და ბოლავდა არტელის სანახევროდ დამწვარი საკვამლე მილა, რითაც ამტკიცებდა, რომ დასახლება მაინც ცოცხლობდა და მუშაობდა.

— დ-დღდა? — მოუბრუნდა სერგეი პანიას.

— დედა სულ შენ გზას გამოპკურებს, ერთიანად გამოიყლაპა ამდენი ლოდინით. აქ აღმართია, დაიცა, დაგეხმარო. მიმიშვი, მიმიშვი!..

სერგეის ყავარჩნები გამოართვა. თითქმის აიკიდა იგი და ასე აათრია აღმართზე. იქ ყავარჩნები დაუბრუნა და ქუჩაში უკვე, როგორც საჭირო იყო, გვერდი-გვერდ მიდიოდნენ.

— ოხ, ჩვენო ლაზათო, ჩვენო თვალსაჩინო! — ხმამალლა დაივიწყებმა პანიას დედამ, — ეს რა უქნიათ შენთვის იმ ერმანელ მტარვალებს? — და ბუ-ლულივით მიწვა კართანაზე. სიძე მას ქალიშვილზე არანაკლებ უყვარდა, თავს

კი აჩვენებდა, თითქოს ქალიშვილი უყვარდა მეტად. იდგა გამხდარ-გამხმარი სერგეი დედაკაცის წინ და, იმდენ ხანს სულისშემხუთავ პალატაში ნაწოლი, სარდაფიდან ანალმოტანილი კარტოვილის სოდს წააგავდა.

— ასე იქნებით ახლა, ერთმანეთა ყურებაში? — შეუყვარა პანამ დედას. დედაბერმა დამჭყნარი ტუჩებით გადაკოცნა სერგეი, წინგარტმსხე-ასვლა-ში დაეხმარა და თან დაიჩივლა:

— შემჭამა ამან, ამ უხსენებელმა, შემჭამა... ახლა შენ მაინც იქნები სახლში... — და ტუჩები აუთრთოლდა.

— ნუ მისისიანებ ახლა ჯარისკაცს! — უკვე შინაურული დანთმობლობით აბუზლუნდა პანია, რაკი დედა და ქმარი კვლავ იხილა უჩუმარ კავშირში, აღრე ომამდისაც რომ ჰქონდათ ერთავეს.

ყოველთვის, როცა მარტოა უხდებოდა წასვლა პიხტოვკიდან დასახლებაში, სერგეი მიტროფანოვიჩი ახლიდან განიცდიდა თავის დაბრუნებას ომიდან.

ირმისუნის ბუჩქებშუა შავად მოხანდა უკვე საკმაოდ ტანაყრილი ახალ-მორჩი ნაძვები, აოჭები, ფიჭვები და ლარიქსები. ისინი უკვე ახრჩობდნენ უშენის ძველ მონაშენობა — ტირიფნარს, ანწლოვანს, ყოლნარს, ვერხვიანსა თუ არყნალს. ცაცხვები წიწვნარის გასწრებაზე იყვნენ, ტოტების გრეხით ეჯიბრებოდნენ, შავ-შავი ძირებიდან ზევით იტყორცნებოდნენ, ქერქში ძვრებოდნენ და არ თმობდნენ აღვილს.

განაკაფებში ზვინებიც შემცირდა, ბარდგადაელილი იყო სათიბების უნეტესი. გრძლად წაწვდილიყვნენ ჭაობიანი ღარტაფები. ქაობებში აყრილი მცირე ტყეები ჩამხმარ-ჩამკვდარიყო, ფესვის მოკიდება ვერ მოესწრო.

ფერდობებზე თრთვილი დასდებოდა გვიანა სოკოებს, ქუდები გვერდზე მოჰტყეოდათ მთვრალელებით. გუბებში დამზრალი ცირცელი ცვიოდა და ცხრილავდა წყალს. იდუმალი ჩქამი და შრიალი იდგა ძველ განაკაფებში.

რამდენიმე ხნის შემდეგ აქ ისევ დააწყება ტყის კაფვა, ჯერ-ჯერობით კი ბებერ არყნალებს იღებენ. ომამდის არყებს არ ჭრიდნენ. წიწვიანი ტყე რომ მთლიანად ვაკაფეს, ზე-ტყის დამამზადებელი უბანი დახურეს და ახლა ნეჭისა და ფანერის არტელი გახსნეს.

სერგეი მიტროფანოვიჩი მზერბაევად მუშაობდა, პანია კი საამქროში, სადაც არყის მორებს ცხელ ღრთქლში მდუღრავდნენ, მერე ქალაღდას გრაგნილებივით ახვევდნენ და მერქანსა შეშად აყრევიანებდნენ.

სერგეი მიტროფანოვიჩმა მარაგზიდან გადაუბვია და პატარა მდინარე კარავაიკის გასწვრივ გამაველ ბილივს დაადგა. ოდესღაც ამ მდინარეში ბევრი კაბოეტი იყო, მაგრამ ზე-ტყის დამამზადებლებმა ისე დაანავვიანეს მდინარე, კარავაიკისპირა ნუშის ქარხნიდან კი იმდენ სისადავლეს უშვებენ წივ, რომ წყალში ყოველადვე ცოცხალი ამოწყდა. ახლაც კი ღებმა მდინარეში მორები, კუნძები და ათასგვარი გადანაყარი. ბოვირები ხომ ერთიანად ჩაწვა და ბალახმა გადაუარა. იმ სქელ და დამპალ ბალახში აწკარები მრავლდებიან, საიმათოდლა დარჩა ის ხიდები.

ბილიკი ნიიკლაყნებოდა მდინარიდან გორაკის გადმოღმართამდის, ბოსტნებამდის, სადაც უკვე ამოვლოთ კარტოფილი. დასახლებაში კლუბზე მიკრული რადიო ხმიანობდა. სერგეი მიტროფანოვიჩმა ყური მიუგდო. წყნარ, შემოდგომურ სივრცეში არარუსული სიმღერა გაისმოდა. სერგეი მიტროფანოვიჩს ჯერ მოეჩვენა ქალი მღერისო, მაგრამ ბოსტნებამდის რომ აიმაღლაურა,

გაარჩია — ყმაწვილი ბიჭი მღეროდა და მღეროდა ისე, როგორც არ უმღერია
ჯერ არც ერთ ბიჭს ამ ქვეყანაზე.

ეჩვენებოდა, თითქოს იჯდა ეს ყმაწვილი მარტოდმარტო მდინარის პირას,
ისროდა კენჭებს წყალში და თავისსავე თავს უყვებოდა ნაწახ-ნაფუქრალს,
მაგრამ მის გულუბრყვილო, ბავშვურ ფიქრებში გამოსჭვიოდა უკვე წღღუღის,
დიდის ნალველი.

ის ბაძავდა უფროს ადამიანებს, ის ბიჭი. მაგრამ ამ მიბაძვაშიც ჩანდა ბუ-
ნებრივი სწორფობა, ბავშვური მიმნდობლობა მისი ჯერ კიდევ წმინდა და
შეურყვნელი სამყაროსი.

— ეხ, ბიჭიკო! — ჩურჩულებდა სერგეი მიტროფანოვიჩი, — ეხ, ჩემო
ბიჭიკო! ნეტავ რომელი მიწა-წყლისა ხარ? — იგი დაიძაბა, რომ სიტყვები კარ-
გად გაერჩია, მაგრამ ვერ გაარჩია, ოღონდ მაინც შეეშინდა ბიჭის გამო. რა-
ტომღაც ეგონა, რომ სწორედ აი, ამ წუთს მოხდება რაღაც გამოუსწორებელი
და ბიჭი რაღაც უბედურებას დაიტეხსო. სერგეი მიტროფანოვიჩი ცდილობდა
ესუნთქა რაც შეიძლება წყნარად, რათა არ გაჰპარვოდა ის წამი, როცა ჯერ
კიდევ მოასწრებდა ბიჭს მიშველებოდა.

ბიჭი კი სულ მღეროდა და მღეროდა. რაც მოსწონდა, სწორედ იმას მღე-
როდა, ხალხს კეკემალულობას არ ეთამაშებოდა. ღიად გამოჰქონდა ყოველი;
აგერ, შემხედვით, თქვენს წინაშე ვარ, არ ვიმალებიო.

ისო... ისო-ოო-ოლ-ლე...

მოესმა სერგეი მიტროფანოვიჩის და აღფრთოვანებულმა თრთოლვამ დაუ-
არა.

— მზე, ძმაო, მზე! აგერ, ის უკვე ჩასასვლელად მიგორავს, შეიძლება,
თქვენი ქვეყნისაკენაც. იმღერე, ძმაო, ხმამაღლა იმღერე. იქნებ როგორმე
ჭკუაზე მოვიდეს ხალხი და გაავოს, რომ მზე ყველასთვის ერთია...

სერგეი მიტროფანოვიჩმა არ იცოდა, რომ ამ ყმაწვილს უკვე ველარც
ხმას მიაწვდენდა და ველარც ვერაფრით დაეხმარებოდა. გაიზარდა ბიჭი და
ხელადვე ჩაიკარგა საესტრადო ძველმან ხარახურაში, როგორც მოდიდან გამო-
სული რამ ნივთი. დიდების ნათელმა ელვისებრ ხანმოკლედ გააკაშკაშა მისი
ცხოვრება და ხელადვე ჩაქრა ხალხის სწრაფწარმავალ ხსოვნაში.

კლუბზე მაკრულმა რადიომ რაღაც დაილაპარაკა. სერგეი მიტროფანოვი-
ჩი კვლავ ბოსტნის ხარხაზე დაყრდნობილი იდგა და რატომღაც მწარედ
ქენჯნიდა სინდისი ყმაწვილი მომღერლის წინაშე, იმ ბიჭების წინაშე, სამსახუ-
რებლად უცნობ ადგილებში რომ მიდიოდნენ თავიანთ სახლ-კარს მოცილე-
ბულნი.

სერგეი მიტროფანოვიჩს თავად რომ შვილი არა ჰყავდა, ყველა ბავშვს
შვილივით უყურებდა და მუდმივ შინაგან განგაშში იყო მათი ბედის გამო.
ასე უფრო იმიტომ მოხდა, რომ ომის დამთავრებისას თავი დაირწმუნა, თით-
ქოს ეს ომი უკანასკნელი იყო და მისი ხეიბრობათა და ტანჯვით ყოველგვარ
ხეიბრობასაც და ტანჯვასაც ბოლო მოედო ამქვეყნად. არასგზით არ შეიძლე-
ბაო, ფიქრობდა ის, რომ ასეთი ხოცვა-ჭლეტისა და თვითგანადგურების შემ-
დეგ ხალხი ჭკუაზე არ მოვიდესო.

მას სწამდა, და სწამდათ მის თანამებრძოლებსაც, თითქოს ვისაც ჩვენ
დავბადებთ, მათთვის უცნობი იქნება შიშის გრძნობა, ბოროტება და შურიო.

თავიანთ სიცოცხლეს ისინი მხოლოდ კეთილსა და გონიერ საქმეს მოახმარენო. განა რა უნდა წაიღონ ამ მოკლე წუთისოფლიდანო.

ვერ განახორციელეს ნაოცნებარი. ვერც თვითონა და ვერც იმ ლამაზხმია-ნი ბიჭის მამამ. ვერც ვერავინ განახორციელა. ომმა ისე იცის დაშალვა, რო-გორც მხურვალეებამ ჩახურებულ თივაში და დედამიწას ხაშტებში, ხან მერე ადგილას ცეცხლის ლავასავით ამოარღვევს ხოლმე. ამიტომ ვრის, რომ ხული არ უწყნარდება. ამიტომ მიაჩნია თავი დამნაშავედ ყმაწვილების წინაშე. მა-განნი სიცრუის რომვითა და ლანძღვა-გინებით გადიან ფონს, რა არის რო-გორმე ეს დანაშაული თავს არ იღონ. ერთხელ ვიღაც დამსახურებული ჩაჩა-ნაკი გამოვიდა რადიოთი და რას აღარ მიედ-მოედებოდა! თითქოს ახალგაზრ-დობა არაფერს არ აფასებსო, უფროსებს პატივს არა სცემსო, დაავიწყდათ იმ უმადურებს ჩვენი ზრუნვა და ჩვენი დახმარებაო...

„რაო, ბებერო ქოფაკო, განდოდა, იმათაც ტიტლიკანებს ევლოთ? ძალი ჰკლებოდათ, საქმელი ჰკლებოდათ და ბარაკებში ტილ-ბაღლინჯო ესუქებიანათ? რატომ გგონია, თითქოს ყოველივე კარგი შენ მეცი ბავშვებს, ცუდი კი საი-დანღაც გამოუტყვრათ? თანაც ლანძღვ ყმაწვილკაცობას ისეთნაირად, თით-ქოს შენი შეილები კი არ იყვნენ, არამედ მიგდებულნი ნასხლეტები...“

ისე აღელდა მაშინ სერგეი მიტროფანოვიჩი იმ ცუდმედინი ბებრის მზა-კვრულ სიტყვაზე, რომ რებროდუქტორს მიაფურთხა და გამოთიშა. მაგრამ სინდისსაც ხომ ვერ გამოთიშავ.

„ახალგაზრდობის კიცხვა და აბუჩად აგდება ადვილზე ადვილია. ისინი ჩვენი გაზრდილები არიან და ამიტომ შებასუხების უფლება წართმეული აქვთ. შენ მათ საყვედურობ, ისინი თავიანთ შეილებს უსაყვედურებენ და ასე წავა ზღაპარი დასაწყისისა და დასასრულის გარეშე. აი, ისე კი რომ დაგვეზარდა, უფროსებისთვის ნარტო ლუკმა-პურის გამო არ ეცათ პატივი... ძუ მგელიც უზიდავს თავის ლეკვებს საქმელს, მაგრამ ზოგჯერ სიცოცხლესაც ხომ სწირავს მათთვის, ლეკვები მას დრუნჩს ულოკავენ ამისათვის. ჩვენც აგვილოკონ? მა-შინ რატომღა ვუჩიზინებთ ახალგაზრდობას სიამაყისა და ღირსების გრძნობა-ზე?! თვით შთავაგონებთ და თვითონვე ვუბუხუნებთ...“

პანია სამუშაოდან დაბრუნდა და სერგეი მიტროფანოვიჩს ელოდებოდა. ახალგაზრდობიდანვე ლამაზად არავინ თვლიდა. შავკვრემანი, ლაწემალალი, კაცური სიარულითა და აღრიდანვე შრომაში გამოჩეკილი ხელებით ის ვერ კიდევ პატარაობისას გამოიყურებოდა მეხვიით დედაკაცად. მაგრამ გა-ვიდა წლები, იჯახურმა ყოველდღიურობამ ჩამოაჭკნო მისი ამხანაგი ქალები, ვისათვის ოდესმე თავგადაკლულნი იყვნენ ბიჭები, მას კი დრო თითქოს ახ-ლოსაც არ გაჰკარებოდეს. მხოლოდ ეგ არის, ძველი ცეცხლოვანი, მოუსვენარი მზერა ჩაუწყნარდა და შეურბილდა, ოღონდ უფრო გამჭრიახი გაუხდა. სახეზე არ სუქდებოდა, ლოყები ჩაუცვივდა და უფრო მკვეთრად დაეტყო არაქალუ-რი, ფრიალო შუბლი ზედ ორი ნაოჭით, რაც სილიამაზევე ყველა ქალური შე-ხედულების საწინააღმდეგოდ. უხდებოდა კიდევ. საქმეცა და ცხოვრებაც თითქოს მიუჭირვებლად, უზრუნველად და იოლად გამოსდიოდა, რაზეც ბოლ-მაზე სკდებოდნენ წუწუნა დედაკაცები.

„ეს ამოდენა ხროვა ბაღლები შენცა გყოლოდა, ქმარიც ვგრე ყველი და პურივით კაცი არ შეგხვედროდა და...“

დედაკაცებს არასდროს ეკამათებოდა, არცთუ თავისი ცხოვრების განსჯას

ჩასდევდა. მის ქმარს არ უყვარდა ესენი და რაც ქმარს არ უყვარდა, არც მას მოეწონებოდა. ერთი მაინც კარგად იცოდა: რაც ცოლ-ქმარში კარგი იყო, ორივემ ერთმანეთისგან გადაიღო, ცუდი კი, წვეცადნენ. აღმოცენდნენ.

დედაბერი ბოსტანში ბოლოკს, ჭარხალსა და სტაფილოს იღებდა, უგუნებოდ არაჩხუნებდა ვედროს. სახლი რვაბინიანია და ყოველ მუხაკს მუხაკი მცირე საბოსტნე. დედაბერიც დღემუდამ ბოსტანში იჩიჩქნებდა მუხაკსა და სტაფილს, პურს მუქთად არა ვჭამო.

— შენ რა, ნასეაში ხომ არა ხარ? — შეეკითხა ცოლი უკვე წინგარდაზე ამოსულ სერგეა მიტროფანოვიჩს.

— ცოტათი, — დამნაშავეს კილოთი გაეხშიანა იგი და პანიაზე წინ შევიდა სამზარეულოში, — ახალწვეულებს შევხვდი და...

— მერე რა მოხდა? დალიე, მე ხომ არაფერს...

— მოკითხვა დამაბარეს შენთან. ყველამ დამაბარა, — თქვა სერგეი მიტროფანოვიჩმა, — ეს — შენ! — ნიაჩქა ატმებანი პარკი პანიას, — ეს კი, ჩვენ ყველას, — და ნაგიდაზე ჩანოდა ლამაზი ბოთლი.

— უყურე შენ, რა თავგვიით ბუსუსიანია? ესენი იტმევა?

— შენ თვითონა ხარ თავგი, ყურებდაშაშხულო პერმელო! — ღიმილით გაეპასუხა სერგეი მიტროფანოვიჩი, — დედას დაუძახე! თუმცა, დიაცა, მე თვითონ დავუძახებ, — და თავდახრილმა დაუმატა: — დღეს მე რაღაც...

— მიტროფანი-ის! შენ რაო? — სწრაფად მიუბტა პანია და ნიკაპი აუწია ქმარს, თვალეში ჩახედა, — ისევ გაგალიზიანეს, არა? გაგალიზიანეს... — და მაშინვე სხაპა-სხუბით დიაცარა: — აი, რას გეტყვი და კარგად მომისმინე: აღარ წახვიდე მეტად იმ კომისიაზე. ყოველთვის, როგორც კი დაბრუნდები, დამდურულივით ტრიალებ. ნუღარ წახვალ, გეხვეწები. განა რა იმდენი გვინდა?

— გვ კი არ ძალაპარაკებს!... — ამოიოხრა სერგეი მიტროფანოვიჩმა და ცოტაზე მოაღო რა ეარი, დაიძახა: — დედა! — და ხმამაღლა გაიმეორა: — დედა!

— რა გინდა? — უკმაყოფილოდ გამოეხმაურა დედაბერი და ვედრო შეაჩხარუნა, აქაოდა, საქმე მაქვს, თავს ვერ დავანებებო.

— შემოდა, რაღა, სახლში.

პანიას დედა ოდესღაც, არა მარტო დღესასწაულებზე, სვამდა და კარგადაც სვამდა, ახლა კი თავი წმინდა შემარხულედ მოჰქონდა. ოთახში შემოსულმა მაგიდაზე ბოთლი რომ დაინახა, წაიბუზღუნა:

— ეს რაო და რასთვისაო? მეორე ჯგუჯა მოგცეს?

— მესამეზე დანტოვეს.

— ისევ მესამეზე? ისინი მეორეს საიქითში თუ მოგცემენ, ალბათ...

— მოდი, დაჯექი, ნუ ბუზღუნებ.

— მაქვს კი ჯდომის დრო? ბოსტნეულს ვინდა ამოიღებს?

პანიას დედა და თვითონ პანია მრავალი წლის წინ გადმოსახლდნენ ჩრდილო უსოლის სოფლიდან, აქ დაეფუძნენ, ბებერიც აქ დაასაფლავეს. მაგრამ პერმული კილო მაინც ვერ მოიშორეს.

— განა რამდენი ბოსტნეული გაქვს იქა? ოთხოდე ბოლოკა და ათიოდე სტაფილო! — უთხრა პანიამ, — დაჯექი, როცა გეპატიყებიან.

დედაბერმა პირსაბანი შეაყურიალა, გვერდულად მიუჯდა მაგიდას და ჭყეტელა იარლიყიანი ბოთლი აიღო.

— ეს რაღა დაუკრავთ ზედ? ავირია, ალბათ?

— ფული რა სალაპარაკოა, — შეეკამათა პანია და დედა გააჩუმდა, ამით თითქოს ქმარს მხარი დაუჭირა ფულის თავისუფლად ხარჯვაში.

— ზოო რ ბ ა ა — შეაქო პანიას დედამ ღვინო, პატარა ჭიქითა და დიდი ამბით რომ შესვა. მის 'შექნედვარე სერგეი მიტროფანოვიჩს' მამულები უხალ-წვეულო მოაგონდა, თითიდან ყველს რომ ილოკავდა. — შენი მამა, მამა, მამა, პარანკა? — გაბრაზდა დედაბერი, — სადღაც ხურტკმელიცა გვაქვს, მყავე კიტრიც. ყველაფერიცა გვაქვს! — ამაყად დაიკრა მკერდზე მუშტი და სარდაფში ჩავარდა.

მეორე ჭიქის შემდეგ მან თქვა:

— ჩემი ნუ გეფიქრებათ, — მაგიდიდან წამოდგა და ცოლ-ქმარი მარტო დატოვა.

წინა კუთხეში მჯდარ, კედელზე კეფით მიწოლილ-მაყრდნობილ სერგეი მიტროფანოვიჩს ოდნავ მოეხუჭა თვალები. ჩვრით გაწმენდილი ომბოხი რუსული ლუმენის ლანტანზე წრებოდა და უმისოდ სიმსუბუქეს გრძნობდა ფეხი, სიმსუბუქეს გრძნობდა ტანი, გული კი სულ უწუხდა და უწუხდა.

— რას დამწუხრებულხარ, გვარდიის არტილერისტო? — მაგიდიდან ზედ-მეტი ნივთები აალაგა და ქმარს მიუჯდა პანია, — გემღერა მაინც. იშვიათად-და მღერი.

— მისმინე! — თვალები გაახილა სერგეი მიტროფანოვიჩმა და სადღაც იმ თვალთა სიღრმეში პანიამ დაინახა დიდი ტკივილი, — მე ხომ შენთვის, მგონი არც ერთხელ არ მითქვამს, რომ მიყვარხარ?

პანია შეკრთა, სახეზე შიშმა გადაუარა და ქმრისგან გაიწია.

— რას ამბობ! აბა, რას ამბობ! შენც ერთი..

— აი, ასე ხდება ხოლმე, ისე ვალევ ცხოვრებას, რომ უმთავრესი დაგავიწყდება.

— ნუკი შემაშინებ ახლა.

მან ხელი მოუთათუნა ცოლს, მიიზიდა. ცოლის კეფა მის ხელისგულქვეშ უმწეო და ბავშვური ჩანდა როგორღაც. პანია გაირინდა მის ხელში, თავს არა სწევდა, ეტყობოდა, რცხვენოდა.

მერე ალერსით ქმარს სახეზე ხელი გადაუსვა. ხელისგული დაბებრებული მქონდა, მოუპარსავ ლოყაზე ფორხილობდა. „ბუსუსიანია“, — ქმარმა ძლივს შეიკავა თავი, რომ ხელი არ გადაესვა ცოლის ხელისგულზე. პანია მყუდროდ მიეყუჟა მხართან.

— ჩემო ღვაძლო და ჩემო ერთადერთო! შენ გინდა რომ ყველა ბედნიერი იყოს, მაგრამ აბა, როგორ მოახერხებ ამას?

სერგეი იგონებდა ახალგაზრდობის ქამინდულ პანიას, დამცირებულსა და გულჩათხრობილს. იგი მშობლიურ სოფელში ერთმა მაჯის საათიანმა, კატარლის ზემდეგმა შეაცდინა და ქალწულობა ახადა. ქმარს თავას დღეში არც გადაკვრითა და არც პირდაპირ არ შეუხსენებია ცოლისთვის ეს ამბავი, მაგრამ სულში მაინც დარჩა მამაკაცური ჭრილობა. ამ ჭრილობითვე წავიდა ომში და მხოლოდ ხანგრძლივმა განშორებამ განაქარა ყოველი. წყენა აღმოჩნდა პაწაწა და უმნიშვნელო. ჩანს, ცოლიც იმ განშორებაში შეუყვარდა, მაგრამ ველარ ბედავდა გამხელას.

„ეხ, ხალხო, ხალხო! ასეთ ამბავში რა გვჭირს დასამალავი? თუ იქამდის გა-

ჯანჯალეთ და ვატრიალეთ სიტყვა გულში, რომ წარმოთქმისა გვერცხვინება?“

— ვებრძებით მე და შენ, — ცოლის დამწვეტებული ზურგის მალეები რა მოხვდა ხელში, ძლივს გასაგონად წაიჩურჩულა სერგეი მიტროფანოვიჩმა, — ჩვენი დაისი დგება უკვე.

— რას იზამ, დროც...

— ბებრები ვართ, ბებრები, — თავისაზე იდგა იგი. მერე ცხელი მთიდან და სთხოვა: — უკანასკნელია დამისხი. შენც დაისხი. შეესვათ ჩვენი სადღეგრძელო, ჩვენი სიბერეა, — და თავის თავს თვითვე შეაწყვეტინა: — არა, არა, დაე, სხვებმა თქვეან ჩვენი სადღეგრძელო, თუ ვისმეს მოვაგონდით. მე და შენ კი იმ ბიჭებისა დავლიოთ. მიდიან ახლა სადღაც...

პანია მარდად წამოხტა სკამიდან და თლილი სირჩა გაიფსო. როცა შესვეს, ქმარს ხმაურით აკოცა ტუჩებში და ცხვირსახოცი აიფარა თვალებზე.

— ეხ, თქვე შეჩვენებულეობ! — ჩაიბურღლუნა დედაბერმა წინკარში, — ვერასგზით ვედარ მოისურვილეს ერთმანეთი. ბაღების ხროვა უნდა დაგდებოდათ და ენახავდი, დრო თუღა გექნებოდათ პროშტიპრუშტისა!..

სერგეი მიტროფანოვიჩს ქუთუთოები შეუთრთოლდა, მაშინვე უმწეოდ გაუმკრთალდა ჩავარდნილ ლოყებზე და ქვემო ტუჩის ქვეშ ნოუპარსავი სახე. დედაბერმა ზედ ბებერაზე დააჭირა ფეხი.

„ეგ სულ ასე ატარტარებს ენას, მაგრამ რა?.. — უნდოდა ეთქვა პანიას, — ბავშვები, სანამ პატარები არიან, რაღა თქმა უნდა, კარგია, მერე კი წამოიზრდებიან და გაგიფრინდებიან...“ მაგრამ მან დიდი ხანია ისწავლა, რა და როდის უნდა ეთქვა.

— მაგას ნუ უყურებ. სჯობია, იმღერო. იქნებ ცოტა გულზე მოგეფონოს.

სერგეი მიტროფანოვიჩს სახე ხელებში ჩაერგო და ასე იჯდა ცოტა ხანს, მერე წყნარად, თითქოს თავისთვის მღერისო, დაიწყო:

გადამდრენა ბუღბუღივით
სიტაბუკე ვაფრინდა...

პანია უსმენდა, უსმენდა და მერე სახეზე ცხვირსახოცი დაიფარა. თვითონვე არ იცოდა, რა ატირებდა. თავისი სერგეი ამ წუთში ისე უყვარდა, რომ ეთქვა, ახლავე აღეჭი და მოკვდიოთ, პანია გულუშიწრად მოკვდებოდა და საფლავში მწარე ბედნიერების გრძნობით ჩავიდოდა.

ცრემლებით თვალდაბინდული პანია, პირისახიდან ხელების ჩამოუღებლად თავისთვის ლაპარაკობდა: „ოჰ, მიტროფანოვიჩ! ოჰ, ჩემო ცალფეხა ჯარისკაცო! ნუთუ კუბოს ფიცრამდე არ დაგავიწყდება ის ომი? სად დახეტიალობს ამჟამად შენი გონება, რომელ მხარეებში და რომელ სანგრებში? სანგრები გადახნეს, ხორბალი დათესეს, შენ კი სულ იქა ხარ, სულ იქა!..“

მან მიიზადა ქმარი, სწრაფად დაუკოცნა სევდიანი შუბლი, თვალები, მთელი სახე და თან სულ თრთოდა მადლიერებით, რომ მისი კაცი, აი, ასეთი, აი, ამნაირი, იყო და არსებობდა. მის ლოყებზე მოდებული ჯაგარი ჩხვლეტდა სახეზე, ტუჩებზე და ბადებდა თავდაჯერებულობის გრძნობას, რომ იგი სამართლისოდაც მასთან იქნებოდა.

— მგონი როგორღაც დავთვერი, — წყნარად ჩურჩულებდა სერგეი მიტროფანოვიჩი, — დროა ძვლები დავასვენო. ტკბილიც ცოტა სჯობია და მწარეც იმდენი, ცრემლი არ გადინოს.

- ისევ ის იმღერე, მე და შენზე.
- ა-ა, ჩვენზე? კარგი, იყოს ჩვენზე:

დღეცისმარი თუ
ღამეცისმარი...



ქართული
ლიბრეოთეკა

და კვლავ წარმოუდგენენ სერგეი ნიტროფანოვიჩს თავისი ძველი ნიჭები და აღრიცხვებული ღამაზი გოგო, ვაგონს სირბილით რომ მისდევდა. ეს სიმღერა მათაც ეკუთვნოდა, ვისაც ჯერ კიდევ არ შეუძლო გამკლავებოდა განშორებასა და მწუხარებას.

გარეთ, მიწაყრილზე შეკრებილი დედაკაცები უსმენდნენ და იცინებდნენ. პანიას დედა უკვე მერამდენედ უყვებოდა დანანებით:

— ანსამბლში ეახლოდნენ, ამან კი, ამ ჩერბეტმა უარი უთხრა.

— აბა შენ იფიქრე, ნათლიდედ: ყველამ რომ ასაბლებში იაროს, ვიღამ იონოს და სირცხვილ-ნამუსი ვიღამ შეინახოს?

— მართალი არა ხარ, ანკუდინოვნა! თმი და ჩეხვა ყველას შეუძლია, ნიჭი კი ღვთის მადლია, ჰოდა, ეს მადლი საქმეში უნდა გამოიყენო, შეჭირვებულთა სანუგეშებლად.

— ნიჭი ყველასა აქვს, მაგრამ ყველა ვერ იყენებს.

— მიქარვაა.

— რის მიქარვა, რა მიქარვა. ნიჭი ერთადერთია და აზრიც ერთი აქვს, რომ ხალხს სიკეთე გაუკეთო. მაგრამ ნიჭს ამ მხრივაც ყველა კი ვერ იყენებს, სამწუხაროდ.

— მე მაგალითად შვილების გაჩენაში მქონდა ნიჭი...

— ეგ ხომ სუყველას, მეტი რომ არ გინდა, იმდენი გვაქვს...

— ნუ იტყვი, აგერ, პანკა კი...

— რაო, ვითომ, პანკა? ბერწია თუ რა? იმასა აქვს ნაკლი? იმისი ბრა-ლაა? — გაწიწმატდა პანიას დედა.

— ჩუმად, ქალებო, უსმინეთ.

მაგრამ მაინც ქარტალში ჩაატარეს სიმღერა დედაკაცებმა. კიდევ იდგნენ ცოტა ხანს, ვინ მოქნარებით, ვინ—პირჯვარისწერით, ვინ—უბრალოდ, ისე და, ბოლოს და ბოლოს, წავიდ-წამოვიდნენ სახლებში.

დასახლებაზე ღამე ეშვებოდა. მდინარე კარავაიკის დაბლობიდან, ხევების ამყოლებით სუსხი მოდიოდა და მალე ბალახზე თრთვილიც გაჩნდა. ლაქები დაიყარეს ბოსტნებმა, ნათიბებმა, სახლის სახურავებმა. უძრავად იდგნენ ტყეები და ზედ ეყინებოდათ უკანასკნელი ფოთოლი.

ხვალ ისევ შრიალითა და ხმაურით აივსება ტყე, ჯერ კი დასახლების თავზე ცურავდა ბნელი ცა, რომელზეც გამოჭიატებული ვარსკვლავთა სხივები ნემსებივით იჩხვლიტებოდნენ.

სიწყნარე იდგა დასახლებაში და დედამიწაზე. ეძინა ხალხს. სადღაც სხვა მხარეში მარადიული ძალით ეძინა საქვემეხო გათვლას, მრავალ საქვემეხო გათვლებს. ლითონითა და უამრავ მებრძოლთა სისხლით დამძიმებული დედამიწა უდრტვინველად იღებდა ნამსხვრევებს, თავის წიაღში ახშობდა ბრძოლების ექოს, მაგრამ ძველი ჯარისკაცის სხეულში თმი ცოცხლობდა გამოუნელებლად. იგი ყოველთვის უსმენდა მას თავის თავში.



მხატვარი: ტარიელ შერთაგაძე

Xონ გოლგუორთი

ფორსაიტის ბაღარჩენა



მონოგრაფია

თარგმანი რეკავ ჯაფარიძემ

ეს თარგმანი ჩემი ძველი ქაღალდების დაღვებისაა ეიპოვე. ცნობისმოყვარეობამ წამძლია და თავიდან ბოლომდე გადავიკითხე. დიდი ინტერესი მწერლის მშვენიერი მოთხრობა დღესაც კრძალბასაფით აჩნია გულს. უთუოდ ეს გრძნობა იყო, რამაც ია თდესდაც, ოცი თუ უფრო მეტი წლის წინათ, ქართულად მათარგმნინა. თარგმანი, რომელიც რუსულიდან არას შესრულებული, მცირედ შევასწორე და ამ საბით მკითხველს ვთავაზობ.

მკითხველი ადვილად ნიძახედება, რით მიიჩნია: „ფორსაიტების საფა“ საბელგანთქმული ავტორის ამ მოთხრობამ ჩენი ყურადღება და რად მოვიინდომე იგი ქართულად ამეცლერებინა.

მთარგმნელისაგან

1

სუიზინ ფორსაიტი ლოგინში იწვა. ჭალარა უღვაშით დაფარული პირის ვუთხეები ნიკაპისაკენ ჩამოვარდნოდა. მძიმედ სუნთქავდა:

— ექიმმა მითხრა, ძალიან ავად ხარო, ჯემს.

ტყუბისცალმა ძინამ ჯემსმა ხელისგული ყურთან მიიტანა

— არ მესმის, რას ამბობ. მეუბნებთან, იექიმეო. სულ უნდა იექიმო... ემილიც ექიმობდა...

— რანაირად ბურტყუნებ, ჯემს, ჩემი ლაქის, ადოლფის ლაპარაკი უკეთ მესმის. გამოვწაფე. სასმენი ძაბრი უნდა იშოვნო სადმე. აგრე რამ დაგაჩინანაკა.

სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ჯემს ფორსაიტი უცებ გამოცოცხლდა:

— ანდერძი ალბათ უკვე დაწერე და ყველაფერი ოჯახს დაუტოვე, სხვა ხომ მაინც არავინა გყავს. შენც დენსონივით არ მოგივიდეს, სამი დღის წინ მოკვდა და მთელი ფული საავადმყოფოს უანდერძა.

სუიზინს ჭალარა უღვაში წამოებურძგლა:

— ის ბრიყვი ექიმი მეც შემომიჩნდა, ანდერძი შეადგინეო, — თქვა მან, — მაგნაირი ხალხი არ მიყვარს, ანდერძის გამო რომ გიძვრებიან სულში. მადა კარგი მაქვს: გუშინ მთელი ხოხობი შევეჭამე. ნასადილევს თავს უკეთ ვგრძნობ. ექიმმა მითხრა, წამპანურს აღარ გაეკაროო. მე კი გემოზე მიყვარს ჭამა. ჯერ ოთხმოცისა არა ვარ. ჩვენ ხომ ერთად დავიბადეთ, ჯემს, მაგრაჰმ შინ რისგორ-ღაც ცუდად გამოიყურები.

— სხვა ექიმს ჰკითხე რჩევა, — მიუგო ჯემს ფორსაიტმა, — ბლანკი მოიწვიე, მაგაზე უკეთეს ექიმს ვერსად იპოვი. ემილის ავადმყოფობისას მოვიყვანე. ორასი გინეა დამიჯდა. ხომბერგში იმან გავხაენა. ამაზე უკეთეს ადგილსაც ვერსად ნახავ, თვით უფლისწულიც კი იქ დადის.

სუიზინ ფორსაიტმა თქვა:

— ბოლო ხანს, ჰაერზე ვერ გავდივარ და ცუდადაც მძინავს. არადა, ახალი ეტლი ვიყიდე. ბლომად ფული ჩავაყარე. ბრონქიტით არა ყოფილხარ ავად? ამბობენ, წამპანური წყენსო. მე კი მგონია, წამპანურზე უკეთესი წამალი არც არის.

ჯემს ფორსაიტი წამოდგა:

— სხვა ექიმი მაინც უნდა მოიწვიო. ემილიმ მოკითხვა შემოგიტვალა. გნახავდა, მაგრამ „ნიაგარაში“ მიდიოდა და ეჩქარებოდა. ახლა ყველა იქ დადის, მოდაშია. რეჩელი ყოველ დილას დაიარება. მეშინია, არაფერი მოიწიოს. დღეს იქ მასკარადა იმართება, პრიზებს ჰერცოგა დაარბევს.

სუიზინ ფორსაიტმა გულმოსულმა თქვა:

— სადაგელ კერძებს მიმზადებენ. მზარეულებს ვერაფერი შევასმინე. აი, კლუბში კი გემრიელი ისპანახი მოაქვთ.

კაცი მაშინვე შეამჩნევდა, სუიზინს ფეხები უკანკალებდა საბანქვეშ.

— ტინტორეტოს სურათებში კარგ თანხას დაატრიალებდი. არც მიწის რენტა გაძლევს ცოტა შემოსავალს. შენ ახლა იმდენი ფული გაქვს, ალბათ აღარც კი იცი სად წაიღო, — სველი ტუჩები გააწყლაპუნა ჯემს ფორსაიტმა.

სუიზინ ფორსაიტმა გამინადგურებელი მზერა მიაპყრო ძმას:

— ფული! — წაიბუზღუნა მან, — მარტო ექიმი რამდენი მიჭდება!

ჯემს ფორსაიტმა ცივი, ნოტიო ხელი გაუწოდა:

— ნახვამდის! სხვა ექიმი მაინც მოიწვიე... ცხენებს ამდენ ხანს ქუჩაში ვეღარ გავაჩერებ. ახლახან ვიყიდე. სამასი დამიჯდა. თავს გაუფრთხილდი, იცოდე. ბლანკს მე მოველაპარაკები. უსათუოდ ის უნდა მოიწვიო. ამბობენ, საუკეთესო ექიმიო. ნახვამდის.

სუიზინ ფორსაიტი ჭერს მიშტერებოდა: „საბრალო ჯემსი! დიდი ძუნწი ვინმე კია! თვითონ ალბათ ორასი ათასზე მეტი ექნება გადანახული!“

ცხოვრებაზე ფიქრმა წაიღო და ჩათვლიმა...

სუიზინ ფორსაიტი ავად იყო, ავადაც იყო და მარტოდმარტოც. მარტოდ-მარტო კარგა ხანია არის, უკანასკნელ ორ წელიწადში კი ავადაც გახდა, მაგრამ ისე უნდოდა ცხოვრება გაეღია, როგორც პირველი სიგარა მოსწია — მშვიდად, ბოლომდე. ყოველდღე კლუბში დაჰყავდათ. თავის ეტლში წამპანურიან საჯდომზე მოივალათებდა, ხელებს მუხლებზე დაიწყობდა და წინ ოდნავ გადაიხრებოდა. უჩვეულო ზეიმური გამომეტყველება ეხატა სახეზე, ხოლო კლუბში მისვლისას დაბაბს საყუდელში ჩარგავდა, ჯიბს მოიწვევლებდა და მხრებგამართული აუყვებოდა მარმარილოს კაბეს. მერე და მერე უცხო თვალს

მოშორებული სადილობდა. წინ ყინულიან სათლში მამპანურის ბოთლი ედგა. მედიდურად შეექცეოდა, გემოიანად, გულზე ხელსახოცი აედარებინა და თვალს არ აშორებდა ლაქიას. ხანდახან თვალს მოავლებდა იქაურობას, მაგრამ საღმისთვის თავს არ შეიწუხებდა.

ერქონეული

სუიზინ ფორსანიტი მოხუცებული იყო. ყურს აკლდა, ამიტომ მისი პარაკებოდა. არც სხვები აწუხებდნენ. კლუბის ჭორიკანა, ერთი ირლანდიელი ყველას ატყობინებდა:

— მოხუც ფორსანიტს შეხედეთ. ეტყობა, წარსული ვერა ბქონდა მთლად დაღაფებული და ამიტომ არის ასე უცხვირპირო.

სუიზინი უკვე კარგა ხანაა იწვა წამლებისა და სიგარის სუნით გაუღუნთილ, ვერცხლეულობით აელვარებულ და ელექტრონით განათებულ ამ ოთახში. ფანჯრებზე ფარდები ჩამოეფარებინათ. ბუბარში ცეცხლი მინავლულიყო. საწოლთან, მაგიდაზე ქერა ნახარშიან სურათთან „ტაამსა“ იდო. სუიზინმა წაკითხვა სცადა, მაგრამ ვერ მოახერხა და ხელახლა ფანჯრებში ჩაიძირა. მისი მკრთალი, პერგამენტივით გადათეთრებული ოთხკუთხანიკაპიანი სახე ნიღბივით დასვენებულიყო ბალიშზე. ო, რა მწვავედ განაცდიდა მარტოობა! ამ ოთახში ახლა ქალი რომ ტრიალებდეს, ყველაფერი შეიცვლებოდა. რატომ არ დაქორწინდა? სუიზინმა ღრმად ამოიოხრა, ჭერს ხელახლა მიამბროთ თვალები და — გაახსენდა... ეს ამბავი დიდი ხნას წინათ, ღრმად მოსულ წლის წინათ მოხდა, არადა, თითქოს გუშინ იყო...

სუიზინი ოცდათერამეტი წლის იცნებოდა, ეს ამბავი რომ შეეშახვა. მაშინ თავის ცხოვრებაში პირველად და უკანასკნელად მოგზაურობდა ევროპაში. თან ძმა ჯემსა და ვინმე თრავერა ახლდა. ვერმანიიდან ვენეციაში მიმავალი ხალცბურგას სასტუმრო „ოქროს ალბებში“ გაჩერდა. აგვისტო ილვოდა, მშვენიერი ამინდი იდგა. მზის შუქი და ველური ვაზის ჩრდილები თამაშობდნენ კედლებზე. ღამით მთვარე გამოიხედავდა და ისევ აცეკვლებოდნენ ფოთოლთა ჩრდილები.

სუიზინი სხვის რჩევას არასოდეს აპყვებოდა. ამიტომ არც ახლა წავიდა ციტადელის დასათვალიერებლად. დილიდან საღამომდე მარტო იყო. საწოლი ოთახაა ფანჯარასთან იდგა, უგუნებოდ აყოლებდა თვალს გამვლელ-გამომსვლელთ და სიგარას სიგარაზე ეწეოდა. ნაადილევს მოწყენილობამ სძლია. ჭუჩაში გავიდა. მედიდურად მიმავალს მკერდი წინ გამოეწია. სამხედრო ფორმაში გამოწყობილ ადამიანებს ცივად ათვალიერებდა. სამხედროების ამგვარი სიმრავლე არ სიამოვნებდა და შეურაცხყოფელიც კი ეჩვენებოდა. გუნება უფრო წაუხდა, როცა წვეროსანი უცხოელები დაინახა. ისინი გაუგებარ ენაზე ლაპარაკობდნენ და მყრალ თუთუნს აბრჩოლებდნენ. „ჰმ, ესეც ხალხაა რაღა!“ — ფიქრობდა სუიზინი. მისი ყურადღება მუსიკამ მიიქცია. მუსიკა პატარა კაფედან მოისმოდა. სუიზინი კაფეში შევიდა და უცებ თავგადასავლის წყურვილის მაგვარი რაღაც იგრძნო, ოღონდ ისეთი თავგადასავლისა, ჩვეულებრივ რაიმე საფრთხე და საშიშროება რომ არ მოჰყვებოდა თან. გემოიანად სადილობაშაც კიდევ უფრო გაუძლიერა რაღაც არაჩვეულებრივის განცდის სურვილი. იგი აღმოჩნდა Bier-halle-ში. ასეთი ლუდხანები მრავლად იყო ორმოცდაათიანი წლების გერმანიაში. ხის დიდი ფარნით განათებულ დარბაზს ორი

გასასვლელი ჰქონდა. პაწაწინა ესტრადაზე სამი მევიოლინე უკრავდა. თამბა-
 ქოს კვამლში თორმეტიოდე მაგიდას თითო-თითო ან პატარ-პატარა ჭკუფებად
 უსხდნენ ადამიანები. ოფიციანტები ცარიელ ტოლჩებს დაარბენინებდნენ.
 სუიზინა დაჯდა და მჭახედ დაიძახა: „ღვინო!“ გაკვირვებულმა ოფიციანტმა
 ღვინო მოუტანა. „შეაფსე!“ — მწყრალად ანიშნა სუიზინა ღვინოს ტოლჩაზე.
 ოფიციანტმა დაუსხა. „აი, ასე! — გაიფიქრა სუიზინმა, — თუკი მოინდობენ, ყვე-
 ლათური კარგად ესმით“. მოშორებით ოფიცრები ხარხარებდნენ. მან უკმაყოფი-
 ლოდ გაიხედა იმ მხარეს და უცებ ზედ ყურის ძირში ჩაესმა მშრალი ბველება.
 მარცხნივ ვიღაც კაცი იჯდა, მაგიდაზე გადაფარებულ ვაზეთს ნიღაყვებით
 დაყრდნობოდა და კითხულობდა. გამბდარი მხრები თითქმის ყურებამდე ას-
 წურვოდა. თხელსა და გრძელ ცხვირს საოცრად მსხვილი ნესტოები უბოლო-
 ვებდა. აბურღული წაბლისფერი წვერი მკურდსა და ერთთავად დანაოჭებულ
 ფერგაცლილ პირსახეს უფარავდა. უცნაური არსება იყო, კუშტი და ამპარ-
 ტიფანი. უცნობისა არც ტანსაცმელი მოეწონა სუიზინს. ასე ეურნალისტები
 და მოხეტიალე აქტიორები იცვამდნენ. გასაოცარი იყო: ამხარად გამოწყო-
 ბილ კაცს რატომ უნდა მიექცია სუიზინის ყურადღება! ამასობაში უცნობმა
 ბალნაინი ხელი გაიწვდინა და მუჭი სასმელით სავსე ჭიქა აიღო. „კონიაკია“, —
 გაიფიქრა სუიზინმა და უეცრად აატაკზე დავარდნილა სკამის რახუნმა შეაკრ-
 თო — მისი მეზობელი წამოდგა. საოცრად მაღალი და გამბდარი კაცი აღმოჩნ-
 და. უშველებელი წვერი თითქოს პირიდან გამოსდიოდა. მრისხანედ უყურებ-
 და ოფიცრებს და რაღაცას ბუტბუტებდა. სუიზინმა სიტყვები გააჩია.
 „Hunde! Deutsche Hunde!“ „ძაღვები! გერმანელი ძაღვები — გონებაში გა-
 დათარგმნა მან. — ჰმ, მაგრად მოსდგა!“ ერთი ოფიცერი წამოდგა და ხმალი
 იშიშვლა. უცნობმა სკამს წაწიაველო ხელა, მოიქნია და ოფიცრებისაკენ ისრო-
 ლა. ხალხი წამოიშალა. ჩხუბის ამტებს გარს შემოფერტყნენ. „მადიარებო,
 ჩემთან!“ — დაიყვირა უცნობმა.

სუიზინს გაეღიმა. ამ უჩარმაზარმა კაცმა, რომელიც ასე უშიშრად ეკვეთა
 ეგზომ მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეს, მისდა უნებურად აღტაცება მოჰ-
 გვარა. სუიზინმა ისიც კი გაიფიქრა, ხომ არ მიეცხმაროთ, მაგრამ გადაწყვიტა,
 თუ უარესი არ დამეძართა, ცხვირს მაინც გამიტეხნო და უშიშარი ადგილის
 მოსაძებნად მიიხედ-მოიხედა, მაგრამ სწორედ ამ დროს ღიმილის ნაჭერი
 მოხედა ლოყაში. სუიზინი წამოვარდა და ოფიცრებისაკენ გაექანა. უცებ უნ-
 გრელის მადლიერ თვალებს წააწყდა. ის კვლავ სკამებს აქნევდა. წამით სუი-
 ზინი საკუთარმა დიდსულოვნებამ აღიტაცა, მაგრამ სწორედ ამ წამს ვიღაცის
 ხმალი ხელი გაუკაწრა და მან ერთბაშად დაჰკარგა უნგრელისადმი კეთილ-
 განწყობილება.

„ეს კი მეტისმეტია!“ — გაიფიქრა მან, სკამს წაეტანა და ფარანს ესროლა.
 გაისმა ჭახანი. სახეები და ხმლები გაქრნენ. სუიზინმა ასანთი გაჰკრა და კარი-
 საკენ მოჰკურცხლა. წამიც და, ის უკვე ქუჩაში იყო.

2

ვიღაცამ ინგლისურად უთხრა: „გმაღლობთ, ჩემო ძმაო!“

სუიზინმა მოიხედა. მის წინ უნგრელი იდგა და ხელს უწვდიდა. სუიზინმა
 ხელი ჩამოართვა, მაგრამ მაშინვე გაიფიქრა, ეს რა სისულელე ჩავიდინეო. უნ-
 გრელი თითქოს ანიშნებდა, ხელს რომ გართმევ, მე და შენ ერთნი ვართო.

სუიზინს ბოღმა მოერია, მაგრამ ამავე დროს ესაიამოვნა კიდევ უფრო მეტი კიდევ უფრო მაღალი მოეჩვენა. ყბა გაჩეხილი ჰქონდა და სისხლი მოწვეთავდა წვერზე.

— ინგლისელები? — თქვა მან, — მინახავს, ქვევით რაღაც ნივთებით გეინათს. ისიც მინახავს, კოსმუტს როგორ ესაღმებოდით. — თქვენს თქვენს უფლებების მოყვარე ყრი ჩვენთვის ახლობელია! — სუიზინს ახედ-დახედა: — თქვენ დადი კაცი ხართ, დადი სულის ადამიანი, დონეც მოგდევთ, როგორ მიყარ-მოყარეთ ყველანი!

სუიზინს უცებ მოუნდა, აედგები ახლა და უკანმოუხედავად გავიქცევიო.

— მე ბოლშეშსკე გახლავართ, — თქვა უნგრელმა, — თქვენ ჩემი მეგობარი ბრძანდებით.

ინგლისურად კარგად ლაპარაკობდა.

„ბოლშეშსკე... ბოლშეშსკე... — გაიფიქრა სუიზინმა, — რანაირი გვარია!“

— ჩემი გვარი ფორსაიტია.

უნგრელმა გაიძვტრა.

— ლოყაზე ღრმა ჭრილობა გაქვთ, — წაიბუტბუტა სუიზინმა. უნგრელის აბურღული, სისხლში დამბალი წვერი ზიზლსა ჰგვრიდა.

უნგრელმა ჭრილობისაკენ წაიღო ხელი, მერე სისხლით დასვრილ თითებზე დაიხედა და წვერის ბლუჯა ვულგრილად მიიფარა ჭრილობაზე.

— ფუ! — წამოცდა სუიზინს, — აი, ცხვირსახოცი გამომართეთ!

— გმადლობთ, — თავი დაუკრა უნგრელმა, — ამის გაფიქრებასაც ვერ გავბედავდი. დიდად გმადლობთ!

— გამომართეთ! — ჩაიღრინა სუიზინმა, რატომღაც ცხვირსახოცს ახლა დიდ მნაშენელობას ანიჭებდა, ძალით მიაჩენა უნგრელს და უცებ ხელზე ტკავილი იგრძნო. „აჰა! — გაიფიქრა მან, — ეტყობა, კანქვეშ გაატანა!“

უნგრელი ისევ ბურტყუნებდა, ყურადღებას არ აქცევდა გამვლელ-გამომვლელთ:

— ღორები! ხომ მოარტყით რიგიან-პირიანად! ორს თუ სამს, მგონი, თავიც გავუტეხეთ. მხდალი ღორები!

— ყური მიგდეთ, — თქვა უცებ სუიზინმა, — „ოჭროს ალპებამდე“ რა გზით უნდა მივიდეთ?

— როგორ, — გაიოცა უნგრელმა, — ჩემთან არ შემოივლით, ორ ჭიქა ღვინოს არ მიირთმევთ?

სუიზინმა თვალები დახარა და გულში გადაწყვიტა: „არაფრის გულისათვის!“

— თქი — ღირსეულად წარმოთქვა უნგრელმა, — ჩემთან მეგობრობას არ კადრულობთ?

„ღარიბია, მაგრამ თავმოყვარე“, — გაიფიქრა სუიზინმა, მერე ენა ქლივს მოიბრუნა და გაუბედავად დაიწყო:

— თუკი თქვენ ასე ფიქრობთ...

უნგრელმა თავი დახარა და ჩაილაპარაკა:

— მაპატიეთ...

ათი ნაბიჯის გავლაც ვერ მოასწრეს, ვიღაც ლოყებჩაცვენილი, უწვერული ახალგაზრდა გადაუდგათ წინ.

— დვთან გულისათვის, დამეხმარეთ, ბატონებო!

— გერმანელი ხართ? — ჰკითხა ბოლზუორთს.

— დიახ, — მიუგო ყმაწვილმა.

— მან, ჯანდაბამდინაც გზა გქონია!

ბატონებო, შემომხედეთ! — პალტო გადაიწია ახალგაზრდამ და შიშველი სხეული გამოიჩინა.



სუიზინს ხელახლა დაეუფლა ვაქცევის სურვილი. თანაც საშინელი გოძობა არ ეშვებოდა, რაღაც ისეთს შეეცხე, რასთანაც არაფერი უნდა ესაქმებოდეს ნამდვილ ჯენტლმენსო.

— გამოგვყევი, ძმაო, — პირველად გადაისახა უნგრელმა.

სუიზინმა ცერად გადახედა თანამგზავრებს, მაგრამ გაყოლით კი გაპყვა. თითქმის სრულ სიბნელეში ხელების ფათურით აიარეს კიბე და დიდ ოთახში აღმოჩნდნენ. ფანჯრიდან მთვარის შუქი იჭრებოდა ოთახში და აქაურობას ანათებდა, ლამაზ ბეჭტავდა. ოთახში ვარდის ნაზ სურნელებში არეული სპირტისა და თუთუნის სუნია იდგა. ერთ კუთხეში გაჩეთები იდო, მეორეში — ციმბალები. კედლებზე სველებური დამბახები და ქარვის კრილოსანი ეკიდა. ავეჯიაათვის გულმოდგინედ მიეჩინათ თავ-თავისი ადგილი, მაგრამ ყველაფერი მტკვრს დაუფარა. ბუბრის წინ აულაგებელი მაგიდა იდგა. ჰერა, კედლები და იატაკი მუქი ხისა იყო. თუმცა ავეჯი სახელდახელოდ ეყიდათ, ოთახს მაინც ეტყობოდა ლაზათი. უნგრელმა ბოთლი გამოიღო განჯიხიდან, ჭიქები ააგათ და ერთი სუიზინს მიაწოდა: „დალევას სიკვდილი მირჩევნია, მაგრამ მეტი რა გზა მაქვს!“ — გაიფიქრა სუიზინმა და ჭიქა ფრთხილად მიიტანა ტუჩებთან. დგინო სქელი იყო, მატკბო, მაგრამ სასიამოვნო.

— თქვენი სადღეგრძელო იყო, ძმებო! — უნგრელმა ხელახლა შეავსო ჭიქები.

ახალგაზრდას თავბატივი არ გაუღლია, ჭიქა განოსცალა. სუიზინმაც მის მაგალითს მიბაძა, ახლა კი ეცოდებოდა ეს ყმაწვილი.

— ხვალ მოდით ჩემთან, — უთხრა მათხოვარს, — პერანგებს მოგცემთ.

როდესაც ყმაწვილი წავიდა, სუიზინს გაახსენდა, მისამართი არ მათქვამსო და შუბებით ამოისუნთქა.

„ასე ჯობია, — გაიფიქრა მან, — ვიღაც ოხერი იქნება!“

— თქვენ რა უთხარით? — მიუბრუნდა უნგრელს.

— მე უუთხარი, ხომ გასვი და გაჭამე, გეყოფა, ახლა კი ჩემი მტერი ხარ-მეთქი.

— მართალია, ნამდვილად აგრეა! მათხოვრები ყველას ემტერებიან.

— ვერ ვამიგეთ, — თავაზიანად იუარა უნგრელმა, — სანამ მშიერი იყო...

მეც მათხოვია მოწყალემა...

„ღმერთო ჩემო! — გაიფიქრა სუიზინმა, — ეს უკვე აუტანელია!“

— მაგრამ ახლა, როცა კუჭი გამოფუძღე, ვინ ბრძანდება? ვინდა, ჩვეულებრივი გერმანელი ქოფაკი. არც ერთ ავსტრიელ ძაღლს არ მივცემ უფლებას, ჩემი სახლი გააბინძუროს!

სუიზინმა შეამჩნია, ამის წარმოთქმისას ბოლზუორთს ხმა ჩაეხლიჩა, ცხვირის ნესტოები უსიამოვნოდ დაებერა.

— მე დევნილი ვარ, — განაგრძობდა იგი, — მთელი ჩემი საგვარეულო დევნილია. ყველაფერი კი მაგ ქოფაკი ძაღლების ბრალია!

სუიზინი მაშინვე დაეთანხმა.

ამ დროს ვილაყამ შემოიხედა ოთახში.

— როზი! — შაიძახა უნგრელმა.

ყმაწვილი ქალი შემოვიდა. საშუალო ტანისა იყო, ჩამრგვალებული, მაგრამ კოხტა. მსხვილი ნაწნავები შეენოდა. გაბრწყინებული ნაცრისფერი თვალებით ხან ერთს მიჩერებოდა, ხან მეორეს, ილიძებოდა და უფროსს კბილებს აჩენდა. პირიასხეც მრგვალი ჰქონდა, წარბები ოდნავ მხარბობდა. თანამდებზე ველური ვარდის ნაზი სიწითლე დაჰკრავდა. სისხლის დანახვანე ქალიშვილმა ხელი ლოყაზე მიიღო და ვილაყას დაუძახა: „მარგიტი!“ ახლა მეორე ქალიშვილი გამოჩნდა, პირველზე უფროსი და ცოტა უფრო ტანმალალი. ახლად მოსულს ლამაზი მხრები, დიდი თვალები და მშვენიერი პირი ჰქონდა. ოღონდ ცხვირი მიუგავდა იხვას ნისკარტს. „იხვნისკარტი!“ — სუიზინი შემდეგ მუდამ ასე იბსენებდა მარგიტს. როზი კრუტუნით უხვევდა მამას კრილობას. სუიზინს იაეე ასტკივდა ხელი.

„მუდამ ასე მოგივა, სადაც არ გესაქმება, იქ რომ ჩაჰყოფ ცხვირს, — ჯაერობდა სუიზინი, — ასე კისერსაც მოიტეხს!“ უცებ ხელზე ვილაყის რბილი ხელი შეეხო და სუიზინა თვალები ქალიშვილის თვალებს წააწყდნენ, აღტაცებულსა და ამაეე დროს ოდნავ დამორცხვებულ თვალებს. ამ დროს ვილაყამ დაიძახა: „როზი!“ კარმა გაიჯახუნა. აქამდე განუცდელი ბუნდოვანი შფოთით აღვზნებული სუიზინი კვლავ ნარტოღნარტო დარჩა უნგრელთან.

— თქვენს ქალიშვილს როუზი ჰქვია? — იკითხა მან, — ჩვენშიც, ინგლისშიც არც ეს სახელი, როუზი ვარდს ნიშნავს.

— როზი, — გაუსწორა უნგრელმა, — ინგლისური ძნელი ენაა, ფრანგულზე, გერმანულზე და ჩეხურზე ძნელი, თვით რუსულზე და პოლონურზე უფრო ძნელიცაა. მე სხვა ენები არ ვიცი.

— როგორ? — წაიბურტყუნა სუიზინმა, — ექვსი ენა იცით? — თან გაიფიქრა: „ტყუილისათვის ჯიბეში არ ჩაძვრება“.

— ეჰ, თქვენ რომ იმ ქვეყანაში გეცხოვრათ, სადაც ყველა თქვენი მტერი იქნებოდა... ჩვენ თავისუფალი ხალხი ვართ. სიკვდილის პირას ვართ მისული, მაგრამ მაინც არ ვკვდებით.

სუიზინმა ვერაფრით ვერ გაიაზრა, რაზე ელაპარაკებოდნენ. უნგრელის შებანდული სახე, წავა, აბურღული წვერი, შეუპოვარი გამოძეტყველება, გააცვებული ლულუღი და ყრუ ხველება უსიამოვნოდ აღიზიანებდა. უნგრელი გონებასუსტ ადამიანს ჰგავდა. თამამად, დაურიდებლად, თითქმის თავსედურად გამოხატავდა თავის გრძნობებს, მაგრამ ეს გრძნობები ისე ღრმა და უტყუარი იყო, რომ სუიზინი უნებურმა თრთოლვამაც კი შეიპყრო.

რადაც გამოუცნობი გრძნობა დაეუფლა იმ კაცივით, ვინც ეს-ეს არის გავარჯარებულ ქურაში შეახედეს.

— რას იზამდი, ფრანგებს რომ დაემარცხებინეთ? — ჰკითხა ბოლშეაკმა. სუიზინმა გაიღიმა. მერე თითქოსდა სილა გააწნესო, წამოიძახა:

— რათ? მაგ ლიფსიტებზე ამბობთ? აბა, გაბედონ!

— დალიეთ, — თქვა ბოლშეაკმა და სუიზინს ჭიქა შეუღესო, — ასეთ ღვინოს ვერსად ვერ იშოვნით. ახლა ჩემს ამბავს მოგაყვებით.

სუიზინი სასწრაფოდ წამოდგა.

— უკეე გვიანია, — თქვა მან, — ღვინო დიდებული გქონიათ. ბევრი გაქვით?

— ეს უკანასკნელი ბოთლია.

— როგორ, შერე მათხოვარს დააღვინეთ?

— მე სტეფან ბოლენსკე მქვია, — თავი ამაყად ასწია უნგრელმა, — კომორთნელი ბოლენსკების გვარისა ვარ!

ამ უბრალო სიტყვებით ყველაფერი ითქვა, მეტი ახსნა-განმარტება /საჭირო აღარ იყო. სუიზინი ნოიხაბლა და დარჩა კიდევ უნგრელთა მხარეს მისასწავლად.

— რამდენ დამცირებას, რამდენ უსამართლობას, რამდენ სიმხდალეს შევესწარი... ვხედავდი, როგორ იგრაგნებოდნენ ღრუბლები ჩემი სამშობლოს თავზე. ავსტრიელებმა სულია ამოხდა დაგვიპირეს, თავისუფლების ჩრდილსაც კი გვართმევდნენ. ჩრდილიღა გაგვანდა და იმავე გვართმევდნენ, ორი წლის წინათ, ორმოცდარვაში... ეჰ, ძმაო, წყუღლიმც აყვნენ ისინი! იმ წელიწადს იარაღზე ვავიკართ ხელი, დიდი და პატარა გამოვედით სანშობლოს დასაცავად. მთელი ჩემი საგვარეულო გამოვიდა, მე კი... მე კალმით უნდა შებრძოლა. ასე მიბრძანეს. სიყრმის შვილი მომიკლეს, ძმები ციხეში ჩამაყარეს, მე კი ძალღივით გამომაგდეს ჩემი ქვეყნიდან. მაგრამ მაინც ვწერდი, სისხლით ვწერდი, საყუთარი სისხლით...

ბოლენსკე უზარმაზარ ჩრდილსა მგავდა. შუა ოთახში იდგა გამხდარი და გაწამებული. თვალები ერთი წერტილისათვის მიეპყრო.

სუიზინი იდგა და წაილულლულდა:

— დიდად გნადლობთ, ძალიან საინტერესო ამბავი იყო...

ბოლენსკე კვლავ ერთ წერტილს მიასჩერებოდა და აღარ აკავებდა სტუმარს.

3

— ნახვამდის, — სუიზინი შიშნელ დაეშვა კიბეზე.

როდესაც სუიზინმა სასტუმროს ძიადწია, კარებში შეშინებული ძმა და მეგობარი დაინახა. უღრთოდ დაბერებულმა, ბაკეხბარღებიანმა თრაკერმა, რომელიც ლაპარაკში შოტლანდიურად უქცევდა, შენიშნა:

— ძალიან ადრე კი მოდიხარ, მეგობარო!

სუიზინმა რაღაც წაიბუხლუნა და დასაძინებლად წავიდა. ხელზე პაწაწინა კრილობამ გააბრაშა. ბედმა ძალისძალად აჩვენა ის, რის ნახვაც თავის დღეში არ მოსწყურებია. მაგრამ ამ უსამოცნო მოგონებაში გულის საამებლად ხანდახან მაინც გაკრთებოდა რომის სახე და ფაფუკი ხელი. დილით საუხსმეზე ძმამ და თრაკერმა გამგზავრების სურვილი გამოთქვეს. ჭემსა განმარტა, სხვა კოლეგეციონერს აქ არაფერი ესაქმება, სიძველეების სავაჭროები ებრაელთა ან გადაყიდვულებს ხელშიათ. სუიზინმა ყავის თანჯანი გადადგა.

— რაც გინდათ, ისა ჰქენით! მე აქ ვრჩები.

ჭემს ფორსაიტი აღელდა:

— რა გინდა, რისთვის რჩები, აქ რა უნდა გააკეთო! დასათვალე რებელი არაფერია, მარტო ეტადელია, მაგრამ შენ მისი დანახვაც არ გინდა!

— ვინ მოგახსენა?! — წაიბუხლუნა სუიზინმა.

როდესაც თავისი ვაიტანა, ოღნავ დამშვიდდა. ხელი აბრეშუმის ნაჭერზე ეკიდა. იცრუა, ფეხი ამიცურდა და დაეცეო. ნასაღწმევს სუიზინი სასერიწოდ წავიდა. ხილთან მივიდა. მარგალიტასფერ ქედებმა თანზე თვალს კრიდან მზის შუქში გახვეული წაწვეტებული სახურავები. პატარა სუფთა ქალაქი

თვალს ახარებდა. სუიზინმა ციტადელს წააპყრო მზერა და გაიფიქრა: „კარგა ცინგ-სიმაგრეა! სულაც არ განიკვირდება, მიუღვამელი რომ აღმოჩნდეს“. რაღაც იდუმალი მიზეზის გამო ამ აზრმა კნაყოფილება მოპგვარა. უცებ, მისდა მოულოდნელად გადაწყვიტა უნგრელის სახლი მოეძებნა.

შუადღე იქნებოდა, სიცხისაგან ფერწასული და ორი საათის შემდეგ ანაწილები, მაგრამ უფრო ვაჭიურებული სუიზინი რომელიღაც ქუჩაში სიძვრად და უსააოოდ იყურებოდა აქეთ-იქით, როდესაც ზემოდან ხმა მოესმა: „მისტერს! სუიზინმა იხედა და რომი დაიანახა, რომის მრგვალი ნიკაპი ხელზე ჩამოვლო და ვაქს ეშმაკურად გადსოპყურებდა. როდესაც ვაქი თავის დიკვრით შეესალმა, ქალიშვილმა ტანი შემოპკრა და სუიზინიც მიხვდა, მოვწონვარ და მამხნევებსო. იგი ისე სხარტად მიეახლა სახლთან რომლოდინე ქალიშვილს, რაც სულ არ შეეფერებოდა მის აწოწილსა და მოუქნელ ტანს. უცებ ვაქს რომელიმე უცხო ენაზე დალაპარაკება მოუწია.

— შადმუახელ, — დაიწყო კიდევ, — ჰმ, ე... ე... bon jour!, ისა... მამათქვენია...

— ჩვენ ინგლისური ვიცით, — უპასუხა უფროსმა, — მობრძანდით! სუიზინმა ავი წინათგრანთბა ჩაიხშო და შევიდა. ღღისით ოთახი მიტოვებულს ჰგავდა, ამხუდროვებდა სადღაც გამქრალიყო. თითქოს უბედურებისაგან გაარტყალი ან ყისმათგამრუდებული ადამიანების თავშესაფარი ყოფილიყო.

სუიზინი დაჯდა. „მართალია, უცხოელი ვარ — ამბობდა ითარს იგო, — მაგრამ მაინც ვერ გამაცურებთ“. ქალიშვილები უხმოდ შესცქეროდნენ სტუმარს. რაზონ მოკლე ქვედაკაბა და თეთრი კოფთა ეცვა. მზრებზე მოქარგული შალი მოვხურა, მის დას მუტ-მწვანე კაბა ეცვა, ყელზე მბივი ჩამოეკიდა, თმა ორივეს დაწმული ჰქონდა. მცირე დუმილის შემდეგ რომი სუიზინის ხატკენ ხელს შეეხო.

— არაფერია, — წაიბურტყუნა სუიზინმა.
— მამა სკამს მაინც იქნევდა, თქვენ კი ცარიელი ხელებით ჩხუბობდით, — თითქოსდა უკვირსო, თქვა რომიმ.

სადი ხელი სუიზინმა მომუქა და ღონივრად მოაქნია. მისდა გასაკვირად, რომის გავცინა, სუიზინს ეწყინა. სადი ხელი მაგიდის ქვეშ შეპყო და ასწია. რომიმ ტანი შემოპკრა: „ოჰ, ახლა კი ვხედავ რა ღონიერიც ყოფილხართ!“ ამ სიტყვებზე რომი ფანჯრისაკენ გაფრინდა. მასა სწრაფი და აზრიანი შემოხედვა აბნევდა სუიზინს. როდესაც რომი რაღაც უხილავს უყურებდა სადღაც მის გვერდით, სუიზინი უფრო იბნეოდა. მარგიტიასაგან გაიგო, თითქმის თრი წელიწადი ინგლისში ცეხოვრობდით სანიგენით, იქ მამა უცხო ენებს ასწავლიდა და ამით ვარჩენდით თავს, ახლა კი, წელიწადზე მეტია იქ, ხალცბურგში ცეხოვრობათ.

— ვუცდით. — ხარზემით განაცხადა რომიმ და მარგიტიამაც ასევე ხარზემით გაიგორა:

— ვუცდით!
სუიზინმა თვალუბიც კი გადმოქაჩა, ისე მოუწია გაეგო, რას უცდიდნენ ეს ქალიშვილები, რა უცნაურები არიან, რა უცნაურად იყურებან სადღაც

1 დაშახ-აქვბელი ბიუიარ — გამარჯობათ (ფრანგ.).

შორს, სუიზინმა ყურადღებით შეათვალიერა ქალიშვილები. „ჩაცმა-დახურვა მოუხდებოდა“ — გაიფიქრა მან და შეეცადა წარმოედგინა მოდურად გამოწყობილი და ლამაზად დავარცხნილი როზი. მართლაც, როზის ისეთი მოქნილი ტანი, ფაფუკი თმა და პაწია ხელები ჰქონდა, რომ სწორედ მოუხდებოდა კარგი ჩაცმა. სუიზინს უცებ თავისი ხელები, სახე და ტანსაცმელი აკანსენდა და აწრიალდა. ახლა ეს მოუწყობელი, მტვრიანი, გამოხუხუნილი კაცისი ზიზღს ჰგვრიდა. წამოდგა და კედელზე დაკიდებულ დანბარებს დაუწყო თვალიერება. „ცვაფილნარის სუნია“, — გაიფიქრა და ისევ როზის მიუჭდა.

— ცეკვა გიყვართ? — ჰკითხა როზიმ, — ცეკვა ხომ სიცოცხლეა. მუსიკის გაგონებაზე ფეხები თავად მიწვევენ საცეკვაოდ. საოცარია! ჯერ ნელა იწეებ... მერე უფრო ჩქარა, კედევ, კედევ... და უკვე მიუჩინავ, ველარაფერს არჩევ. აჰ, რა კარგია!

სუიზინს თანდათან ეპარებოდა სიწითლე, როზი თვალს არ აშორებდა მას და განაგრძობდა:

— როცა ცეკვავ, შორს მინდობს, სივრცეს ვხედავ, ფეხები კი — ერთი, ორი, სამი... ერთი, ორი, სამი... სწრაფად, სწრაფად ცეკვავენ, კედევ უფრო სწრაფად და ფრრრ...

როზი წამოდგა, მთელს ტანში ვრუანტელმა დაუარა: „მარკიტ, ვიცეკვოთ!“ სუიზინის საუბედუროდ ქალიშვილებმა ხელები შემოაწვეს მხრებზე ერთმანეთს და ფეხების ფლატუნაა და აქეთ-იქით ჩწევას მოჰყვნენ. თვალები მიენაბათ, თავი უკან გადაეგდოთ და ისე ცეკვავდნენ. მერე ფეხს აუჩქარეს, აქეთ-იქით იხრებოდნენ, ბოლოს სუიზინის წია დაბზრიალდნენ და ვარდის ფურცლების მსუბუქ სურნელში გაახვიეს.

ქალიშვილები ისევ ტრიალებდნენ, როცა ოთახში ბოლემსკე შემოვიდა. მან ორივე ხელი ჩამოართვა სუიზინს:

— კეთილი იყოს, ძმაო, თქვენი მობრძანება! მე არ დანვიწყებია თქვენი ნატკენა ხელი — მისი ღრმად ჩაცვივნილი თვალები და გაყვითლებული, ღირსებით აღსავსე სახე მადლიერებას გამოხატავენ. — ნება მიბოძეთ, ჩემი მეგობარი ბართონი კასტელიცი წარმოგიდგინოთ.

სუიზინმა თავი დაუკრა უზღვრად შემოსულ შუბლდაბალ მამაკაცს, რომელსაც მკერდზე მიედო თეთრხელთათმნიანი ხელი. რალაციით კატას ჰგავდა ეს ბატონი. სუიზინმა მამინვე ამოიჩემა სტუმარი. ის კი არაფა, მისდამი ზიზღიც კი გაეღვიძა, ბოლემსკეს, პარიქით, ჰქონდა რალაც ისეთი, ზიზღს რომ გამორიცხავდა. იქნებ მისი გოლიათური მოყვანილობის ბრალი იყო ეს ან იქნებ გრძნობა იმ ადამიანისადმი, ვისთან ერთადაც მოუწია ჩხუბმა, იქნებ ბოლემსკეს ზვიადი და მკაცრი სახე იყო ამის მიზეზი, ან იქნებ ბუნდოვანი გუჟმანი, რომ შეუძლებელია ამ კაცის შეზიზღება? მაგრამ საკუთარი პიროვნების უპირატესობის ჭეშმარიტი ინვლისური გრძნობა დაეუფლა სუიზინს კასტელიცის ნატვიფი ყბებია, დაბალი შუბლისა და მოუსვენარი ხავერდოვანი თვალების დანახვაზე. „თქვენი მეგობრება ჩემი მეგობრები არიან“, — თავაზიანად ჩაილაპარაკა კასტელიცმა. უცებ ოთახი უცნაური ხმებით აცესო. სუიზინი მობრუნდა: როზი ციმბალზე უკრავდა. ხელში პატარა ჩაქუჩები ეკავა და ლითონს აქლერებდა. ხმა ხან მაღლა იწევდა, ხან დაბლა დაეშვებოდა და უცნაურ მელოდიას ჰქმნიდა. კასტელიცი ანთებულ თვალებს არ აშორებდა როზის.

ბოლქმსკე თავს აქნევდა და იატაკს ჩაპყურებდა. გაფითრებული ნარგიტი ქანდაკებასავით იდგა.

„ნეტავ რა მოსწონთ, ნუთუ ეს მუსიკაა?“ — გაიფიქრა სუიზინმა და შლასას მისწვდა. როგორც კი ეს შენიშნა, როზიმ დაკვრა შესწყვიტა, სახეზე შეშფოთება გამოეხატა. სუიზინსა თუნავ გაუარა იმ წყენამ. მას შემდეგ უკუბრუნდა და შეეძრა რომ შემოენთო და შეებრაღა კიდევ როზი. მკვლამს მკვლამს კვიბუტა, წამოხტა და ზურგი შეაქცია სუიზინს. და უცებ სუიზინს თითქოს გონება გაუნათდა:

— სადილზე გპატივებთ ხვალ, — უთხრა მან ბოლქმსკეს, — თქვენს მეგობართან ერთად, სასტუმრო „ოქროს ალბებში“.

სუიზინი გრინობდა, როგორ შემოსცქეროდნენ ყველანი. მას მისჩერებოდნენ უნგრელის ლამაზი თვალები, მარგიტის ფართოდ გახედილი თვალები, კასტელიცის ბოღნით წაწვრილებული თვალები და, ბოლოს, როზის თვალები. სუიზინი დიდად კმაყოფილი იყო საკუთარი თავისა, მაგრამ როგორც კი ქუჩაში გავიდა, მწარედ გაიფიქრა, ეს რა მოვიმოქმედეთ. თავა ძალა დაატანა, ორი-სამი ნაბაჯი ისე გაევილო, უკან არ მოეხედა, ნერე მობრუნდა, ნაძალადეგად გაიღიმა და თავი დაუკრა ფანჯარაში გადმომდგარ ქალიშვილებს.

მოუხედავად ამ წუთიერი უგუნებობისა, სუიზინი მთელ დღეს უზომოდ აღვხნებული იყო და სადილზე შეფარვით უცქერდა ძმასა და თრაკერს. „აბა რა ესმით ამათ ცხოვრებისა? — ფიქრობდა იგი, — თუნდაც მთელი წელიწადი რომ იცხოვრონ აქ, მაინც ვერაფერს დაინახავენ“. მზიარულობდა, ოხუნჯობდა: ლაქიას მენიუც კი შიაკრა ფეწტამალზე და ბოლოს გამოაცხადა:

— აქაურობა ძალიან მომწონს. სამ კვირას მაინც დავრჩები კიდევ.

ქემსმა პირი დაალო, ქლიავი რომ ჩაედო, მაგრამ შეშინებული მიაჩერდა ძმას.

4

წვეულების დღეს სუიზინი ძალიან დელავდა: ვინ იცის, ბოლქმსკე როგორ აქნება ჩაცმულიო და სადილი განზრახ ადრე დანიშნა, როდესაც რესტორანში ძალიან ცოტა ხალხია. თვითონ საგანგებოდ გამოუწყო და თუმცა ხელი ისევ სტკიოდა, სახვევი მოიხსნა.

სანი საათის შემდეგ სუიზინმა და მისმა სტუმრებმა დატოვეს „ოქროს ალბები“. მზე ჩადიოდა. ნდინარის პირას, ბინდით მოსილი ცის ფონზე მკვეთრად ისახებოდნენ სახლები. ქუჩები ხალხს ავსო, ყველას შინ მიეჩქარებოდა, სუიზინი ბურანში იყო. თვალებამღერგულს ხან ცარიელი ბოთლები ვრცვნიებოდა, ხან მიწა ჩაშტერებოდა, ეგონა, ამქვეყნად შეუძლებელა შევძლებო. სახეზე დიმილი გადაურბენდა ხოლმე, როცა გაახსენდებოდა, სუფრაზე რა სკვანურად ვლაპარაკობდიო. აგონდებოდა ძმის და თრაკერის მკავე გამოშეტყველება. იანნი კუთხეში მისხდაარიყვნენ, ჩვეულებრივ სადილს შეექცეოდნენ და განცვიფრებულნი თვალს არ ამორებდნენ მას. სუიზინი ცდილობდა სიარულისას ფეხი არ არეოდა, რათა სტუმრებისათვის დაგმტკიცებინა თავისი უპირატესობა. იგი გრძნობდა, თუმცა არც იაე ცხადად, რომ განსაზღვრული მიზანი ჰქონდა და მის აღსრულებას ესწრაფვოდა. მის თვალწინ როკავდა როზის

ზომლიმარე სახე და თავისკენ ეწყოდა. ერთი-ორჯერ სუიზინმა მტრულად ახედა კასტელიცა: ბოლესსკესადმი, ბირიქით შეგობრულად იყო განწყობილი და ალტაცებული იგონებდა, ჭიქას ჭიქაზე როგორ ცლიდა უნგრელი „მოწონს, როცა სვამს, — თქრობდა სუიზინი, — რაც არ უნდა იყოს ჯენტლმენი!“

ბოლესსკე რალაცნაირი გააფთრებით შიშობდა. კუჩუჩის მკაფის აქცევდა. კასტელიცი ახლა უფრო დამსგავსებოდა კატას. თითქმის სიქტობად ჩამოზნელებული იყო, როდესაც ვაწროთ ქუჩას მიაღწიეს ეკლესიის მახლობლად და ერთ სახლთან გაჩერდნენ. კარი ხანში შესულმა ქალმა გაიღო. მისმა შესწოთებულმა სახემ, სუსთა პაურას მერე დერეფნის დახუთულმა პაურმა და კარის ჯახუნმა გამოაფხიზლა სუიზინა.

ბოლესსკემ წასჩურჩულა:

— ამ ქალს ვუთხარი თქვენზე, როგორც საკუთარ შვილს, ისე ვუდგება თავდებად-მეთქი...

სუიზინს გული მოუვიდა: რა უფლებით ლაპარაკობს ეს კაცი ჩემ მაგივრადო!

ღელ თთახში შევიდნენ. თთახი კაცებითა და ქალებით იყო სავსე. სუიზინმა შეაჩინა, ყველამა მას უყურებდნენ, მანაც მოავლო თვალი იქ ნყოფთა. ყველა კლასის წარმომადგენელს ნახავდით იქ: „ზოგა ფრაკება და აბრეშუმებში გამოწყობილიყო, ზოგს ნუშის ტანსაცმელი ეცვა. ხარბიც აქ მოსულიყო, ტყავის ფეშტამალი ისევე ეკცთა, თითქოს პირდაპირ სამუშაოდან გამოტყვეულათ. ბოლესსკემ მხარზე ხელი დაადო სუიზინს და ეტყობა, ვააცნო იქ მყოფთ მისი ვინაობა. სუიზინისაკენ ჯარად წამოვიდა ხელები. მოშორებით მდგომები თავს უკრავდნენ. სუიზინიც თავის ოდნავი დაკვრით მიესალმა ყველას და როცა დაინახა, სხდებიანო, თვითონაც სავარძელში ჩაეწვა. ვილაცამ მისი სახელი წაიხურჩულა, უკან — მარგიტი და როზი იყვნენ.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, — უთხრა მარგიტმა, ნაგრამ სუიზინს როზის უყურებდა. ქალიშვილს თითქოს უთრთოდა სახე და თვალებიც გამოცოცხლებოდა. ნეტავი რამ ააღელვათ ასე, — გააფიქრა სუიზინმა, — ღმერთო, რა ლაპარაკია! — როზიმ სწრაფად, ნერვიულად დამალა ხელები და სადღაც სუიზინს ზურგს უკან დაიწყო მზერა. „რა დაემართა?“ — გაიფიქრა სუიზინმა და მოუნდა მობრუნებულიყო და ქალის ტუჩებს დასწაფებოდა. საკუთარ თავზე გაჯავრებული ახლა მხოლოდ იმათ განოცნობას ცდილობდა, რას ხედავდა როზი ამ ერთ მხარეს მიპყრობილ სახეებზე.

ბოლესსკე წამოდგა და ლაპარაკს მოჰყვა. ყველა გაიტრუნა. მხოლოდ მისი ხმა ისმოდა, ბუზუნა და ძლიერი. ლაპარაკობდა მრისხანედ და რაც უფრო უწევდა ხმას, მით უფრო ენთებოდნენ ერთი გრძნობით მისკენ მიქცეული სახეები. ამ სახეებზე სუიზინმა მომეტებული გააფთრება ანთიკითხა, რაც ნამდვილად შეუფერებლად მიაჩნდა. ბოლესსკეს ნალაპარაკევიდან მხოლოდ ერთი სიტყვა — „მადიარები“ გააჩნია, რომელიც ყოველწამს მეორდებოდა. ბოლოს სუიზინს კინაღამ ჩაეძინა, მაგრამ, ბედად, ციმბალების ყღერამ გამოაფხიზლა. „ეს რაღაა, კიდევ ჯოჯოხეთურ მუსიკას უკრავენ?“ — გაიფიქრა მან. მარგიტი დაიხარა და წასჩურჩულა: „მოისმინეთ, ეს რაკოცია, აკრძალული მარში!“ სუიზინმა შეაჩინა, როზი მის უკან აღარ იდგა. აკრძალულ მარშს სწორედ ის აწყარუნებდა ციმბალებზე. სუიზინმა მიიბედ-მოიხედა. ირგვლივ უძრაფი, ან-

თებელი სახეები იყო და მრისხანე ღუმილი სუფევდა. ჰანგი ისე ყრუდ ქდერდა, თითქოს მასაც გული უკვნესისო. სუიზინს თავგზა დაეკარგა. სად მოხვდა? ვეფხეთა ბუნავში? ირგვლივ ისე უსმენდნენ მუსიკას, ისე უძრავად გამეშებულნი იყვნენ, რომ ეს ყოველივე თავზარდამცემი იყო...

„როგორღე უნდა გავალწიო აქედან, — გაიფიქრა ოტტო შტინგელმა სუიზინმა და საეარძლის საყრდენს მოეჭიდა. — მუსიკა და მუსიკოსები არა, ერთ ამბავს ატეხენ“. მაგრამ მუსიკა შეწყდა და ოთახში კიდევ უფრო სამარისებური სიჩუმი ჩამოვარდა. სუიზინმა გაიფიქრა, ახლა რომ ასეთი მტერი შემოვიდეს, ნამდვილად ნაფლეთებად აქცევდნო. ვიღაც ქალს ქვითინი წასკდა. აუტანელი ამბავი ხდებოდა. სუიზინი წამოდგა და ნამალევად გასწია კარისაკენ. ვიღაცამ დაიყვირა, პილიციასო, და ჯიკავ-ჯიკავით ყველამ კარს მოაშტრა. სუიზინი კართან იყო ნისული. როცა წაქცეული რომი და მისი შეშინებული თვალები დაინახა. „ანის ღირსი კი ნამდვილად არ იყო, თუმცა ხალხი აადუღა“, — გაიფიქრა გაბრალებულმა და რომ-საკენ გაქანდა. რომი ზედ ისე მიეკრო, რომ სუიზინი კანკალმა აიტანა. სანამ ბრბოში გააღწევდა, ქალი მაგრად ეჭირა, მხოლოდ ქუჩაში გაუშვა ხელი.

- ძალიან შენეშინდა, — თქვა რომიმ.
- შეგეშინდებოდათ, აბა, რა იქნებოდა, — წაიბურტყუნა სუიზინმა.
- ახლა როცა რომი ჩაკრული იდარ ჰყავდა მკერდში, ისევ გაუფიქრდა გუნება.

- რა ღონიერი ხართ! — წაიხურჩულა ქალმა.
- თქვენნი აქ დარჩება არ შეიძლება, — აბუზღუნდა სუიზინი, — სახლამდე მიგაცილებთ.

- მერე, მამა და მარგიტი?
- თვითონ იციან თავიანი საქმისა, — მიუგო სუიზინმა და ქალი საჩქაროდ გააშორა იქაურობას. რომიმ მკლავში ხელი გამოსდო. სუიზინი გრძნობდა, რა მსუბუქად ეხებოდა მისი ტანი და უფრო და უფრო ბრახობდა, უსამართლოდ ბრახობდა. ვნება დაეუფლა მთელ მის არსებას და სადაცაა იფეთებდა, შხამივით მოსდებოდა მთელს სხეულში. სუიზინი მთელი გზა ჯიუტად დუნდა. არც რომის ამოუღია ხმა. მხოლოდ სახლს რომ მიუახლოვდნენ, ხელი გაინთავისუფლა:

- მიჯავრდებით?
- გიჯავრდებით? წაიბურტყუნა სუიზინმა, — რატომ?... არა... ეგ რამ გაუიქრებინათ. — მწვავე სურვილმა მოლარა, ეკოცნა რომისთვის.
- ნამდვილად მიჯავრდებით, — გაიწეოდა ქალმა, — მამას და მარგიტს მოვუცდი.

სუიზინიც დარბა. კედელს მიეყრდნო. მახვილი თვალი ჰქონდა და ერთი ორჯერ შენიშნა რომის ნამალევი, მაყვდრებელი შემოხედვა, მაგრამ ახლა სიამოვნებდა ქალს რომ უტრადლებას არ აქცევდა. ხუთიორე წუთის შემდეგ მოვიდნენ ბოლქმაცი, მარგიტი და კატელიცი. რომის დანახვაზე დამწვიდდნენ, ერთხმად რაღაც წამოიძახეს, კატელიცმა კი რომის ხელი ტუჩებთან მიიტანა. „თქვენ არ გინდოდათ?“ — ამოვიტხა სუიზინმა რომის თვალებში, მერე ფიცხლად გატრიალდა და გამორდა იქაურობას.

იმ ღამეს სუიზინს თითქმის არ სძინებია. თავის სიცოცხლეში პირველად იყო ასე აფორიაქებული. შუალამისას ლოგინიდან წამოვარდა, სახეულს მოუკიდა და თავის სახეს დიდხანს ჩაჰკირკიტებდა სარკეში. მერე დადგნა ზიჯულა თვალი, მაგრამ მთელ ღამეს საშინელმა სიზმრებმა შეაჭყენა. „სიხამტყალოდ ღვიძლი ამტკივდა“. — დაასკვნა მან გამოღვიძებისთანავე. თავი ცივ წყალში ჩაბყო. სასწრაფოდ ჩაიფეხა და ქუჩაში გავიდა.

ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა. მალე სასტუმროს კარგა მანძილით გასცილდა. ირგვლევ ყველაფერი ცვარს დაეფარა. ჩირგვნარში შამგები უსტკენდნენ. პაერი სუფთა და ცანცხალი იყო. ბაღბაღის შემდეგ სუიზინი დღეს პირველად ადგა ასე ადრე. ნეტავ რამ გამოიყვანა ასე დილაადრიან ნესტიან ტყეში? იტნებ უჩვეულო და საშინელი რამ დაემართა? რომელი ჭკუათმყოფელი მოიქცეოდა ასე! სუიზინი მონუსხულივით წედა და გაუბედავი ნაბიჯით უკანვე გატრიალდა. სასტუმროში მივიდა და მასინვე ლოგინში ჩაწვა. დაესიზმრა, ვითომ რომელიღაც ველურ ქვეყანაში ცხოვრობდა. ოთახში მწერები ფუთფუთობდნენ, მოახლე კი, როზი, იატაკის საწმენდ ჯოხს დაყრდნობოდა და მას შეჰყურებდა ნაღვლიანი თვალებით. სუიზინი ვითომ სასწრაფოდ მიემგზავრებოდა სადღაც, რადგანაც ჭალს წასაღები ნივთების გასუფთაებებს, ჩალაგებს და გაგზავნას სთხოვდა. გასამრჯელოდ ოცდაათი შილინგი უნდა გადაეხადა. სუიზინს ეძვირა, ძალიან ეძვირა. იტანჯებოდა. არ იცოდა, რა ეღონა. „არა! — წაიბურტყუნა ბოლოს. — თვითონ ჩავალაგებ, წალებითაც თვითონ წავიღებ“. მოახლე უეცრად გაძვალტყავებულ არსებად გადაიქცა და გულდამძიმებულ სუიზინს გამოეღვიძა.

პირველი, რაც თვალში მოხვდა, სველი ფეხსაცმელები იყო. ახლა უნებურად ყველაფერი შიშს ბადებდა მის გულში. წამოხტა და ბარგის ჩალაგება დაიწყო. თორმეტი შესრულდა, როცა სასადილოში ჩავიდა, იქ ძმა და თრაკერი დაუხვდნენ. ისინი შემდეგი მოგზაურობის გეგმას ადგენდნენ. იმათდა გასაკვირლად სუიზინმა განაცხადა, მეც მოვდივარ. ახანა-განმარტება აღარ დაუწყია, საუზნეს მიუჯდა. ჯემსმა თქვა, დროს ნუ დავკარგავთ, წავიდეთ, ოღონდ აქვე ახლოს მარბლის საბადო ყოფილა, გზად იქით შევეუხეიოთ. დიდი — დიდი, ნახევარი ან ერთი საათი დაგყოვნდეთო. „შინ რომ დავბრუნდებო, ყველა მკითხავს, მარბლის საბადო თუ ნახეთ, — თქვა მან. — რა ვუპასუხო, არ მინახავს მეთქი? მერე მეტყვიან, ან სიშორეზე რას მიდიოდი, თუკი მარბლის საბადოებს არ დაათვალიერებდიო“. ჯემსი იმაზეც იტყვებოდა თავს, ოფიციალტს ფული ვაჩუქო თუ არაო, მეტრისმეტად წელმოწყვეტილიაო.

კამათი ატყდა. სუიზინი შებლწეჭმუხვნილი დეჰავდა საქმელს და თავისთვის ფიქრობდა, მე უფრო მნიშვნელოვანი საქმე მაწუხებს, ვიდრე ჯემს ძმას ჯემსსო. უცებ ქუჩის მეორე მხარეს როზი და მარგითი დაინახა, პატარა კალათები ეჭირათ. სუიზინი წამოხტა. როზიმ სწორედ ამ დროს მოიხედა. მთელი მისი სახე, ოდნავ აწეული ნიკაბი, ჩიუტად აბზუებული ქვედა ბაგე და მომხიბლავი, მრგვალი ყელ-კისერი ცთუნების გამოხატულება იყო. „მე მომეშვით, თვითონ მოვლაპარაკეთ ერთმანეთს“. — წაიბურტყუნა სუიზინმა და თვალის დახამხამებაში გავარდა დარბაზიდან. შიშითა და ცნობისმოყვარეობით გულგადმოტრიალებული ჯემსი სახტად დარჩა.

სუიზინი ქუჩაში რომ გავიდა, ქალიშვილები უკვე აღარაად ჩანდნენ. სუიზინმა შეეტლეს დაუძახა, ჯობი იქნია და უბრძანა: „გასწი“ ეტლი აჯაყაყა და ქვაფენილზე, სუიზინი ბალიშზე გადაწვა და თვალების ცეცება დაიწყო. ქალიშვილების პოვნის იმედი მალე გადაუწყდა. ეტლი მაინც ეჭვგამგებლად და ქუჩა-ქუჩა დააქროლებდა. ეტლიდან დაღამებამდე არ ჩამოსულა, ეჭვგამგებლად თაც გავიდა, ყოველ წამს ნოთხოვდა, ცხენებმა ფეხს აუჩქარონო. რაღაც უცნაური სულსწრაფობა მოერია, ყველაფერი კი იმით დანთავრდა, რომ რომელიღაც სოფლის დუქანში ისადილა. ამაზე სულ აუვისო ნოთხინების ფილა, საზიზღარი აადილი იყო.

გვიან ღამით შინ მობრუნებულს თრატარის წერილი დაუხვდა: „სრულ ჰქუაზე ხარ, მეგობარო? დროს ტყუილად ვაცდენთ, თუ მოისურვებ ჩვენთან მგზავრობას, გენეციაში მოგვაკითხე, სასტუმრო „დანიელში“. სუიზინმა წერილი გადაიკითხა, მზრები აიჩინა. ძალზე დაქანცული იყო და დასაძინებლად დაწვა. მკვდარდით ჩაეძინა.

6

სამი კვირა გავიდა, სუიზინი კი ისევ ზალცბურგში იყო, თუმცა ახლა „ოქროს ალბებში“ აღარ ცხოვრობდა. მაწია ბინა ეჭირა დუქნის თავზე, ბოლემსკეს მეზობლად. ამ ბნის მანძილზე ღამის მთელი ქონება გათლანგა ყვავილებში. მარკუტი თაიგულების დანახვაზე სიხარულს ვერ წაღაედა, რომი კი ისე იღებდა მოძღვნილს, როგორც აუცილებელს, გულგრილად წამოიძახებდა, დიდად გმადლობთო, მერე სარკესთან მიიბრუნდა და გულზე მხოლოდ ერთ ყვავილს დაიბნეედა.

სუიზინს აღარაფერი უკვირდა მათი. ერთ საღამოს ბოლემსკე ვიღაც ფერდაკარგულ პიროვნებასთან საუბარში გაერთული დაუხვდა.

— ჩვენი მეგობარი, მისტერ ფორსაიტი. გრაფი დ... — ერთმანეთს წარუდგინა ბოლემსკემ სტუმრები.

სუიზინმა უეცრად რაღაც პატივისცემის მაგვარი იგრძნო გრაფისადმი, მაგრამ როგორც კი მის შარვალს ნოატანა თვალი, გაიფიქრა, ევრაფერი შვილი გრაფიას, ქალიშვილებს ირონიულად დაუკრა თავი და შლაბას მისწვდა. ჩაბნელებულ დერეფანში გასულს მოესმა, კბებზე ვიღაც ჩადიოდა. რომი იყო. რომიმ ჩაიბრინა, კარში გაიხედა და დანაღვლიანებულმა ხელები გულზე მიიღო. მერე უკან შემოტრიალდა და სუიზინი დაინახა. სუიზინმა ხელი დაუჭირა. რომი გაუსხლტა. მთელი სახე თითქოს აუნაპერწყლა გამომწვევმა სიცილით. რამდენამე საფეხური სწრაფად აირბინა, შეჩერდა, მხარს ზემოდან გამოხედა ეაცს და გაქრა. სუიზინი დანაღვლიანებული და გულდამძიმებული წავიდა.

„ნეტავ რისი თქმა უნდოდა?“ — დაჟინებით ფიქრობდა იგი.

ბოლო სამი კვირა სუიზინი ყოველდღე ეკითხებოდა თავს, იქნებ მასუღელებს, ან იქნებ ვუყვარვარ? და საერთოდ, ნეტავ რას ვუზივარ ზალცბურგშიო. ღამღამობით ხანდახან ყველა სანთელს ანთებდა ოთახში, თითქოსდა დიდად სჭირდებოდა სინათლე. საათობით იჯდა ფანჯარასთან ჩამქრალი სიგარით ხელში და კედელზე მიშტერებული მსუბუქ ნიავს უშვერდა შუბლს. „კმა-

რა! — წამოხტებოდა ყოველ დილას, ორჯერ ბარგიც კი შეჰკრა. ეტლი დაიბარა, მაგრამ მეორე დღეს გადათქვა. რისი იმედი ჰქონდა, რას ამბობდა, თავად არ იცოდა. გამუდმებით როზინე ფიქრობდა, მაგრამ ვერასდროს ვერ ეხსნა როზის სახის ამოუცნობა გამომეტყველება. ქალს თითქოს მარწმუნებში ჰყავდა მომწყვდეული, თუმცა ყველაფერი, რაც როზის უკავშირდებოდა, — სუიზინის ცხოვრების ან რის საწინააღმდეგო იყო. ბოლემსკე? მისი ერთი დასახელებაც კი გუნებას უფუჭებდა სუიზინს. ცოტა სუფთად მაინც იცვამდესო, ფიქრობდა და მაშინვე ანგარიშმიუცემლად თავის უხადოდ შეკრულ პალსტუხს შეაფლებდა ხელს. გინდა ამ კაცთან გილაპარაკო და გინდა იმისთვის შეგიხედავს, რაც დღის სანათლებზე გამოსატანი არ არის: ნეტავ რას აუჩენებია თავისუფლება, თანასწორობა, თავის გაწირვა!

„ამ ყბედობას უჩრჩევნია ნამდვილ საქმეს მოკიდოს ხელი!“ — ფიქრობდა სუიზინი. მის აღიზიანებდა ბოლემსკეს უეცარი გაუბედაობა, ხელის ჩაქნევა ყველაზე და ყველაფერზე. „წყველი მათხოვარი! — ფიქრობდა სუიზინი, — ძაღლობა ღმერთს, მაგნაირი სგრძობიარე არა ვარ. თანაც რა ამაყია! ღარიბი და ამაყი! საოცარია პირდაპირ!“ ერთ საღამოს ბოლემსკე შინ მთვრალი დაბრუნდა. სუიზინი იძულებული გახდა საწოლ ოთახში გაეყვანა, ტანზე გამრობაში მოხმარებოდა და იქვე მჯდარიყო, სანამ არ დაიძინებდა. „ეს კი მეტისმეტია! — ფიქრობდა სუიზინი, — გაღეშილა, შვილების არ ერიდება!“ სწორედ ამ შემთხვევის შემდეგ დაიბარა ეტლი ერთხელ სუიზინში. მეორედ კი ბარგი-ბარხანა მაშინ ჩაალაგებინა, როცა ვახშამზე ბოლემსკეს კი არა, როზისაც ქათმის ფეხი ჩაებლუჯა ხელში და ხრავდა.

სუფთა პაერზე სიგარის მოსაწევად სუიზინი ხშირად დაიბრებოდა მარაბელის პარკში. შლაპას ჩამოიწვევდა, სახე რომ მოერიდებინა შისთვის, და სიამოვნებით ატარებდა აქ ერთ-ორ საათს, თან უგულოდ ათვალერებდა მარმარილოს ქანდაკებებს, რომლებზე გამოსახული მოგმირო მამაკაცებიც მოუბედუროდ ასულებს იტაცებდნენ. როზი რომ გაუსხლტა კიბეზე, იმის მეორე დღეს სუიზინი ჩვეულებებისამებრ შევიდა პარკში. ცა მოწმენდილი იყო. მზის სხივები თავს დაპნათოდნენ ძველ, კოსტა პარკს, გაბარდნილ ძეწნებს, გარგარისა და ქლიავის ხეებში ჩაკარგულ ტრაგიკომიკურ ქანდაკებებსა და მესტრს.

იმ სკამს რომ მიადწია, სადაც ჩვეულებრივ ჯდებოდა ხოლმე, თავისდა გასაოცრად როზი დაინახა.

— დილა მშვიდობისა, — ენის ბორძიკით წარმოთქვა მან, — თქვენ იცოდით, რომ ეს ჩემი სკამია?

— ვიცოდი, — წყნარად უბასუხა ქალმა და თვალები დახარა.

სუიზინი განცვიფრდა:

— ვერ ატყობთ, რომ ძალზე უცნაურად შექცევიდა?

მისდა გასაკვირად როზიმ თავისი პატარა ხელი ჩაუდო ხელში, მერე სიტყვას უთქმელად წამოვარდა და კისრისტუხით გაიქცა. სუიზინი კარგა ხანს ვერ მოეგო გონს, ირგვლივ ხალხი მიდი-მოდიოდა და არ უნდოდა გაქცეულიყო, მაგრამ ბოლოს მაინც დაეწია ხიდზე და ხელი მკლავში გამოსდო.

— აგრე რად მოიქეციო... — წაიღულულუდა მან, — არ უნდა გაქცეულიყავით.

როზის გაეცინა. სუიზინმა ხელი გაითავისუფლა, იფიქრა, ორივე ხელს

წავაველებ და ერთი რიგიანად შევანჯღრევა. კარგა ხანს ხმაამთულებლივ მიიბიჯებდა, მერე ჰკითხა:

— იქნებ კეთილინებოთ და მიპასუხოთ, პარკში რისთვის მოხვდით? როზიმ თვალი სწრაფად შეავლო:

— ხელ კარნაგალია.

— სულ ეს არას? — წაიბურტყუნა სუიზინმა.

— თუ თქვენ არ დაგვპატიებთ, ისე არ წავალთ.

— პს, ნე იქნებ არ მინდა... — მოიქუფრა სუიზინი, — დამპატიებელი სხვაც ბევრი გამოჩნდება...

როზიმ თავი ჩაღუნა და ფეხს აუჩქარა.

— არა, — წაიბურტყუნა მან, — თქვენ თუ არ წანოხვდით, მე არ წავალ.

სუიზინმა ისევ გამოსდო მკლავში ხელი. გლუვა და მრგვალი მკლავი ჰქონდა როზის მთელი გზა სუიზინი ცდილობდა სახესე შეეხებოდა მისთვის. სახლიდან ნოწორებით დაემშვიდობა ქალს, რაღაც იდუმალი მიზეზის გამო არ უნდოდა როზისთან ერთად გადაჰროდა. ეასმე. ქალს თვალი გააყოლა. მანამ უყურა, სანამ ქალი თვალს მიეფარებოდა, მერე კი წელი ნაბიჯით გაბრუნდა პარკისაკენ. მივიდა იმ სკამთან, სადაც როზის შეხვდა. ჩამოჯდა, სიგარა გააბოლა, ბოლომდე მოსწია, პარკში დიდხანს დარჩა სიბუნით და მარმარილოს ქანდაკებებით გარემოსილი.

სახელდახელოდ დადგმულ ფარდულებთან ხალხი ირეოდა და სუიზინმა საჭიროდ მიიჩნია მკლავში ხელი გამოედო ქალიშვილებისათვის. „ლონდონის გარეუბნულ კლერკსა ვგავარ, კვირა დღეს რომ გამოვა სასეირნოდ“, — გაიფიქრა მან. ქალიშვილები ვერ აჩხევედნენ მის უგუნებობას. ისე კისკისებდნენ და ელურტულებდნენ, თითქოს ირგვლივ ნოწიმშიმე ყოველ ბევრას, ყოველ სურათს აღტაცებაში მოჰყავდა ერთიცა და მეორეც. სუიზინი ირონიულად გადაჰკრაგდა ხოლმე თვალს ქალიშვილებს. იმათი აღგზნებული ხმა და გულმხურვალე ჭუჭყუკი მდაბიურა ეჩვეებოდა. ბრბოში შეუჩნეველად გაითავისუფლა ხელი მარგიტისაგან. ის იყო გაიფიქრა, როგორც იქნა, მოვიშორეო, რომ დაუპატიებელი ხელი ისევ ჩაეჭიდა. სუიზინმა ხელაბლა სცადა განთავისუფლება, მაგრამ თავაზიანი და მშვიდი მარგიტი კვლავ განმძვრა ბრბოში და ხელზე დაეკიდა. ამჯერად გულგრილად შეხვდა სუიზინი თავის მარცხს, მაგრამ როდესაც როზი მას მიეკრა, ქალიშვილის მხურვალე ლოყამ, მომდომარე ტუჩებმა და ნაცრისფერი თვალების გამოუცნობმა ციალმა სუიზინს სურვილის ცეცხლი მოუკიდა. ქალიშვილები გაუგებარ ენაზე გამოელაპარაკნენ ერთ ბოშა ქალს, ვისი გაბურღული თმაცა და განხმარი ხელებიც საესებით სამართლიან ზიზღს უღვივებდა გულში სუიზინს. „სისულელეა!“ — წაიბურტყუნა მან, როცა როზიმ ხელისგული გაუწოდა ბოშას. დედაბერმა რაღაც ჩაისისინა და ავი თვალეები შეავლო სუიზინს. როზიმ ხელი უკან წაიღო და პირჯვარი გადაიწერა. „სისულელეა!“ — კვლავ გაუელვა სუიზინს, მერე ორივეს გამოსდო მკლავში ხელი და იქაურობას მთაშორა.

— რა თქვა მაგ კუდიანმა? — იკითხა მან. როზიმ თავი გადააქნია. — ნუ-
თუ მაგათი გჯერათ რამე?

— ბოშა ქალები ბრძენი ხალხია, — წაიჩურჩულა როზიმ.

— ჰო, ჰო... რა გითხრათ მაინც?

როზიმ ერთი ნიბზედ-ნიბზედა და ბრბოში გაძვრა. მალევე დაბრუნდა და
სუიზინი შეშინებული იყო და ბუზღუნებდა:

— მეორედ აღარ გაიქცეთ. არ გეკადრებათ!

პატარა შენაღლებზე, შუა მოედანზე სახედრო ორკესტრა უკრავდა. ამ
ჯადოსნურ წრეში შესასვლელად სუიზინმა სამი კრონი გადაიხადა, მაგრამ, რა-
საკვირველია, საუკეთესო ადგილები ამოიჩნია. ამაჲ გარდა ღვინო მოითხოვა
და როცა ჭიჭებს ავსებდა, ნამალევად თვალს ადევნებდა როზის. ამ უხეშ,
მოყაყანე ბრბოში როზისადმი გუშინდელი მტარველური სინაზე გაუქრა სუი-
ზინს. ბოლოს და ბოლოს ყველამ საკუთარ თავს მოუაროს! როზის ვარდის-
ფერმა გადაპკრა სახეზე. სულ იცინოდა და საყვარლად იბუზებდა ტუჩებს.
მოულოდნელად მან ჭიჭე გვერდზე გადადგა და თქვა:

— გზადლობა, მეტი არ არის საჭირო.

მარგიტმა, რომელიც თავის მშვენიერ ტუჩებს ღიმილს არ აშორებდა,
წამოიძახა: „Lieber Gott!“¹ განა სიცოცხლესე სახატრელი არის რამე? ამ
კითხვაზე პასუხის გაცემა სუიზინმა საჭიროდ არ მიიჩნია. ორკესტრმა ვალსი
დაუკრა. „ახლა ცეკვა იქნება! „Lieber Gott! რა საოცარი ფარნებია!“ ბეთა ტო-
ტებში ფარნები ციციანოვლებივით ციმციმებდნენ. ბრბო უზარმაზარ სკასა-
ვით ზუზუნებდა. მათ თვალწინ ჩნდებოდნენ და იკარგებოდნენ მოსეირანეთა
სახეები. როზი იდგა და ისე მოჯადოებული შესტყუროდა ხალხს, თითქოს
უდიდეს საამოვნებას ანიჭებდა მათი ცქერა.

ორკესტრის გარშემო ქალ-ვაჟნი დატრიალდნენ. როზი თავის ქნევით აძყვა
მუსიკის ტაქტს.

— ო, მარგიტ! — წაიჩურჩულა მან.

სუიზინს მედიდღრობა და უკმაყოფილება გამოეხატა სახეზე. ვიღაც მა-
მაკაცმა შლაპა ააწია და მარგიტს ხელი შესთავაზა. მარგიტმა სუიზინს მოჰხე-
და და დაამშვიდა, მეგობარაო.

სუიზინი როზის შეპყურებდა. ქალს თვალები გაბრწყინებოდა, ტუჩები
უთრთოდა. სუიზინმა ხელი გაიწოდა და მის თითებს შეეხო. როზიმ შეხედა.
ყველაფერი იყო ამ შემოხედვაში: მორიდებაც, საყვედურიც, სინაზეც. ნეტავ
რას მოითხოვს ეს ქალი მისგან? საცეკვაოდ გაჰყვებს სუიზინი? ან იქნებ თავად
სურს ამ ბრბოში გაეროს? იქნებ ის მოებრიანა, სუიზინიც გამოჰფინოს ამ
აღრიალებულ ბრბოში? გვერდით ვიღაცის ხმა გაისმა: „საღამო მშვიდობისა!“
სუიზინის წინაშე თავიდან ბოლომდე დიღებშებნეულ სერთუქში გამოწყო-
ბილი კასტელიაცი იდგა.

— არ ცეკვავთ? გთხოვთ უარი არ მითხრათ, — და მან ხელი გაუწოდა
ქალს.

სუიზინი მათ არ უყურებდა. როზი კასტელიცს გაჰყვა. ერთი კი მოჰხედა
სუიზინს: „თქვენა?!“ — სიტყვებზე უკეთ ლაპარაკობდა ეს შენოხედვა. პასუ-
ხის მაგივრად სუიზინმა თვალი აარიდა ქალს, მაგრამ როდესაც მეორედ გაი-

¹ ღმერთო მოწყალეო! (გერმ.).

ხედა იმ მხარეს, როზი უკვე აღარ ჩანდა. ფული გადაიხალა და ბრბოს შე-
ერა. მთლად გაწითლებული და სულწევებებული როზი ცეკვით მიიწევდა
მია მხარეს, თითქოს ამით უნდოდა შეეჩერებინა. სუიზინს ისიც კი როგნენა,
როზის ცრემლი უბრწყინავდა თვალზე. მერე ხელახლა დაეკარგა. პირველად
დარჩნენ მარტო და აწორედ მიშინ შიატოვა როზიმ და ასიც კი ვერცხსათ-
ვის! ამ თავგეყერა ნეტჩარას გულისათვის, თვალემა რომ ასეც კი ვერცხსათ-
არა, ეს კი მეთისმეთია. უფროად წარმოიდგინა, რომ როზი მარტო დარჩა კას-
ტელიცთან, სრულიად მარტო და ისიც ასე შორს სახლიდან!

„მერედა, რა ჩემი საქმეა! — ფიქრობდა სუიზინი და გზას მიიკვლევდა
ბრბოში; — ახია ჩემზე, ამხაირ ხალხში რისთვის გავეროე!“ კარნავალი შიატო-
ვა. მაგრამ ბოლმა უფრო და უფრო უღვივდებოდა, უფრო საშინლად ეხატე-
ბოდა როზის ღალატი და ეჭვიანობაც უმძაფრდებოდა. „ეგ მათხოვარი ბარო-
ნი უნდა იყოს?“ — ფიქრობდა იგი.

სად იყო და სად არა, მის გვერდით ბოლემსკე გაჩნდა. შეხედა თუ არა,
სუიზინი წამსვე მიხვდა ხველაფერს: კიდევ მთვრალია! ახლა კი აევსო მოთმი-
ნების ფიალა.

მისდა სავალალოდ, იცნო ბოლემსკემ. იგი მეტად აღზნებული ჩანდა.

— სად არიან? ჩემი გოგონები სად არიან? — დაიწყო მან. სუიზინმა გვერ-
დის აელა სცადა, მაგრამ მთვრალმა ხელი დაეჭირა. — უფრი დამიგლე, ძმაო! —
თქვა მან, — სამშობლოდან ამბავი მომივიდა! ზეგ...

— თავი დამანებე! — დაიდრიალა სუიზინმა და ხელი გამოგლიჯა. პირდა-
პირ შინისკენ გაეშურა. სინათლე არ აუნთია, ისე გაიშხლართა ტანტზე და თა-
ვი მწარე საფიქრალს მისცა. როზის აბხუებულმა ტუჩებმა, მისმა მაცოუნე-
ბელმა, ვედრებით აღსავსე თვალემა და მოქნილმა ტანმა, მიუხედავად გულ-
ში ჩაგუებებული ბოლმისა, დიდხანს არ მოასვენეს...

8

დილით ეტლი ვერ იშოვნა და მეორე დღისთვის გადადო გამგზავრება.
ღრუბლიანი დღე იყო. სუიზინი ქალაქში დაეხეტებოდა და გამვლელ-გამომ-
ვლელთ გზადაბნეული ძაღლის თვალეებით უყურებდა.

შინ საღამოს დაბრუნდა. სასტუმრო ოთახს კუთხეში როზი იდგა.

სუიზინს გულზე მოეშვა, მაგრამ მხოლოდ ოდნავ გაიღიმა. როზის სახეზე
ხელები აეფარებინა. ხმას არ იღებდა. ამ დუმილმა თავგზა აუბნია სუიზინს.
ქალი აიძულებდა პირველს ამოელო ხმა. ნეტავი რად იფარავს სახეს! რას გა-
ჩუბებულა ან აქ რისთვის მოსულა, თანაც, მარტო! აქ რაღაც ამბავია! როზიმ
უცებ ხელები ჩამოუშვა. სახეზე აღმურია ასდიოდა. ერთი სიტყვა ან ერთი
უბრალო მოძრაობაც საკმარისი იყო, რომ ცრემლის ნიაღვარი წასკდომოდა:
სუიზინი ფანჯარასთან მივიდა. „დამშვიდება უნდა ვაცადო, — გაიფიქრა მან,
მაგრამ ამ დუმილის წინაშე ძრწოლვით აღვსილი უცებ შემოტრიალდა და
ქალს ხელებში სტაცა ხელი. როზი უკან გადაიხარა, მერე წინ წამოიწია და
თავი მკერდზე მიაყრდნო...

ნახევარი საათის შემდეგ ჩაფიქრებული სუიზინი ბოლთას სცემდა ოთახ-
ში. ორგვლივ ჯერ კიდევ იდგა ვარდის ფურცლების სურნელება, იატაკზე ხელ-

თათმანი ეგლო. სუიზინმა აიღო ხელთათმანი და დიდხანს ეჭირა ხელში. ფიქრები და გრძნობები უიშედოდ ეხლართებოდნენ ერთიმეორეში. ეს წუთი, რო-
ზა რომ დანებდა, ყველაზე წმინდა წუთი იყო სუიზინის ცხოვრებაში, მაგრამ
ქალის მხურვალე თავდავიწყებას აქამდე თუ თაყვანს სცემდა, ახლა უხერხუ-
ლობის განცდა და მიღწეული გამარჯვების წვრილმანი სიხარული მსჭვალდა
მხოლოდ. როზის ხელთათმანი ჯერ კიდევ ხელში ეჭირა, როცა თათმანი ვიღაც
შემოვიდა. კასტელიცი იყო.

— რით შემიძლია გემსაბუროთ? — დამცინავად შეაგება მოსულს სუი-
ზინმა.

უნგრელი უზონოდ აღშფოთებული ჩანდა. რატომ არ შეასრულა თავისი
ვალი სუიზინმა წუხელ საღამოს? რით გამართლებს თავს? ბოლოს და ბო-
ლოს რა პქვია ამგვარ საქციელს?

სუიზინი ძალიან ჰგავდა ამ წუთს ბუღდოვს; შემოსულს ჰკითხა, ან ამ-
ბებში წინ რა გესაქმებაო.

— რა მესაქმება? ჯენტლმენობა მავალეებს კვითხთ, რა უფლებით დას-
დევს ინგლისელი ამ ქალიშვილს!

— დავდევ? — წაილაპარაკა სუიზინმა. — მაშასადამე, ჯაშუშობდით?

— ვჯაშუშობდი? მე, კასტელიცი... მათურუს იოჰან კასტელიცი? ეს შეუ-
რაცხყოფაა!

— შეურაცხყოფა? — აბუჩად აიგლო სუიზინმა, — თქვენ გინდით თქვათ,
რომ ფანჯარასთან არ ყოფილხართ დაყუდებული?

— თუ თქვენის ნებით არ დატოვებთ ქალაქს, ხმლით გაიძულვით ასე
მოიქცეთ, — წაიჩურჩულა პასუხად კასტელიცმა.

— თქვენც დაუყოვნებლივ თუ არ გადორვეით გარეთ, ფანჯრიდან გადა-
გისვრით!

რამდენიმე წუთს კასტელიცი უნგრულად ლაპარაკობდა, სუიზინი კი ნა-
ძალადევი ღიმილით უცდიდა, მან ხომ უნგრული ენა არ იცოდა.

— თუ ხვალ საღამოს ისევ ქალაქში იქნებით, — დაამთავრა კასტელიცმა
ინგლისურად, — შუა ქუჩაში შემოგაფურთხებთ!

სუიზინი ფანჯრიდან უყურებდა, როგორ მიდიოდა კასტელიცი, რომელ-
მაც გულში საჭიუტე და შფოთი გაუღვიძა, მაგრამ ამავე დროს გაართო კი-
დეც.

„არადა, მართლა არ დამადგება კარგი დღე“, — გაიფიქრა მან.

ამაზე ფიქრი არ სიამოვნებდა, მაგრამ აკვიატებული აზრი აღარ ეხსნებო-
და და კიდევ უფრო განუშტკიცა გადაწყვეტილება. ახლა მართლ როზის ნახ-
ვაზე ფიქრობდა. მისმა კოცნამ სისხლი აუღუღა ძარღვებში.

მეორე დღეს სუიზინი დიდხანს ფიქრობდა, როგორ მოქცეულიყო. ბო-
ლოს გადაწყვიტა, როზისათვის ხუთ საათზე ადრე არ მიეკითხა. „თავს არ და-
ვიმდაბლებ“ — ფიქრობდა იგი. ექვსი საათი იყო დაწყებული, როცა ბოლოს
და ბოლოს ქუჩაში გავიდა და სუნთქვაშეგუბებულმა ბოლემსკეს სახლისაკენ
აიღო გეზი. ეგონა, როზის ფანჯარაში დავინახავო, მაგრამ ის არ ჩანდა. მისდა

გასაკვირად, ფანჯარაც მიხურული იყო. ფიქონზე გამოდგმული ყვავილებიც კი დანტყნარი მოეჩვენა. დააკაკუნა. როცა არავინ გამოიხედა, სუიზინმა მუშტები დაუშინა კარს. დაბოლოს გამთვიდა ჟღალწვერა, ნაღვლიანი სახის კაცი, ვისნაირსაც ყველაზე ხშირად ტვეტონური წარმოშობის უხატუბრებულ მორის შეხვედებით.

ბიზლიჩიშვილი

— რა ბრახუნია, ვას ეძებთ? — იკითხა მან გერმანულად.

სუიზინმა კიბეზე აჩვენა. კაცი მოიჭმუნა და თავი გააქნია.

— ზევით უნდა ავიდე, — უთხრა სუიზინმა.

ხარაზმა მხრები აიჩეჩა, სუიზინი კი კიბეზე ავარდა. ოთახებში არავინ დახვედრია. ავეჯი წინანდებურად ეწყო, მაგრამ სიცოცხლის ნიშანწყალი გამჭრალეყო. მისი მიტანილი თაიგული შუშის ლარნაკში ჭკნებოდა. ნაცარი გაცივებულიყო ბუხარში, იქვე ქალაღის ნაკუწები ეყარა. ოთახში უკვე დამკვიდრებულიყო შიტოვებული სახლ-კარის სუნნი. სუიზინი საწოლ ოთახში შევიდა, ქალიშვილების კედელთან მიდგმულ საწოლებს უაზროდ და დიდხანს უცქერდა. თვალში ბაფთა მოხვდა. აიღო, ჯიბეში ჩაიჩარა თითქოს იმის საბუთად, რომ როზი ოდესღაც არსებობდა. სარკის წინ პუდრი ეყარა. იქვე ქანძის-თავეები იყო გაბნეული. მან თავის აღელვებულ სახეს შეხედა და ჯავრი შემოენტო: „მომატყუეს!“

ხარაზის ხმამ გამოარკვია:

— რა ჯანდაბას უდგახართ მანდ? დრო ფული ღირს! აქ რამდენ ხანს გელოდოთ?!

სუიზინი ნელა დაეშვა კიბეზე.

— სად წავიდნენ? — ძლივს იკითხა მან. — რამდენ ინგლისურ სიტყვას იტყვი, იმდენ გირვანქას მოგცემთ, გირვანქა სტერლინგს! — და მან თითებით წრე შემოხაზა.

ხარაზი დაადმიჭა:

— ოქრო! ფუ! აბა, აბა, დაუჩქარეთ!

სუიზინი დაიბოღმა:

— თუ არ იტყვი, ცუდი დღე დაგადგება!

— მასხარა ყოფილხარ, — შენიშნა ხარაზმა, — აგერ ჩემი ცოლი მოდის. დერეფანში დედაბერი მოიჩქაროდა და თან გერმანულად ჩიფჩიფებდა:

— არ გაუშვა, არ გაუშვა!

ხარაზმა გულმოსულმა წაიბუზღუნა რაღაც, სუიზინს ზურგი შეაქცია და წაფლაბუნდა.

დედაბერმა შეუმჩნეველად ჩაუჩარა ხელში წერილი სუიზინს, ასევე უხმაუროდ გვერდზე გადგა და დაელოდა.

როზის წერილი იყო.

„მაპატიეთ, — სწერდა როზი, — გამოუმშვიდობებლად მივდივარ. მშობლიური ქალაქიდან ის ქალაღი მოუვიდა მამას, რომელსაც ამდენ ხანს ველოდით. ორ საათში გავალთ. დღთისმშობელ დედას ვევედრები თქვენს კარგად ყოფნას და იმას, რომ არ დამივიწყოთ. თქვენი მეგობარი, ვისაც მარადის ეხსომებით.“

როზი“

წერილის გადაკითხვისთანავე სუიზინს მოეჩვენა, მიწა მეცლება ფეხქვეშ, მაგრამ სიჯიუტემ მაინც წამოუარა. „ფარ-ხმალს არ დავერი!“ — გაი-

ფიქრა მან. ჩაიცივდა დედაბერს, ფულს მოგცემ, თუკი მეტყვი ბოლემსკები საით წავიდნენო. ბოლოს და ბოლოს ქალმა რამდენიმე სიტყვა ჩაუწერა უბის წიგნაკში. სუიზინმა ფული მისცა და „ოქროს ალპებისაკენ“ გაემართა. სასულემ-როში ინგლისურის მცოდნე ოფიციალტს გადმოათარგმნინა ქალის ნაწერი: „სამ საათზე წავიდნენ ეტლით ლინცის მხარეს ჯავლაგი ცხენები და ბათონით თეთრ ცხენზე ზის“.

სუიზინმა დაუყოვნებლივ დაიჭირა ეტლი და ლინცის გზას დაადგა. შირაბელის პარკთან კასტელიცი დაინახა და დამცინაოდ ჩაიჭიჩქილა: „ეს ხომ მაინც გავაცურე. ქადაგად დავარდნა ბილიან ემარჯვებით უცხოელებს, მაგრამ თავი რომ არაფრისა იქვით!“

გუნება გამოუკეთდა. მალე ისევ წარეკვითა სასო: დაეწევა კი? სამი საათია, წავიდნენ. მართალია ბოლო ხანს დაძლიანობით წვიმდა, გზები გაფუჭებულა, თანაც ბოლემსკებს ცხენებიც უხეირო ჰყავთ და ბარჯაც მიაქვთ, მაგრამ თავად ხომ დიდებული ცხენები უბია, მეეტლესაც ფული აჩუქა, ამიტომ ღამის ათი საათისათვის მაინც წამოეწევა. ღირს კი დაეწიოს? რა სასულელე ჩაინა, ბარჯი მაინც წამოეღო! უფრო რიგიანი შესახედავი იქნებოდა. ვასაჭირს მაშინ ნახავს, გაპარსება და პერანგის გამოცვლა თუ ვერსად მოახერხა. მან ძრწოლვით წარმოიდგინა საკუთარი თავი წვერმომშვებული და ჭუჭყიანი. არ იფიქრებენ, გაგიკვებულაო? მევე მოვიტყუე თავი, — გაიფიქრა მან, — დასწყევლოს ღმერთმა, რა ვუთხრა? მეეტლეს ზურგს გულანდერეული მიჩერდა, მერე ხელახლა გადაიკოხა წერილო, რომელსაც ჯერ კიდევ ასდიოდა როზის სურნელება. ასე მიირწყოდა სუიზინი ჩამოწოლილ ბინდში, გულს უღონებდა ეტლის ნჯღრევა, სინდისის ქენჯნა და დაუწყობელი ვნება.

ჩამოხველდა. აცივდა. სუიზინმა პალტოს საყველთ აიწია. პიკადილი მოაგონდა და ეს დევნა უგუნური და სახიფათო ეჩვენა. იქ გაჩირადნებული ქუჩები, ხაცობები და ფუფუნებაა. „ქმარა! — გაიფიქრა სუიზინმა, — მომეშვან, თავი დამანებონ!“ მაგრამ გაუგებარი იყო, ვის მიმართავდა ამ სიტყვებით. პარობითობას. ბოლემსკეს ოჯახს, საკუთარ გრძნობებს თუ აკვიატებულ მოგონებებს როზიზე. ჩემოდანი მაინც წამოეღო რას ეტყვის? რას დაეძებს? სუიზინს პასუხი ვერ ეპოვა. ირვლავ ჩამოწოლილი ღამეც კი არ ეჩვენებოდა ისეთი ბნელი, როგორც საკუთარი გრძნობები. ყოველ წამს დასცქეროდა საათს. მეეტლე სოფელ-სოფელ კითხულობდა მგზავრების ამბავს. თერთმეტი იქნებოდა დაწყებული, როდესაც ცხენები უცერად შეაყენა. ფოლადისფრად ბრწყინავდნენ ვარსკვლავები. გზის პირას ღერწმით გადავლილი და მთვარის შუქით განათებული ტბა მოჩანდა. გზა მხედარმა გადაუღობათ. სუიზინი შეერთა, მაგრამ მაინც ჯიუტად ბრძანა, ცხენებს შეუტეო. თეთრ, გაძვალტყავებულ ცხენზე ამხედრებული უცნობი ბოლემსკე აღმოჩნდა, დამბახით ხელში გადაუდგა ეტლს.

„ტაკიმასხარა!“ — ნერვიულად გაიფიქრა სუიზინმა და ვითომ ვერც იცნო დამხვდური. ბოლემსკე ეტლს მიუახლოვდა, სუიზინი რომ დაინახა, გაუხარდა და გაუკვირდა კიდევ.

— თქვენა ხართ? — გამხდარ ფერდზე ხელი შემოიჩრტა და სუიზინისაკენ ისე დაიხარა, თითქმის წვერით შეეხო სახეზე, — თქვენც ჩვენთან ერთად მოდიხართ?!

— ასე გამოდის, — წაიბურტყუნა სუიზინმა.

— ჩვენი ბედი უნდა გაიზიაროთ? ნუთუ შართლა ასეა? თქვენ მოხეტიალე რაინდი ყოფილხართ!

— ღმერთო ჩემო! — ამის წარმოთქმალა მოახერხა სუიზინმა ბოლესსკემ ჯაგლაგა შეუტია და სადღაც მოვარის სინათლეში გააჭენა. მალე ძველი ლაბადა მოიტანა და სუიზინს ჩააკივდა, ჩაიცვიო, თან ~~ჩაიხურდოდა~~ მათარაც მიაწოდა.

ბიზუნიონეკა

გაითოშეთ? საოცარია, ინგლისელები საკვირველი ხალხი ხართ! — ბოლესსკე მადლიერ თვალებს არ აცილებდა სუიზინს. მალე რომელიღაც ეტლს დაეწივნ, მაგრამ ლაბადაში გახვეული სუიზინი არც ცდილა გაეგო, ვინ იყვნენ ბეწინავენი. უნგრელის მადლიერება სულთ ხორცამდე აღშფოთებდა.

— თქვენ მგონი ძალიან გეჩქარებათ! — შენიშნა ირონიულად.

— გავფრინდებოდით, ფრთები რომ გვჭონდეს! — უპასუხა ბოლესსკემ.

— ფრთები! — ჩაიღრუტუნა სუიზინმა, — მე ფეხებზე მეყოფა.

10

როდესაც ღამის სათევსს მიაღწენენ, სუიზინი მაშინვე არ გადმოსულა ეტლიდან, იქნებ „უსიამო სცენები“ ავიცდინოთ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ეტლიდან რომ გადმოვიდა, ორივე ქალიშვილი კართან დაუხვდა, მას უცდიდნენ. მარგიტი აღტაცებული ელურტულით მიესალმა, თუმცა სუიზინს მოეჩვენა, რომ მის ხმაში დაცინვის ნაგვარი რაღაც ეღერდა. გაფითრებულმა და აკანკალებულმა როზიმ დანფრთხალმა გაუწოდა ხელი, მერე უცებ წაართვა და დის ზურგს ამოეფარა. როცა ქალიშვილები თავიანთ ოთახში ავიდნენ, სუიზინმა ბოლესსკე მოძებნა. სუიზინა გუნება საკმაოდ გამოუკეთდა.

— პატრონს უბრძახეთ, ვახშამი მოგვართვან, მანამდე კი თითო ბოთლი ღვინო გადავკრათ.

ოთახის ფანჯრები ფიჭვნარის გადაპყურებდა. ხეები ისე ახლოს იდგნენ ფანჯარასთან, ხორკლიან ტოტებს ხელით მიწვდებოდა კაცი. ოთახი წიწვიან სუნით ავსებულყო. სუიზინმა ზურგი შეაქცია ფანჯრებს მიღმა გამეფებულ სურნელოვან წვედიადს და ბოილი ააღო, საცობი ხმაურით ამოვარდა და ბოლესსკეც მაშინვე გამოჩნდა ტალახში ამოსვრილი და საჯინბოს სუნით გაყლებილი. მას კვალდაკვალ მოჰყვა მარგიტი, როგორც ყოველთვის მშვიდი და ფერიანი, როზი იგვიანებდა.

— თქვენი და სად არის? — ჰკითხა ქალიშვილს სუიზინმა.

როზი დაიღალაო, იყო პასუხი.

— სამშობლოს სადღეგრძელო უსათუოდ უნდა შესვას, — აბუტბუტდა ბოლესსკე და ქალიშვილის მოსაყვანად წავიდა. მარგიტი უკან გაჰყვა. სუიზინმა კი დედლის აქნა დაიწყო. ბოლესსკეები ისევ დაბრუნდნენ, როზი შაკიკს უჩივისო.

სუიზინი მოიღუშა:

— მე ავალ, იქნებ დავიყოლიო, თქვენ დააწყეთ, ნუ დამიცდით.

— კეთილი, კეთილი, — ნაღვლიანად მიუგო ბოლესსკემ და სავარძელში მძიმედ დაეშვა, — მართლაც, ძმაო, იქნებ დაიყოლიოთ.

სუიზინი დერეფანში მიაბიჯებდა. გული უცნაურად, ტკბილად გაჰყურებო-

და. კარსე დააკაქუნა, ერთი წუთის შემდეგ როზიმ გამოიხედა და გაკვირვებულა თვალები შიპყრო ვაჟა. თმა ჩამოშლოდა ქალიშვილს.

სუიზინმა გაუბედავად წაძოიწყო:

— როზი, ახლა ნაინც რატომ გეშინია ჩემი, როცა...

როზი თვალებში შეჰყურებდა, მაგრამ ხმას არ იღებდა.

— რატომ არ ჩამოდიხარ ვახშაშზე?

როზიმ ხმის ამოუღებლავ გაუწოდა ხელი. სუიზინმა აკანკალებულმა როზიმ ზედ ყურში წასჩურჩულა, ახლავე მოვალე და ფრთხილად ნიხურა კარი.

სუიზინმა ფეხაკრეფით გაიარა დერეფანი, თავისა ოთახის კარს მიადგა და დონის ნოსაკრებად ერთ წამს შეჯოჯნდა.

ბოლესსკეს ხელში ბოთლი ეჭარა და სავარძელში მოკალათებულყო. მისმა განომეტყველებამ სუიზინი დაანწვიდა.

ახლავე მოვა, — თქვა სუიზინმა და მართლაც როზივე შემოვიდა. ხშირი თმა დაუდევრად დაემაგრებინა.

სუიზინი დებს შუა იჯდა, მაგრამ ცოტას ლაპარაკობდა: ძალზე მონშეული იყო. ფიქრებში ჩაძირული ბოლესსკეც დუმდა, როზი ხომ მათად ნუნჯივით იჯდა, მხოლოდ მარჯვტი ტიკტიკებდა შეუჩერებლივ:

— მართლა ჩვენთან ერთად მოდიხართ? ჩვენს ქალაქში? იქ ყველაფერს, ყველაფერს გაჩვენებთ! როზი, ხომ ვაჩვენებთ?

როზიმ ისე გააქნია ბელები, თითქოს ახლავე ეპატყებოთ:

— ყველაფერს გაჩვენებთ...

ამ სიტყვების მერე თითქოს ხმა დაუბრუნდაო როზის, ქალიშვილები ლოყებაწითლებული და თვალებგაბრწყინებული შეექცნენ ვახშამს და გაუთავებლად მოჰყვნენ ლაპარაკა თავიანთ „საყვარელ, მშობლიურ ქალაქზე“, „საყვარელ მეგობრებზე“ და „საყვარელ მშობლიურ საბლსე“.

„ალბათ სოროს მაგარი რაღაც იქნება“, — გაიფიქრა სუიზინმა. რაიმეთი აღტაცება მას მუდამ შეუფერებელ საქციელად მიიხნდა. მაგრამ ახლა მოგონილი ინტერესითა და გულისხმიერებით უსმენდა ქალიშვილების ლაპარაკს, რისთვისაც როზის აციმციმებული თვალებია შემოხედვა დაძსახურა რამდენჯერმე.

ღვიანოს ბოთლში თანდათან აკლდებოდა და ბოლესსკესაც ნელ-ნელა ერეთდა ნადველი, მხოლოდ ფრთხილად თუ გაუნათლებოდა სახე, ბოლოს წამოდგა:

— არ უნდა დავივიწყოთ. — თქვა მან, — რომ იქ შესაძლოა ტანჯვა-წვალება, მათხორობა და სიკვდილიც კი გველის... ქვეყანას ვკირდებით და იმისთვის მივდივართ... მე და თქვენ, ჩემო ქალიშვილებო, ეს დამსახურებად არ ჩაგვეთვლება. მე ამ კეთილშობილ ინკლიაელზე ელაპარაკობ... ღმერთს მადლობა შევწიროთ, რომ ამ კაცს ასე კეთილი გული მისცა! იგი თავის ქვეყანაში კი არ მიდის, ან დადგებასა და ფულს კი არ დაეძებს, არამედ სურს სუსტსა და დაჩაგრულს ამოუდგეს მხარში. დავლით მისი სადღეგრძელო, გაუმარჯოს გმარ ფორსაიტს!

მკვდრული საჩუბე ჩამოვარდა, სუიზინმა როზის შეხედა. ქალიშვილის თვალებში ოდნავ შესამჩნევი ღაცინვა კრთოდა. ახლა უნგრელს შეხედა სუიზინმა. იქნებ დასცანია ეს საფროხობულა? მაგრამ ბოლესსკემ ჭიქა გამოსცალა, ისევ ჩაეშვა სავარძელში და გველის გასაოცრად ზერინვა ამოუშვა.



მარტივი წამოღვა, ნძინარეს დახედა და დედობრივი მზრუნველობით წაიბურჩულა: „მგზავრობამ ძალიან დადალა“. მერე ღონიერი ხელები ჩასჭიდა მამას და ფეხზე წამოაყენა. ბოლემსკე ქალიშვილის მხარს დაეჭირნო და მარბაცათ გაეღდა ოთახიდან. როზი და სუიზინი მარტო დარჩნენ. სუიზინი ტილოს სუფრაზე დასვენებულ ქალს ზელს მიწვდა. როზეს ხედივით ეთქოს ელოდა ამ შეხებას. სუიზინი ალაპარაკდა. სიტყვები აღიფრთხილებოდა. ვით წამოვიდნენ, ერთი წამით სუიზინა ყველაფერი დააფიქნა ამქვეყნად, ყველაფერი, გარდა იმისა, რომ როზის გვერდით იყო. ქალიშვილმა თავი მხარზე დაადო და სუიზინი კვლავ მიეცა როზის თმის სურნელებით ტკბობას. ქალმა წაიხურჩულა: „დამე მშვიდობისა“ და სუიზინმა ვერც კი მოასწრო რაიმეს მოსაზრება, რომ როზი გაუჩინარდა.

გარგა ხანია მისწვდა როზის ნაბიჯები დერეფანში, სუიზინი კი ისევ იჯდა და თვალმთქმურებლივ მიჩერებოდა ღვანის ააწაწინა წვეთს, სუფრაზე რომ ბრწყინავდა. ამ წუთას როზი თავისი უსასოობითა და სიყვარულით ყველაფერი იყო სუიზინისთვის ამქვეყნად: წარსული ცხოვრება ვაჟს არააობად მოეჩვენა. ყველაფერი, რასაც კი მისი ცხოვრება ერქვა — ჩვეულება, ტრადიცია, რწმენა, აღზრდა, თავად სუიზინი... — ყველაფერი დაუარა ვნების ბურუსმა და მათთვის უჩვეულო რაინდულმა გრძნობამ. სუიზინმა პურის ნამცეცით ააწრო აცემციმებული წვეთი და გაიფიქრა: „საოცარია პარდაპირი.“ მერე დიდხანს იდგა და ფანჯარასთან და ჩაბნელებულ ფიქვანს ვასტყვროდა.

11

სუიზინს აღრე გაეღვიძა. არეულ-დარეული სიზმრებისა და უცნობ ადგილას, მოუწყობელ ბინაში გატარებული ღამის მერე გაღიზიანებული იყო. სანამ ადგებოდა, საბნიდან ცნვირგანოყოფილს უეცრად საშინელი ეჭვი დაებადა. ეჭვი თანდათან ისრდებოდა და ბოლოს რაც აუტანლად გადაიქცა, რომ წამოსტა, ვინ იცის, იქნებ შეთქმულება მოუწყეს და როზაზე დაქორწინებას უბირობენ? ამ მოღალატურმა აზრმა ზიზღი მოგვარა, და მაინც... იქნებ თავად როზიმ არც არაფერი იცია? ვითომ ამასთანა უმანკოა? როზელი უმანკო ქალიშვილი მაგადოდა ვაჟთან თავიანი ფეხით? მამამისი კი... ცდილობს ყველას მოაჩვენოს, მარტო სამშობლოზე ამონდის მზე და მთვარეო! დაუჯერებელია, ვაგი მაგისტანა სულელი იცოდა. დიახ, ეს ყველაფერი მოთქმებული თამაშის ერთი ნაწილია. ჰმ, წყველა ინტრიგანი! კასტელიციც მისი კუდია, როგორ დამე-მტქრა! მამ, დაქორწინება მოუნდომებიათ? ეს შენაზრუნნი აზრი კიდევ უფრო უღრმავდებოდა იწით. რომ სუიზინი საერთოდ ქორწინებას პატივისცემით უყურებდა, მისთვის ქორწინება კეთილშობილური და ღირსეული რამ იყო, უწინოდა ყოველგვარი სასაყვარულო კანკირისა, უხეში და პრიმიტიული ეჭვგანებოდა იგი. მაგრამ რომ გააფიქრა, როზაზე უნდა დამაქორწინონო, ციფმა თვლმა დაასხა. ამ აზრს მით უფრო როგორ შეეგუებოდა, როცა როზიმ უკვე გაიყო მასთან სარეცელი გრილსა და ნათელ დილას სუიზინი პარველად მიხვდა, რა რთულსა და მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. საწოლში წამომჯდარი, რიყზე გადმოგდებულ თევზივით სუნთქავდა და ანლად აკვირებული ეჭვი აწვალებდა. აღწერელი აღსყოთება მოადებოდა მოელ მის არსებას.

თავზე ხელებშემოდებული სუიზინი ცდილობდა წარმოედგინა, რას ნიშნავდა მისთვის ამგვარი ქორწინება. ჯერ ერთი, ეს სიგიჟე იყო, მეორეც — სი-

გიჟე და მესამე — კიდევ სიგიჟე! როზი ქათმის ხორცს იმ ხელებით დაუწყებს
 ძიძგნას, რომელთა კოცნა ახლაც სწყუროდა სუიზინს; თავდავიწყებით გაეთი-
 მაშება სხვა მამაკაცებს და გაუთავებლად იუბედებს „საყვარელ მშობლად ქა-
 ლაქზე“. მუდამ სადღაც იქით, სუიზინის ზურგსუკან დაიწყებს ცქერას და წარ-
 მოიდგენა იმ დაწყევლილ, სუიზინისთვის სრულიად უცნობ, მხატვს, სუიზინი
 წამოხტა. ოთანში ძუნძულს მოპყვა. ერთი წამით მოეჩვენა, მკვლელის მკვლელო.

მაშასადამე, მისი დაქორწინება უნდათ. იმასაც, რომისაც უნდა ქმრად გა-
 ეხადოს! ქალის უცნაური ქცევა, ფარული სინაზე, ჩუმი სიცილი, მხურვალე
 კოცნა, ხელების მოძრაობაც და ცრემლებიც კი — ამხილებდნენ როზის გან-
 ზრახვას. ყველაფერი, რაც ბუნებრივი იყო როზისათვის, სუიზინის თვალში
 ბრალდებად იქცა, მაგრამ ეს კიდევ უფრო უწვავებდა სურვილს და ვნებას.
 სუიზინი სარკესთან მივიდა და სცადა თითებით გადაეცარცხნა თბი, მაგრამ
 თმა შეთხვლებოდა და სახეზე ბლუჯა-ბლუჯა ჩამოეყარა. ამან მთლად მოუთა-
 ვა ხელი სუიზინს. მერე ჭუჭყიან ფეხსაცმელებს დასწვდა: „მართო რომ შემახ-
 ვედრა, როგორმე შევიტანს მებდი“, — გაიფიქრა მან, მაგრამ შეშინებულმა მა-
 შინვე უარყო ეს აზრი: ყოველგვარი შეთანხმება არამცთუ საშიში, ძალზე სა-
 რისკოც იქნებოდა. შლაპას ეცა და გარეთ დაიფრთხალი კურდღელივით გა-
 ვარდა. თავჩალუნული, აღშფოთებული და პრწოლვით ავსილი კარგა ხანს
 დაეხეტებოდა ნაწვიმარ ტყეში. მაგრამ მზე რომ ამოიწვერა და ჰაერი წიწვის
 სურნელებით აავსო, სუიზინი თანდათან დაშოშმინდა. ბოლოს და ბოლოს რო-
 ზი თავისით დანებდა, ასე რომ, ჯერ არავინ იცის... საკუთარი ნაბიჯების თანა-
 ბარი ხმა თითქოს სულს უწვიდებდა. ბოლოს გადაწყვიტა, ყველაფერი მო-
 გვარდებოდა. „საქმეს საღად შევხედოთ“, — გაიფიქრა და რაც უფრო უჩქარებ-
 და ნაბიჯს, მით უფრო უმტკიცდებოდა დავიდარობისაგან თავის დაღწევის
 რწმენა. საათი ამოიღო ჯიბიდან. რვა დაწყებულ იყო. გამობრუნდა და სასწრა-
 ფოდ გაეშურა სასტუმრო ბაგისაკენ. მეეტლე ცხენებს უბანდა ეტლს. სუიზინი
 თავზე წაადგა.

- ვინ გითხრა, შეაბიო?
- Der Herr,¹ — მიუგო მეეტლემ.

სუიზინი გაბრუნდა. „ათი წუთის წინდევ კვლავ ამ ეტლში ჩაეჯდები. —
 ფიქრობდა იგი, — თავში ათასი აბდაუბდა მიტრიალებს! ინგლისს უნდა მოვ-
 შორდე, ყველაფერს მოვშორდე, რასაც აქამდე შეეჩვევივარ... მერე საით წა-
 ვიდე?“ განა სუიზინი მზად არის ამისათვის? შეუძლია გაუძლოს იმას, რაზეც
 ამ დღას ფიქრობდა? და თანაც გაუძლოს მართო დღეს კი არა, ხვალ, ზეგ
 და მთელი სიცოცხლე? ზენოთ აიხედა. დანჯრიდან როზი გადმოპყურებდა. აქამდე
 არასოდეს არ სჩვენებია როზი ასე წარშტაციც და ვერაგიც. აუწერელმა
 ძრწოლვამ მოიკვა სუიზინი. გადაიბინა უზო და ეტლში შევარდა; „ზალც-
 ბურგისაკენ! ჩქარა!“ როდესაც ეტლი რაბრახით გავარდა ქიშკარში, სუიზინმა
 უკანმოუხედავად გადაუგდო ფული სასტუმრო ბაგის მეპატრონეს. ზალცბურ-
 გისაკენ უფრო სწრაფად მიჰქროდა, ვიდრე აქეთობისას. გაფითრებულსა და
 თვალეზგადმოკარკლულს სიტყვაც არ დაუძრავს მთელი ვზა, მხოლოდ მაშინ
 ამოიღო ხმა და მეეტლეს უბრძანა, გაჩერდით, როცა ზალცბურგში თავის ბი-
 ნას მიუახლოვდნენ.

¹ ბატონმა (გერმ.).

მეხუთე დღეს, საღამო ხანს, გაყვითლებულმა და მგზავრობით მოქანცულ-
მა სუიზინმა გონდოლით ნიაღწია დანიელის სასტუმროს. შესასვლელში, კი-
ბეზე იდგა ჯემსი და მას უყურებდა სამართლიანი ცნობისმოყვარეობით.

— ოპ, შენა ხარ? — წაილაპარაკა მან, — მშვიდობით ჩანს გე?

სუიზინს გული მოუვიდა:

— რას ნიშნავს მშვიდობით?

ერქონეში
ბიზნიმისეა

— მეგონა, მეგობრებს არ მიატოვებს-ნეტქი, — მიუგო ჯემსმა და ეჭვი-
ნად დაუმატა: — არ ჩამოგიყვანია?

— ვინ მეგობრები?! — დაიღრინა სუიზინმა.

— რა უხვიროდ გამოიყურები?!

— მართლა? — წაიბურტყუნა სუიზინმა, — მერე შენ რა გესაქმება!

იმავ საღამოს ვახშამზე ჩავიდა, მაგრამ ყავას დალევისას ჩაეძინა, არც თრა-
კერს და არც ჯემსს შეკითხვებით არ შეუწუხებია, ზალცბურგი არც უხსენები-
ათ. მთელი ის ოთხი დღე, ვენეციაში რომ გაატარეს, სუიზინი თავაწეული და-
დიოდა ქუჩაში, თვალეში უაზრობა ეხატა რაღაც საშინელი ამბით თავზარდა-
ცემულ კაცივით. მხოლოდ გენუაში, ხომალდზე გაიდვიდა სუიზინის სულში
ცხოვრების ინტერესმა. რომ შეიტყო, მათთან ერთად ერთი კაცი მგზავრობს
და პიანინოზე ბარტყუნი უყვარსო, სუიზინმა ინსტრუმენტი ჩაკეტა, გასაღები
კი ზღვაში გადააგდო.

მომდევნო ზამთარი ჩვეულებისამებრ ლონდონში გაატარა, მაგრამ ხანდა-
ხან ისეთი უგუნებობა შემოუტყვდა, მასთან გამოლაპარაკება არც ისე სასი-
ნოვნო გახლდათ.

ერთ საღამოს, როცა თავის ერთ მეგობართან ერთად პიკადილზე მოსეირ-
ნობდა, ვიღაც ყმაწვილი ქალი გამოელაპარაკა გერმანულად. სუიზინი მღუმა-
რედ მიაშტერდა ქალს და თავისი მეგობრის გასაოცრად, ხუთი გარვანქა სტე-
რლინგი აჩუქა. თავადაც ვერ აეცნა, რად გამოიჩინა ასეთი გულუხვობა.

როზიზე აღარასოდეს სმენია რამე...

აი, რაზე ფიქრობდა ავადმყოფი სუიზინი. მან ხელი გაიწეინა და დარეკა.
შვედი ლაქია შემოვიდა და კატასავით მიუახლოვდა საწოლს. ეს პატარა ნერვი-
ული კაცი, რომელსაც დამწყნარი საჩე და ჩამოვარდნილი უღვაში პქონდა, კარ-
გა ხანია სუიზინს ემსახურებოდა და უცნაურად შეთქისებოდა თავის პატრონს.

სუიზინმა ოდნავ შეაქანა ხელი.

— ადოლფი ხარ? სულ დავგლახავდი... — თქვა მან.

— დიახ, სერ!

— რას დგახარ ვირივით! ვერა ხედავ, ცუდიდ ვარ?

— დიახ, სერ! — სახე მოექცა ლაქიას, ეტყობა, საკუთარი გრძნობების
დამალვას ცდილობდა.

— ნასადილევს უკეთ ვიქნები. რონელი საათია?

— ხუთი.

— მეტი მეგონა. რა ნელა გადის დღეები!

— დიახ, სერ!

სუიზინმა ისე ამოიოხრა, თითქოს სურდა, ვინმე შეკამათებოდა, საწინაა-
ღმდეგო ეთქვა, იქნებ შვება მომგვაროსო.

— ჩავიძინებ. შვიდის ნახევარზე თბილი წყალი მომიტანე და სადილის წინ განპარსე.

ლაქია კარისაკენ წავიდა. სუიზინმა წაწია:

— მისტერ ჯემსმა რა თქვა?

— სხვა ექიმი უნდა მოვიწვიოთო, რაც მეტ ექიმს უჩვევბო კავადს მოსწონს, მით უკეთესი იქნებაო, დაიბარა, შინ რომ დავბრუნდები, გზად შემოვივლით კიდევო.

— ჰმ, კიდევ რა თქვა? — წაიბუზღუნა სუიზინმა.

— თქვესზე თქვა, თავს არ უვლიათ.

სუიზინმა გულმოსულად გახედა ლაქიას.

— კიდევ იყო ვინმე?

ლაქიამ თვალი აარიდა.

— ორი კვირის წინათ მისის თომას ფორსაიტმა შენობიარა.

— დიდი ხანია, რაც ვწევარ?

— შაბათს გახდება ხუთი კვირა.

— შენა აზრით, ძალიან ცუდადა ვარ?

სახე კიდევ უფრო დაუხარტდა ადოლფს.

— მაგას ნუ შეკითხვებით, აერ, ფულს იმიტომ კა არ მიხდინა, მაგნაირ შეკითხვაზე ვუბასუხო.

სუიზინმა ოდნავ ამოიოხრა:

— თავხედი ბრიყვი ხარ, გახსენი შამპანური!

ადოლფმა ბუფეტისგან ბოთლი გამოიღო, გასახსნელი მოძებნა, მერე დაკვირვებით მიაჩერდა სუიზინს:

— ექიმმა თქვა...

— გახსენი ბოთლი!

— ეა ხომ...

— გახსენი ბოთლი, თორემ გაგაგდებ, იცოდდე!

ადოლფმა ამოაძრო საცობი, ჭიქა საგულდაგულოდ გაამწია, ღვინით აავსო და სუიზინს მიაწოდა. მერე ხელები ერთმანეთს გადააქლო და შეპყვირა:

— ეს ხომ შესამია!

სუიზინს უღონოდ გაეღიმა:

— ჩერჩიტო... გაეთრეე გარეთ!

ლაქია გაქრა.

სუიზინმა ნელა აიღო ჭიქა, მერე ისევ დადგა და სუნთქვაშეგუბებული ბალიშზე დაეშვა. წუთიც და, ჩაეძინა. სიზმარში საკუთარი თავი ნახა. ვითომ ნასადილევს კლუბში იყო და სიგარას აბოლებდა. ოთახის კედლები სამ-სამ-სანთლიან შანდლებს გაეჩახჩახებინა. მედიდური და განმარტოებული სუიზინი ყოველდღე მოდიოდა აქ და მოთმინებით იჭდა საღამომდე. ხანდახან ჩაეძინებოდა კიდევ, გაფიქრებული და ბებრული ოთხკუთხა სახე მკერდზე ებჯინებოდა. სიზმრად ხედავდა, ვითომ ბუხრის თავზე დაკიდებულ სურათს უყურებდა. ეს იყო ძველი მახელმწიფო მოღვაწის, სახედახვეწილი და წარბშეკრული კაცის პორტრეტი, ვინც მიღებულ ჭეშმარიტების ქადაგებას იყო ჩვეული. სუიზინმა გარშემო კლუბის წევრები გაყანებდნენ. მხოლოდ ბებერი და

სნებაშეყრილი სუიზინი დუმდა. იმათ რომ სცოდნოდათ, რა ძნელი იყო მარტობა და ისიც სწეული ბერიკაცისათვის... რაზეც ისინი ლაპარაკობდნენ, სუიზინს ასჯერ ჰქონდა გაგონილი. ლაპარაკობდნენ ფულზე, სიგარეტზე, კბენებზე, მანქანებზე, მსახიობ ქალებზე. რათ, რათ? საზღვარგარეთ ქვაბების განხეხი მანქანა მოიგონესო? სასულელეა! ბრიყვმაც კი იცის, ქვაბების განხეხვა რომ შეუძლებელია. თუკი ინგლისში ვერაფერ გამოიგონა ანეთი მანქანა, სხვა ქვეყანაში როგორ შესძლებდნენ ამას. სუიზინმა ნოხუცი ჯენტლმენის სურათს შეხედა. ამჯერად სახეზე ჰგონი პირველად აღებეჭდა ეჭვი. მონუცის თვალები აინდვრნენ, ერთმანეთში გაიღღლაბნენ და გაქრნენ. მათ ადგილას ამოტივტივდნენ როზის პატარა და უძირო ამოუცნობი იდეალებით სავსე, სადღაც შორს მიპყრობილი თვალები. ვიდრე სუიზინი მათ აკვირდებოდა, თვალებში გაცოცხლება იწყეს, ფოლადივით აბრწყინდნენ და თითქოს გამოელაპარაკნენ კიდევ სუიზინს. სურათის მუქ ფონზე ნელ-ნელა გამოიკვეთა ფაფუკი, თმით მოვარაყებული როზის ვარდისფერი, მიუწვდომელი სახე, სწორედ ისეთი, უკანასკნელი შეხვედრისას რომ ჰქონდა. როზი თითქოს ეკითხებოდა:

— რაზე ხომ არ დაგიკარგავს? მე გაპოვნივ.

— არაფერიც არ დამიკარგავს! — ნიუგო. სუიზინმა და სიზმარში დააკუნესა.

შუბლზე ვილაციის თითების შეხება იგრძნო და ძილშივე გაიფიქრა: „ნუთუ სიზმარია?“

როზი გაქრა. მისი ფეხისებრა შორს, სურათის მიღმა მიჩუდა.

„დამეკარგა...“ — წაიჩურჩულა სუიზინმა, მერე ხელახლა მოესმა მსუბუქი ნაბიჯები, სულ ახლოს, სედ ყურთან თითქოს ვილაც ქვითინებდა. გამოედვიდა. სიზმარში ტიროდა თვითონ.

შუბლზე ოფლის მსხვილ-მსხვილი წვეთები დასხდა. „ნეტავი რა დავკარგე?“ — გაიფიქრა მან. გონებაში ნელ-ნელა გადათვალა ფული, მაგრამ დანაკარგი ვერსად აღმოაჩინა. „ნუთუ... ნუთუ მართლა დავკარგე რამე?“ გაჭირვებით ასწია თავი, ჭიქას ხელი დაავლო და ღვინო მოსვა. „ესაა სუფთა პოლსიკი?“ — გაიფიქრა გულმოსულმა და ბუნდოვანმა ზმანებამ გაუქრო უკმაყოფილება. თავი დასწია, ღვინოს კიდევ მოვსვანო, მაგრამ უცებ თითქოს რაღაც ჩაწყდა მკერდში, ღრმად ამოიოხრა და ქაფიანი სითხით სავსე ჭიქსაყენ დახრილმა დალია სული.

როცა შინ მიმავალმა ჯემს ფორსაიტმა დაპირებულსაებრ გზად კიდევ შემოიარა, ქუდი და ყავარჯენი მთლად აცახცახებულმა ლაქიამ ჩამოართვა.

— როგორ არის? — იკითხა ჯემსმა.

— აღარა გეყავს, სერ...

— აღარა გეყავს? რას ამბობ, ერთი საათის წინ არ ვნახე?

მიცვალებული ტომარაპავით იდო ლოგანზე. ჭიქას ისევ ჩასჭიდებოდა მაგრად.

ჯემს ფორსაიტი დანჯად მიუახლოვდა.

— სუიზინს! — ჩაიძახა, ხელიაგული ყურთან მოიმარჯვა და პასუხს დაელოდა. მაგრამ პასუხი არავის გაუცია, მხოლოდ უკანასკნელი ბუშტული მოსწყდა ჭიქის ფსკერს, ზემოთ-ზემოთ წავიდა და გასკდა.



ინგლისურიდან

თარგმნა ბიორბი ნიუნიაანიძე

სალხური

ლორდ რენდოლი

- საით გივლია, შვილო ჩემო, იმედო დედის,
ლორდ რენდოლ, შვილო, სად იყავი აქამდე-მეთქი?
- ნადირს დაუდევდი, — გამიშალე ლოგინი ჩქარა! —
გადავიარე, დედი, ტყე-ტყე მრავალი ქედი.

- გზაზე ვინ შეგხედა, იმეო ჩემო, სიცოცხლეც დედის,
ლორდ, რენდოლ, შვილო, გზად ხომ არვის არ შეხვდი-მეთქი?
- საყვარელს, დედი, — გამიშალე ლოგინი ჩქარა!
არ მიძინია მთელი ღამე არც ერთი წვეთი.

- რით გაგახარა გულისსწორმა, ნუგეშო დედის,
ლორდ რენდოლ, შვილო, რა მოგართვა სადილად-მეთქი?
- შემწვარი თევზი, — გამიშალე ლოგინი ჩქარა!
მუხლები მწყდება, ეჰ, დილაზე მაძინა ერთი!

- თევზის ნარჩენი ვის არგუნე, სულისთქმაც დედის,
ლორდ რენდოლ, შვილო, ნასუფრალი ვის შეხვდა-მეთქი?
- ქორსა და მწვევრებს, — გამიშალე ლოგინი ჩქარა!
ქორსა და მწვევრებს გადავუფდე ბოლო და მკერდი.

- რა დაემართათ ქორსა და მწვევრებს, სიკეთეც დედის,
ლორდ რენდოლ, შვილო, რამემ ხომ არ აწყინათ-მეთქი?



ქართული
ლიტერატურის
ცენტრი

- სული განათრთხეს, — გამიშალე ლოგინი ჩქარა!
ჭერეხეპივით დაეყარნენ პატრონის გვერდით.
- მოუწამლიხარ, შვილო ჩემო, წყალობავ დედის,
ლორდ რენდოლ, შვილო, რა უბრალოდ გაგწირა-მეთქი!
- კო, გამიმეტა, გამიშალე ლოგინი ჩქარა
და დაშაწვინე — არაფერი არ მინდა მეტი!
- დას რას უტოვებ, შვილო ჩემო, ტკივილო დედის,
ლორდ რენდოლ, შვილო, შენს დაიკოს რას აძლევ-მეთქი?
- თქონ-ვერცხლს ვაძლევ. — გამიშალე ლოგინი ჩქარა!
გულ-ღვიძლი მეწვის, დედი, ლამის დამესხას რეტი.
- ძმას რაღას აძლევ, შვილო ჩემო, სიოტლევ დედის,
ლორდ რენდოლ, შვილო, შენს ძმას რაღას უტოვებ-მეთქი?
- ციხეს და მამულს, — გამიშალე ლოგინი ჩქარა!
ტანი შერღვევა, მგონი, მართლა გამიწვრა ღმერთი.
- იმ შენს სიყვარულს რას უტოვებ, სიკუდილო დედის,
ლორდ რენდოლ, შვილო, მისთვის რაღას იმეტებ-მეთქი?
- ცუცხლს და გვენას, — გამიშალე ლოგინი ჩქარა
და შენი ხელით დაშაწვინე საწოლზე, დედი.



- „მარტოღმარტო სად მიდიხარ, მშვენიერო ალვა?“
- „ბაკში ძრთხის მოსაწველად, სერ“ — მიუგო ქალმა.
- „რომ გამოგყვე, გეწყინება, მშვენიერო ალვა?“
- „რასა ბრძანებთ! — როგორც გსურდეთ, სერ“ — მიუგო ქალმა.
- „ნეტა ვისი ასული ხარ, მშვენიერო ალვა?“
- „მამაჩემი ფერმერია, სერ“ — მიუგო ქალმა.
- „ცოლად ხომ არ გამოიმყვები, მშვენიერო ალვა?“
- „დიას, თქვენ თუ თანახმა ხართ, სერ“ — მიუგო ქალმა.
- „მაგრამ მზითვად, მზითვად რა გაქვს, მშვენიერო ალვა?“
- „მხოლოდ სახე მშვენიერი, სერ“ — მიუგო ქალმა.
- „მაშინ ალბათ ვერ წაგიყვან, მშვენიერო ალვა“.
- „კალთებს არვინ არ დაგახუვთ, სერ“ — მიუგო ქალმა.



უილიამ საუტარი



კაეზანი ღამით

✓

უხმოდ გააღო ბნელში საკეტი,
 უხმოდ სომიწვა გვერდით,
 მე იგი ვიცან გრილი ბაგეთი
 და აკოკრილი მკერდით.

არ დაგვეცდენია სიტყვა არცერთი,
 ანდა რა უნდა გვეთქვა —
 პასუხს მეც გულის ფეთქვით ვაძლევდი
 იმასი გულის ფეთქვას.

ხოლო პირველი მამლის ყივილით
 ბინდი შეირხა როცა,
 ყელზე შეაწყდა ბროლის მძივივით
 უკანასკნელი კოცნა.

უხმოდ წავიდა — გულზე ნაპკური
 დილის ცვარივით გადნა
 და უხმო იყო მთელი ზაფხულიც,
 იმ ერთი ღამის გარდა.

□

რობერტ ტანაკილი

მეგი, ხომ არ გძინავს, მეგი?

„მეგი, ხომ არ გძინავს, მეგი?
 მეგი, შენ არ გძინავს, მეგი! —
 შემომიშვი, თორემ წვიმამ
 ღამის გადარეცხოს ბექი.“

წააქცია ღობე ზენამ,
 ცამ მიწაზე დადო ფაშვი,
 ასეთ ქარში, შუნმა ლხენამ,
 ძალღს არ გააგდებუნ კარში.



აღარ შერჩათ ხეებს ტოტი,
 წარღვნა არის, შენს თავს ფფიცავ.
 მოდის, მაგრამ ეს რა მოდის!—
 ერთად მოაქვს ხე და მიწა.

ჩურჩულით რომ ვამბობ ამას,
 მეგი მიმიხვდება-მეთქი: —
 შენს მოხუც და ძვირფას მამას
 მე ვერ გადავღვიძებ, მეგი...“

გამთილო ფრთხილად კარი,
 ფრთხილად შედგა მგზავრმა ფეხი —
 ახლა ხესაც გლეჯდეს ქარი,
 ციდან ჩამთვარდეს მუხიც!

„ — სანამ, შენ არ გძინავს, მეგი,
 სანამ ჩვენ არ გუძინავს, მეგი,
 ღულუნებდეს ტკბილად წვიმა,
 შრიალეზდეს ქარი მღლეგი!“

□

რობერტ ბრეიკზი

დაკარგული სიყვარული

ცეცხლი მის თვალში დააგზნო დარღმა
 და ხედავს ნათლად, და ხედავ ნათლად,
 როგორ იზრდება ბალახი და თმა.
 და ახლა მისი თვალები ქატიის
 კედულში, როგორც მინაში, კადის,
 დღედაღამ ფხიზლობს და, როგორც წესი,
 შორს, ცხრა მთას იქით, ჩურჩულიც ესმის
 და მის ყურებში ზაროვით რეკავს
 ჭიის ფარუნი თუ ფშვინვა თესლის.

წინ უსწრებს სმენა ყოველთვის რწმენას
 და ესმის წვიმის გარდაქმნაც წვენად,
 ესმის რა წმინდად იჭრება ნოსი
 და ჩრჩილი როგორ აბრუნებს უნას.
 ესმის, რომ ტვირთქვეშ უსკდება მფუსი
 ბევრ ჭიანჭველას ბუჭზე თუ ყულზე
 და ჭუბრის ცივი წრიპინი ამ დროს
 უფანგავს სულის ნემსისებრ ფესვებს.
 რამ გააშმაგა ნეტავ ეს კაცი,
 ჭურღვით ასე ყველგან რომ დაძრწის,
 განა ამდენი რა უნდა ჰპოვოს,
 ან ვინ დაჰკარგა ასეთი განძი?!



□

ჯონ ბეჯმენი

სიკვდილი ლიბინგტონში

ის მიიცვალა მარტის თოვლივით,
 მაშინ აიფხო სული სამსახლით,
 რომს ლიბინგტონის საანატორიის
 'ცოცხლეგარდანზე დაჯდა ვარსკვლავი.

კომოდზე დარჩა ძაფი წითელი
 ჟაკეტის მკლავის თვალში გაყრილი,
 უძრავად ეწყო მკურდზე თითები —
 ხმელი და სუსტი ყანსნადივით.

ექთანმა მწუხრზე ჩამოატარა
 თუფში, ფინჯანი და ჩაიღანი,
 მას სული ჰქონდა ძლიერ პატარა,
 ჭურჭელს კი — მსგავსიც არავითარი.

უხმოდ გაუგდო სარკმელს საგდული,
 დაბლა დაუშვა სქელი შტორები,
 მერე მიადგა გაზის ნათურის
 ჭახრაკს და შუქის მოსკდა შორევი.

„ჩაი მოვიდა!“ — წვრილ და ამაზრზუნ
 ხმით დაიკნავლა, — „ხუთი სრულდება...“

ბზინვა დაიწყეს ძველ მუშაობაზე
ნახატმა იის თაღულებმა.



ინგლისური
კოლეჯი

იმქვეყნიური უვერტიურის
ხმა ჩაიკარგა ექთნის ნათქვამში,
რა უხმოდ სცვივათ იტალიური
შენობის ყვითელ თაღებს ბათქაში!

საწოლს შიადგა, ქალის მომნუსხველ
და გადატეტილ სახეს დახვდა,
სანატორიის შიშველ კონუსებს
ფარავდა ღამის ბლონდი ნახევრად.

მაგიდისაკენ გადაყვა იატაკს,
ჩაიდანს დასწვდა ბუხრის ცხაურთან,
გაზის ნათურას ჩაუწია და
ტალანის ფართო კიბეს დაუყვა.

□

რ. ს. ტომასი

სოფლის სამღვდლოება

მე ნათლივ ვხუდავ ვით ფუსფუსებენ
მზის ათინათზე, თუ სანთლის შუქზე
ძველ სარექტოროს ბნელ სენაკებში
პატივცემული თეთრი მამები;
იმათ შავ სამოსს ოდნავ გადააჰკრავს
მტვერი და თბის მქრქალი სიმწვანე.
მარხვით და ლოცვით დამწიფებული
მათი თავებიც ცვივა მიწაში
მანძინჯებთან და ტლუებთან ერთად
და არ-რა რჩება მრევლს საშახსოვრო.
ყრმათა გულებში აღუბუჭდათ
თრიოდ წმიდა სიტყვა, რომელთაც
ცხოვრება აშითობს. დრო მთვა, დმურთი
მათ შეცდომასაც გამოსაწორებს.

□



ქართული
ლიბრარი

* *

როცა ყრმა ვიყავ და თოვლივით ნედლი სხეული
თხლად ედებოდა ჩემს შიშველ ძვლებს, ვით ნურგის ტოტებს,
ამომიტანა მდინარიდან მამამ კალმახი,
რომლის ტუჩიდან წყლის სიმღერა ყონავდა ოდენ.
შეაჭკნა ფარფლი ფესვებივით, მდინარის რიტმებს
როცა მზის მკვეთრი უნისონი შეეხო ოდნავ
და მე მივიღე მსხვერპლი როგორც ჭაბუკმა ღმერთმა,
რომელსაც ჯერ არ განეცადა სიკვდილის ცოდვა.

□

ჯონ სილკინი

მინდვრის შროშანა

მკვრივია მისი წვრილი ყვავილი,
თავქვე ჰკიდია მოხრილ ღეროზე
ჩვილის კბილივით თეთრი და ქათქათა.
ფართე, უძრავი ფოთოლი ასხია,
მსუქან-მსუქანი. მინდვრის შროშანას
სილამაზუსთან რა აქვს საერთო? —
გაფხიზლებს მისი მკვეთრი მურწული,
გაღიზიანებს, ბუსუსებს გწიწკნის,
ჰაერს ასქელებს და ვით ხმაური
ყველა ფორში და ნახვრეტში ჯდება.
ბუნებამ ასე აღჭურვა იგი,
აღბათ ამიტომ არ მოგვწონს, თუმცა
მისი ჯიქური შემოტევა
მერე და მერე უფრო მოგვხიბლავს
და გვაიძულებს, ვარდზე უმეტეს.
გვქონდეს რიდი და კრძალვა მისადმი,
საკადრისი და დისტანციური. —
ასეთი გრძნობა შემპარავია
თანდათან, მერე მთლიანად გიპყრობს —

სულ მშიერია და ველარ ძღუბა,
ზომა არ იცის.

ვერც კი გასრისავ მის მკვრივ ყვავილებს,
მძივებივით რომ მოგყვება ხელში.

ვერც მისგან მოგვრილ სიამეს შეცვლი,
ყელის ჯირკვლებს რომ გიფიფინებს
და მოგონების ნერვს რომ გიშიშვლებს,
ფერით კი არა, სუნით ანათებს
და რომელიღაც სასტიკი მხეცის
ჭრულ ტყავს გაგონებს.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

□

ტომ განი

ხელების გრძნობა

სწავლობენ ყოველ ხორკლს გამოშცდულად,
მაოცებს ხშირად მათი პლასტიკა —
რბილი თითებით როგორ მოწმდება
აზრი და როგორ ზუსტად ფასდება!

მომწონს საგნებთან მათი სიფრთხილე
და კნუტებივით გათამაშება,
მაგრამ დღეს ქალი წარმომიდგინეს
და მომიწია ხელის გაშვერა.

უცხად კატებად იქცა ორივე,
ორივე შავმა შურმა დალახვრა
და ერთმანეთში ველარ მორიგდნენ,
ველარ გაიყვეს მსხვერპლი თანაბრად.

ღამეც დაობდა ორი ექსპერტი,
გადაქცეული ორთავ დესპოტად,
მოწმეც არ იყო არვინ ჩემს შეტო,
მაგრამ მე მათი აღარ მესმოდა.

□



ტელ უოკერი

მურა დელფინები

შუა ზაფხულში ქამიდან ქამ ზღვა ისე ცხრება,
 თითქოს მყარდება ლითონით მრუმე ფოლადი,
 სადილის გონგს ჰგავს კიდევში ოდნავ დაზნექილს —
 თრმოცი ფუტის სიგრძის გემებს ლითონის დისკო
 ადვილად ძალუბთ გადალუნონ, დამეთანხმებით,
 თანაც შორეულ კიდევში და არა ცენტრში.

სწრაფი ირათ თლიების და ზუდაპირზე
 დაფეთებული სკუმბრიების სრიალი ამ დროს
 ძალთა უეცარ წრიულ ხაზებს წარმოშობს ზღვაში,
 რაიც ჩქერებზე შეყვარებულ მურა დელფინებს
 იმდენად ხიბლავს, რომ ისინი დაუფიქრებლად
 ნაპირისაკენ მოცურავენ მთელი სისწრაფით.

როგორც კი მამლის პარაბოლას არეში ხვდება,
 დედა დელფინი შვილს გზაშივე აწოვებს ძუბუს
 და მიაქანებს წინ, ზვირთებზე ავარდნილ რძისფერ
 და ფრია ქაფში, მისი ფართე და ბრტყელი თავი
 რიტმულად ცვინთავს ზუსტად მამლის შავ თავთან ერთად.

ამ დროს მას სქელი ტური მალლა აუზნიქება,
 როგორც ზანგის ქალს და როდესაც დაფვინთავს, ბოლო
 წყალზე წამიერ იცავს ტანის წონასოწრობას
 და ვიდრე ისევ ჩაამსხვრევდეს მეორე ტალღას,
 ოდნავ მოიქნევს ჩავარდნილ ყბებს — მის ახლოს ცურვით
 გახელელებული სხვა დელფინი რომ განარიდოს.

ათლეტებივით დელფინებსაც სწვევიათ მტკიცედ
 მიზნისკენ სწრაფა, მათი გუნდიც ერთსულოვანი,
 მხიარული და უდრეკია, სულ თან დაჰყვებათ
 დიდი გემების ქარავანი და ქაშაყები,
 მათ გაჩერება არ იციათ, არ იძინებენ
 და ერთმანეთისაც ცურვაშივე ეუღლებიან.

ხოლო სანდახან ასეც ხდება: მოულოდნელად
 ნაპირზე თბლად გამორიყულ დელფინს შეხვდები,
 ძალზე რომ მოჰგავს ლოკოკინას, დიდსა და უძრავს...
 ავადმყოფობა არ იციან, მხოლოდ ასაკი,
 უძლურება და სიბერეა იმათი მტერი
 და როცა ზურგზე ბრუნდებიან, მაშინ კვდებიან. ბიზუნიონეა



□

* *

დღეს ისევ ცივა... მე მახსენდებით —
 თქვენ შეძავები იყავით მაშინ,
 უხეშებს, ურცხვებს და მხიარულებს
 ყულზე გეკიდათ მსხვილი, წითელი
 და ამაზრზენი შიძივები. უცებ,

თქტომბრის თვეში, როდესაც თეთრი
 ღამე მოვიდა, როგორც ზამთარში,
 გვერდზე გადადეთ ზიზილ-პიპილო
 და აღიკვეცეთ მონაწონებად.
 და აი, ახლა, ავნი და თარხნი

კვლავ იხდით რიზებს და კაპიუშონებს,
 მე ვიცი რატომ გაიშლიდეთ:
 თავაშვებულმა, უზნეთ მოდგმამ,
 წუთისოფელის მუდმივმა რძლებმა,
 მონასტრის ტანჯვა ვერ აიტანეთ.

□



ბეზღოსური

თარგმანი ზურაბან გამაზაშვილი

ცნობილი ინგლისელი მწერალი ქალი ჯინ რისი აღიარებულია დიდ ბრიტანეთში როგორც „...უდავო ტალანტის მქონე რომანოსტი...“, პირველად ასე დაახასიათა იგი გამორჩენილმა პოეტმა ა. ალვარეზმა. ჯ. რისმა მწერლობა დაიწყო 30 წლისამ. მის კალამს ეკუთვნის საკმაოდ გახმაურებული ნაწარმოებები — „მოგზაურთა წყევდიადში“, „დილა მშვიდობისა, შუალამევი“, 1966 წელს მის რომანს „სარგასთა ფართთა ზღვა“ — ლიტერატურული პრემია მიენიჭა.

მთარგმნელი სპან

იგი გვერდიგვერდ ჩამწკრივებულ ერთ-ერთ შეზღონგში იჯდა ხნიერ, სიტყვაძუნწ და ვნებათუქონელ ხალხთან ერთად, რომელნიც ზღვას გასცქეროდნენ.

ცას მუქი ნაცრისფერი გადაჰკროდა. წყნარი ტალღები ნაზად ეტლამუნებოდნენ ნაპირს და ირგვლივ უჩვეულო სიმშვიდე სუფევდა.

თითქმის უკაცრიელ პლაჟზე მხოლოდ პატარა ბიჭი თამაშობდა განმარტოებით. უფრო მოშორებით ვიღაც კაცი ძაღლს წყალში ჯოხს უგდებდა. გამოიტანდა თუ არა ძაღლი ნაპირზე თავის ნადავლს, კაცი ისევ ზღვაში გადააგდებდა და პირველყოფილი სიმშაგით აღტყინებული ძაღლიც ყუფით გადაეშვებოდა ხოლმე წყალში. კატას ეს ამბავი აქამდე მობეზრდებოდა, თუნდაც გაეწვრთნათ და ასეთი ოინებიც ესწავლებინათ. ძაღლები კი უფრო ოპტიმისტები ჩანან — მაჩანჩალა მიუდამ პირველი ჰგონიათ. ან იქნებ, უბრალოდ უფრო სულელი ცხოველები არიან.

— მანქანა გამოვიყვანე, — თქვა კაცმა და გვერდით შეზღონგზე ჩამოჯდა.



საქართველოს
საბავშვო ლიტერატურის
სამხარვეზო ცენტრი

— ეს ხომ ატლანტის ოკეანეა? — იკითხა ქალმა.

— რასაკვირველია. თქვენ რა გეგონათ?

— მე მეგონა... ბრისტოლის ყურეა-მეთქი.

— არა, როგორ გეკადრებათ, — კაცმა რუკა ამოიღო და უჩვენებდა, ბრისტოლის ყურე ეს არის. ჩვენ კი, აი, ამ ადგილასა ვართ. ეს ოკეანეა.

— ძალიან პირქუში და მოსაწყენი ყოფილა, — თქვა ქალმა.

ცოტა ხნის შემდეგ კი როცა მანქანით სანაპიროს გასწვრივ გაჭიმულ გზაზე მიქროდნენ, სულ სხვა თვალთ გადახედა მიდამოს.

„რა კონტა, პატარა ქალაქია“, — გაიფიქრა მან.

რა მოხდება ვითომ, რომ აქ ბინა დაიქირაოს?

ყვითლად, ვარდისფერად, მწვანედ ან თუნდაც ცისფერად შეღებილი კოტეჯი... იქნებ აქ ერთი კვირაც დაჰყოს?

შემდეგ წარმოიდგინა ხალხით სავსე ქალაქი — ნემსი რომ არ ჩაეარდება არსად. მანქანები, მანქანები, საქალაქთაშორისო ავტობუსები... მაშინ ასეთი იერი აღარ ექნება ამ კოშქია ქალაქს.

სანაპიროდან რომ გადაუხვიეს, კაცმა სიმღერა წამოიწყო. იგი არიებს მღეროდა სხვადასხვა თქმუებიდან. ქალს არც ერთი სიტყვა არ ესმოდა მისი. კაცი სრულიად უცხო ენაზე მღეროდა. დროდადრო შეწყვეტიდა სიმღერას და არიების შინაარსს უთარგმნიდა.

— ახლა იმაზე მღერის, რომდესაც პირველად იხილა თავისი გულის სწორი... ახლა კი... რომდესაც კვდება.

— ყოველთვის საკმაოდ ხმაშაღლა მღერობს, როცა კვდებიან, — თქვა ქალმა.

კაცს ნათქვამისათვის ყურიც არ უთხოვებია. იგი გატაცებით მღეროდა, მას კარგი ხმა ჰქონდა.

რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც იგი, აი, ასე იჯდა მამაკაცის გვერდით, რომელიც მანქანას მართავდა და მღეროდა?

დიდმა დრომ გაწვლო. მრავალმა წყალმა ჩაიარა. ან იქნებ ეს სულაც გუშინ იყო და რაც მერე მოხდა უცნაური სიზმარია?

წინა დღით თავისი კოტეჯის სამზარეულოში იჯდა. სარკმლიდან მოდრუბლულ ცას შესცქეროდა და ყურს უგდებდა საოცარ სიჩუმეს, რომელიც არც ერთ საბარგო მანქანისა თუ ფერმერების ფურგონის ხრიგინს არ დაურღვევია. შემდეგ ვიღაცამ ფრთხილად დააკაკუნა კარზე.

„ალბათ მისტერ სინგპია“, — გაიფიქრა მან.

სოფლები ისეთ ბრახუნს აუტეხავდნენ სოლმე, თითქოს ამ საცოდავ, დანგრევის პირას მისულ სახლს მიწასთან გასწორებას უპირებდნენ. იგი გაიტრუნა და ყური მიაპყრო.

„იფიქრებს შინ არ არისო და წავა“.

მისტერ სინგპი დროდადრო გამოჩნდებოდა სოლმე სოფელში, იგი მეწვრილმანე იყო. ხალათებით, ყელსახვევებით, ქვედა საცვლებითა და ათასი წვრილმანით ვაჭრობდა. ჩვეულებისამებრ მასაც მიასაღებდა სოლმე ჭრელჭრულა, მყვირალა ფერის ყოვლად გამოუსადეგარ ნივთს. ეს ყველაფერი იმით დაიწყო, რომ იმ დღეს იგი მეტად ეულად და მოწყენი-

ლად გრძნობდა თავს. ოღონდ იმ აუტანელი სევდისათვის თავი დაეღწია და არაფერს დაიშურებდა. სწორედ მაშინ გამოეცხადა მეწვრილმანე. მერე კი ხშირი სტუმარი გახდა.

— ეს ხუთი ფუნტი სტერლინგი ღირს, მაგრამ უფრო იაფად მიყარ-
თხევთ, მაღამ. ზედაც ერთ მძივს მოვაყოლებ. ეს თილისმას... ბუნდი-
ურება მოაქვს. მე მორწმუნე კაცი ვარ. თქვენი სულისთვის სწავლავთ.

— კი მაგრამ, ეს ნივთი მე არ მჭირდება, მისტერ სრმგვ.

— ეგ არ გამაგონოთ. ძალიან გთხოვთ, ნუ მაწყენინებთ. მაგით ნამ-
დვილად გულისა მტკენთ. ვინ გატანთ ძალას, იყიდეთო? თქვენ მხოლოდ
საქონელს პირი გაუსინჯეთ, — წყნარად ეუბნებოდა მეწვრილმანე.

„როგორ ახერხებს იმ ერთ ჩეხოდანში ამდენი ჯღანმანის ჩატენ-
ვას?!“ — ფიქრობდა ქალი.

— მიშვიდობით, მუმ¹, დიდად გმადლობთ. ღმერთი იყოს თქვენი შემ-
წე, მუმ, — იგი ყოველთვის ასე მიმართავდა: „მუმ“ ან „მამ“.

ქალს გაახსენდა, რომ კარი ჩარაზული არა ჰქონდა.

„შემოვა და ძებნას დამიწყებს“, — გაიფიქრა მან. გადაწყვიტა დერე-
ფანში გასულიყო, ფანჯრიდან უარის ნიშნად თავი გაექნია უსიტყვოდ და
შემოსასვლელი ჩაეკეტა.

მაგრამ თეთრი ჩალმისა და შავი უღვაშის ნაცვლად, რომლის დანა-
ხვასაც ქალი ელოდა, ზღურბლზე ნაცრისფერ კოსტიუმში გამოწყობილი
კაცი იდგა და მოთმინებით აღჭურვილი ელოდა სახლის პატრონის გა-
მოჩენას.

— მე... იანი ვარ...: — გაულიმა კაცმა, — წერილებს გწერდით. არ
გახსოვთ? შარშან, ლონდონში გავიცანით ერთმანეთი. მერე მისამართი
მომეცით და მითხარით, ინგლისში თუ ჩამოხვალთ, მეწვიეთო. ჩემი წე-
რილი არ მიგიღიათ?

ქალს ახლავდა გაახსენდა პოლანდიდან მოსული წერილი, რომელიც
ინგლისურ ენაზე იყო დაწერილი. სამგვერდიანი უსტარი. კარგა ხანს
უკირკიტა, სანამ ნაჯდაბნ ხელნაწერსა და უცნობი ლექსების ნაწყვეტებს
გაარჩევდა. წერილით აცნობებდნენ, რომ მისი ავტორი ლონდონში აპი-
რებდა ჩამოსვლას და სთხოვდა, შეიძლება თუ არა მაისის ამა და ამ რი-
ცხვში, სამშაბათს, ასე შუა დღის შემდეგ გესტუმროთო. ქალმა უპასუხა,
მოხარული ვიქნები თქვენი სილვისაო და წერილის ბოლოს დასძინა:
„ოღონდ მაისში ჩვენთან წვიმები იცის“.

სამშაბათს... დღეს კი ორშაბათია.

— მობრძანდით, მობრძანდით, — ქალი ცდილობდა გულთბილად
დახვედროდა სტუმარს. — რაღას ელოდებით, შემოდით... ახლავე რაღა-
ცას დავლევთ და შევთბებით.

სასმელზე კაცმა უარი განაცხადა. საღამო ქაშს სასტუმრო ოთახში ისე-
დაც სანახევროდ ბნელოდა სოლმე. ახლა იგი ისე დაჯდა, რომ სინათლის
ერთადერთ წყაროს, ვიწრო სარკმელს, ზურგით აეფარა. მერე უშუალოდ,
შიუკიბ-მოუკიბავად მოუყვა რამდენი იწვალა სანამ მის სახლს მოაგნებ-
და. შემდეგ ექსტერის სასტუმროზე ჩამოაგდო სიტყვა. კაცს ლონდონური

1 მაღამ — (შემოკლ.).

მოდის სადა, ახალი კოსტიუმი ეცვა. ბოდისი მთიხადა ჩიქორთული ინგლისურისათვის, თუმცა სრულიად უაქცენტოდ ლაპარაკობდა, დროდადრო სიტყვის მოსაძებნად თუ წაებორძიკებოდა ენა. ეს იყო და ეს.

— მოდი თხვალინდელი დღე ერთად გავატაროთ, გინდათ ზღვაზე გავისეირნოთ?

ერეკნული
ბიზნიმისეკა

— მინდა, რამდენი ხანია ზღვა არ მინახავს!

— დნერთო ზემო, რა კარგია! — როგორც იტნა, ამოიღო ხმა. ენით განოუთქმელი გაოცება ემჩნეოდა. ადვილი მოსალოდნელია, პირველად იყო ასე ახლოს მდებარე მთის მკნებ ცვრიან ბალახზეც პირველად აბიჯებდა ფეხს. არ ვიცო, მაგრამ მართლა მხედავდა, რომ იდგილი იყო. ალბათ მართო თევზის სიუხვისთვის არ დაურქმევიათ შეთევზეებს მისთვის ოქროს რქა. ამ ადგილას ტბა ნორჩ ნაძვნარში შეჭრილ ფიორდს ჰგავდა. ნაპირი არ ჩანდა; გაზაფხულის კოკისპირული წვიმების შემდეგ წყალს მოემატნა და მინდორი და ნორჩი ნარგავები დაეფარა. ახლა ტბის გლუვ ზედაპირზე პატარა ნაძვების წვეროკინები და ჩაძირული ტირიფები ჩაჩებოდა მოჩანდა. ყველაფერი ყვითლად და ლურჯად ლილეებდა. ამდენი ყვავილი დოროთეას ალბათ მის სიცოცხლეში არ ენახა. ანკეას ორმეტრიანი ჯოხი მივამაგრე და კაუჭი გავმართე. წელიწადის ამ დროს ყოველნაირ სიტყუარს წამოეგება ხოლმე ვარდისფერფარფლებიანი ტბის თეთრი თევზი.

- რას შვრება? — გაუკვირდა დოროთეას.
- თევზი უნდა დავიჭირო.
- რად ვინდა, მე არ ვჭამ თევზს, ჩემს სიცოცხლეში არ მაჭამია.
- მე კი ვჭამი ძალიან გემრიელია...
- მე რაღა გავაყუთო?
- რაც ვინდა ეს გააყუთე. მანქანიდან საბანი გამოიტანე და აგერ იქ ტყის პირას გაშალე. დაისვენე, წიგნი აკითხე და მზე მოიკიდე.

ამდენი რამ ასე უცხად და ყველაფერი ასე სასიამოვნოდ ახდენილ ოცნებასავით იყო. დოროთეამ მწვიდალ შემაქცია ზურგი და მანქანისკენ წავიდა. იმ დღეს თევზი გაცოფებული ეტანებოდა ანკესს. ამ ნაპირზე საერთოდ არავინ აწუხებდათ და ეტყობა, ვერც ახლა ხედებოდნენ საფრთხეს. იმის დროც არ მქონდა, თავი მომეყარა თევზისთვის. პირდაპირ ზურგს უკან ვისროდი ნაპირზე. თევზები მიწას ებეთქებოდნენ, ბალახზე სხმარტალვდნენ. ზოგიერთი წყლამდე აღწევდა და გამოცოცხლებული დაფეთებული მისრიალებდა ფსკერისკენ. დაც იცოცხლონ, მე ხომ მაგათი მტერი არა ვარ. გართობით კი ასე უფრო გავერთობი.

— ანტონი, — მომესმა დოროთეას ხმა.

სწორედ ის-ის იყო გაეფიქრე, ნეტა სად დაიკარგა-მეთქი, ხმა გარკვევით მესმოდა, მაგრამ შორიდან. მოვიხედე, ნაპირზე კაციშვილი არ ჰაჭანებდა.

— ანტონი! — ისევ დამიძახა მან.

შეშფოთებულმა გავხედე ტბას. ნისლი გაფანტულიყო და გლუვი ტბა ლურჯად ბრწყინავდა ჩემ წინ. კარგად დაგაკვირდი და სადღაც მეორე ნაპირზე შეენიშნე დოროთეას ქერა თავი.

— გაგიყლი? — დავუყვირე გაბრაზებულმა. ამაზე უარეს უტაქტობას ვერც მოვიფიქრებდა. დოროთეა არ აღელვებულა. სახის თეთრი ლაქა ჩემკენ მოებრუნებინა და იღიმებოდა.

— უკან დაბრუნდი, — დავუძახე ცოტა მორბილებულმა.

ვიცოდი, ნერჩულითაც რომ დამეძახნა, მაინც გაიგონებდა.

როგორც ყოველთვის, ახლაც მორჩილად ნობრუნდა. ისევ იცინოდა, ეტყობა, ჩემ შიშს დასცინოდა. აიან ისევ გამაბრაზა. ვთქვათ და, უცხად გენერალი გამოჩნდილიყო? ნაკრძალ ზონაში ბანაობა სასტიკადაა აკრძალული. მაგრამ აბა დოროთეას სიიდან უნდა სცოდნოდა ეს? ცხადია, თვითონ ვიყავი დამნაშავე, უნდა გამეფრთხილებინა. დოროთეა ნაპირს უახლოვდებოდა, უკვე აღარ იღიმებოდა, ეტყობა, იგრძნო გაბრაზებული რომ ვიყავი. მსუბუქად და თავისუფლად მოცურავდა, ამავე დროს იმ თავკომბალასავით უხერხულად, ახალი მოშორებული ზომ აქვს კუდი. ნაპირს რომ მოაღწია, წამოიშართა, მთლად შიშველი, დედიშობილა იყო, მაგრამ ეტყობა, ვერ გრძნობდა. მართლა ვერ გრძნობდა ალბათ, ისეთი მშვიდი და დაწმენდილი გამოხედვა მქონდა; იოტის ოდენა შეცბუნება თუ ქალური თვალთმაქცობა არ იგრძნობოდა. ისევე უცხო იყო მისთვის სირცხვილის გრძნობა, როგორც ბავშვებისთვის ან ანტიკური ნაიადებისთვისაა. ჩემკენ წამოვიდა. მხრებიდან კამკამა წვეთებს იფერთხავდა ხელით. დოროთეა ზუსტად ისეთი იყო, როგორსაც მოველოდი. ჰათქათა თეთრი, თითქმის მოლურჯო, ვიწრო თეძოები და ბრტყელი მკერდი მქონდა.

— არ ვიცოდი, ბანაობა თუ არ შეიძლებოდა, — მიიხრა შეცბუნებულმა, — აბა საიდან უნდა ვიცოდე, პირველად ვარ აქ.

— არა უნდას მე კი შეგონა, ცურვა არ იცოდი.

— ცურვა? შენვედი წყალში და გაეცურე. პირველად შენვედი წყალში, სინდისს გეფიცები, ანტონი.

უნდობლად შეეხედე, თუმცა ვიცოდი, არასდროს ტყუოდა.

— არც არასოდეს გასწავლია?

— არასოდეს, — ნიბასუხა მან და რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით გაჩერდა, — ზა საჭიროთა იმისა სწავლა, რაც ბუნებრივია?

— იქნებ შენ მართალიც ხარ, — ვუბასუხე მე, — თავკომბალასავით თავისუფლად ცურავდი, აღბათ მართალია, რომ ამბობენ, აღამიანები წყალხმელეთა ცხოველებიდან, კერძოდ, ბაყაყებიდან წარმოიწვევნო.

— აღამიანი ფრინველებიდანაა წარმოშობილი, — შენეღავა დოროთეა.

— მაშინ თავკომბალასავით რატომ ცურავდი? ვინ გასწავლა? ეს ჩვენში დაფარული ინსტიქტია.

— არ ვიცი, იქნებ შენ მართლა ბაყაყიდანა ხარ წარმოშობილი, ანტონი, მე კი ფრინველებიდან რომ ვარ წარმოშობილი, მტკიცედ მჯერა.

— ასე იყოს, — ვუთხარი მე, — ახლა კი წადი და ჩაიცვი. ნუთუ საერთოდ არ გრცხვენია ჩემი?

— შენი არ მრცხვენია, — მიბასუხა და სველი თმა მუქაში მოიმწყვდია.

— რატომ?

— იმიტომ რომ შენ ანტონი ხარ.

— ანტონი, — უხალისოდ გავიმეორე მე, — ძია ანტონი არა?

კიდევ ერთი მარცხი, მისი ცხოვრების ეს ერთი ფურცელიც დანაწიწყდა.

ესევე არ მიუტყვევია ყურადღება ჩემი სიტყვებისთვის, თათქოს არაფერი განსაკუთრებული არ მეტყვას.

— შენ ანტონი სმეშნოი ხარ. თეუზის შეწვა იცი?

— რა, შენ კი არ იცი?

— ვიცი, მაგრამ არ მინდა. არც წიწილებს მოხარშვა მიყვარს და არც გაბღღენა...

— ხუ შემაწუხე ამ შენი ფრინველებით... — ვუთხარი მე განაწყენებულმა, — კარგი, წადი და ჩაიცვი.

დოროთეა შებრუნდა და წავიდა. ფრთხილად და მოუქნელად მიიბიჯებდა, ბალახი უჩხვლელტდა ნაჩ ტერფებს. თევზებს თავი მოკუყარე. ჯერ კიდევ შერჩენოდათ სიცოცხლის ნიშან-წყალი და ტბაში გადავუქახე. ზოგიერთი მაშინვე ფსკერისკენ გასრიალდა, ზოგი კი შეცვლამობრუნებულა ცურავდა. გამოცდილებით ვიცოდი, უმეტესი მათგანი გაცოცხლდებოდა და კიდევ დიდხანს ისრიალებდა წყალში. ვიდრე და ვუყურებდი: ზოგი ისევე ამობრუნებულა ცურავდა. ზოგი გვერდულად, პირდაღებულა. ცუდ ხასიათზე დავდექი: როდისმე დავანგები ამ სისაძაგლასთვის-მეთქი, გავიფიქრე. მართო ერთი თევზი ეგდო ბალახზე უმოძრაოდ. საკმაოდ დიდხანს ვიდრე. წამით შეარხია ყვითელი ბოლო და გათავდა. დოროთეას მენჩერ ჩრდილში ორი საბანი გაეშალა და გულადმა იწვა; მოჭრიალებული ცის სილურჯეში მონავარდე ფრინველებს აკვირდებოდა. კისერწაგრძელებული კედმაკრატელა მერცხლები მწერებს კი არ დასდევდნენ, გამკვირვალე პაერთ. თვრებოდნენ. მეც კუბოკრულ საბანზე დავწაწა, ახლა სწრეებს რომ მიშლია თავისი ხასხასა ცეცხლისფერით. დოროთეა ბალახს ღეჭავდა. უფრო და უფრო ეძალეობდა ფიქრი.

— გინდა, ზოგიერთი რაღაც ვიამბო? — მკითხა ბოლოს.

— რა უნდა ვიამბო?

— ნამაჩემის სიკვდილზე.

— ახლა ნუ ვიამბობ, — ვუთხარი მე და გული შემეკუმშა, — მერე იყოს.

— მერე გამბედაობა არ მეყოფა, — მიბასუხა მან.

ვიცოდი არ უნდა დამეშალა, უნდა მოეშორებინა ეს სიმძიმე.

— კეთილი, ოღონდ არ აღეღდე.

— ჯერ არავისთვის ვიამბენია, იურუკოვასთვისაც კი, მაგრამ მან ყველაფერი იცის.



ჩვენგან კარვად მოჩანდა ბაცა მწვანე შვრიის ყანა და მინასავით შვრიები და ლურჯი ტბის ნაჭერი.

— კარგი, პიამბუ, — უკთხარი შე.



ქართული
წიგლისათვის

„იცი, ანტონი, მამაჩემი ჩინოვანი იყო. თუთონ ამბობდა, ჩინოვანი ვარო. ახლა ამ სიტყვას აღარაფერს ხმარობს. ახლა „მოსამსახურეს“ ამბობენ. მერე და, რატომ? ჩემის აზრით, ეს სულელურიც არის და საწყენიც. ეს სიტყვა აღამიანს არ შეეფერება. ჩვენ ერთი ძალი ვგვაკვდა, ბარონი ერცვა „აბა, ბარონი“ — დავუყვირებდით და ისიც წინა ფეხებს მოკვდა და უკანა ფეხებზე დგებოდა. ღია ფერის, თითქოს გამჭვირვალე მუცელი ჰქონდა და პატარი ვარდისფერი ძუძუები. ვუყურებდით და სიცილით ვკვდებოდით. ისეთი საწყალობელი თვალები ჰქონდა, საცა ატირდებოთ, ძაღლებს სამსახური არ უყვარო. არც ძაღლებს უყვართ და არც აღამიანებს. ფრინველებზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია, ზოობარკში თუ ყოფილხარ როდისმე? განახავს გალიაში გამომწყვდეული არწივები? არაფერი არ არის გალიაში განსაკრულ არწივზე უფრო საბრალო.

მამაჩემი ჩინოვანით გახმარა იყო. იდრე არ იყო ასე გამოფიტული, მაგრამ წლით-წლით ხდებოდა და ხდებოდა, სანამ ძვალი და ტყავი არ დარჩა. მერე იცი რატომ? იმიტომ, რომ დედაჩემი წოვდა დამლაშობით სისხლს, როცა მამას ეცინა. ზუსტად კეყასთან ურჭობდა მიღს და სისხლს წოვდა. ნუ გეშინია, ანტონი, ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ვიყი ვარ, პატარა რომ ვიყავი, მაშინ მეგონა ასე. უჭიმი იურუკოვა შეუბნება, ძალზე განვითარებული გაქვს წარმოსახვაო. ესაა ყველა ჩემი უბედურების მიზეზი, თურნე ერთმანეთისგან ვერ ვარჩევ ხილვასა და სინამდვილეს. მართლა მქონდა ხილვები, მაგრამ რაც იურუკოვამ წამოღების სწა დამაწყებინა, უბრალოდ დაგზულენგდი და აი, ახლა ისე ვცხოვრობ, თითქოს სიზმარში ვიყო. მამაჩემიც თითქოს სიზმარში ცხოვრობდა. არასოდეს იღიმებოდა, ჩუმად ლაპარაკობდა და ცხვირი ბარონით მუდამ მოსველებული ჰქონდა. ისიც ბარონივით ემსახურებოდა ყველას. ყველაფერს ასრულებდა, რაც უნდა ებრძანებინათ. თ, რა საცოდავი იყო, ანტონი, რა მორჩილი თვალები ჰქონდა მამას. პაპანაქება სიცხეშიც ქსუტუნებდა და წარამარა აცემინებდა დაქმევენულ ცხვირსაბოცში. ძალზე მოწყენილი და მღუპარე იყო, მაგრამ არ წივს მაინც არაფრით ჰგავდა. გამოფიტულ, ფრთებჩამოყრილ ყვეს უფრო ჩამოგავდა, ფრთისქვეშ რომ ამოუდევს ნისკარტი და გაყუჩებულა. შე მინახავს ატირებული მამა. მაშინ არ ვიცოდი, დედაჩემს საყვარელი თუ ჰყავდა, ვილაც მეხანძრე. ისინი მამაჩემის სიკვდილის მერე დაქორწინდნენ. ეს ისეთი ჯანმრთელი იყო, რომ ერთხელ, ზამთარში ტანო გაიხადა და მარტო მისულრის ამარა დარჩა. ცხენივით ავარდა ორთქლი ტანიდან. მამა ამის გამო არასდროს წაჩხუბებია დედას. მეხანძრე კი ხშირად დადიოდა ჩვენთან სტუმრად, მამას მხედრულად მიესალმებოდა და მანამდე უხახუნებდა ერთმანეთს ჩექმებს, სანამ ვაქსის სუნს არ დააყენებდა. საშინელი ღორბუცევა ვინმე იყო. ერთხელ სამზარეულოში მარტონი დავრჩით, ქვაბებს სახურავები ახადა და ერთმანეთზე მიყოლებით ამოსანსლა საჭმელი. მერე ჩაირობროხა და იქ მიჩქმიტა. ისე შემრცხვა, რომ მთელი დღე ვტიროდი. დედაჩემს კი თქმაც ვერ ვაგუბებდე. ბოლო ხანებში მოუხშირა ჩვენთან სიარულს. ის რომ მოვიდოდა, მამაჩემი სახლიდან მიდიოდა; ალბათ უკაცრიელ ქუჩებში დაეხეტებოდა და ტიროდა. ეჭიმმა იურუკოვამ მოთხრა: ცუდი მემკვადრეობა გაქვსო. შე მამას ვგავარ და იმიტომ ვარ ასეთი გამბდარი და მკრძნობიარე.

იმ დილას, ჩემი პალტოს საყიდლად რომ წავედი, მამა ძალიან ცუდ გუნებაზე იყო. თავი ისე მეჭირა, ვითომ ვერაფერს ვატყობდი. მაგრამ ვამჩნევდი, დროდადრო ცრემლს იწმენდა. პალტო არ ჰქონდა და ზამთარში თხის ბეწვგამოკრული ლაბადით დადიოდა. ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს ანტონი, ასეთი დაძენილი ლაბადა, ისე გამოხუნებული იყო მზის-გან, რომ გამყიდველის ხალათს ჰგავდა. იმ დღეს მაინცადამაინც არ ციოდა. ეს ამბავი ზომ დეკემბერში მოხდა, ახალწლამდე ორი დღით ადრე. ქუჩები კი საშინლად მოყინული იყო. წინა დღეს წვიმა მოვიდა, მერე ცივმა ქარმა დაუქროლი და გადაიკარა. ბუშტუკებივით გაყინულ წვეთებს ფეხს ვადგამდით და ისინიც აღამიანის თვალებივით სკვდებოდნენ. საშინელება იყო თვალებზე ფეხის დაბიჯება, მაგრამ მივდიოდით და მივდიოდით. მამაჩემი ხანდახან ისე მაგრად მომიტყურდა ხელზე ხელს, რომ ტკივილისგან წამოვიყვირებდი ხოლმე.

ასე მივედი ცენტრამდე. იქ, მადლობა ღმერთს, გამეღელ-გამომვლულებს უკვე დაეტყუა-
ნათ ბუშტუები და ჩვენც უკვე მშვიდად შეგვეძლო სიარული.

მამამ ლურჯა პალტო მიყადა. ხელოვნური ბუნების თეთრი საყულო ქონდა. თეთრი ლა-
მანი პალტო არასოდეს შექონია. გამყიდველს გახვევა უნდოდა, მაგრამ მე ახალი ჩაფიცვი და
ფეხე გაგახვევინე. მამაც კი გამხიარულდა, რომ დაინახა, როგორ მიხდებოდა ახალი პალტო.
მალაზიიდან გამოვედი და შინისკენ გავეშურეთ. მამამ ისევ ჩაქიდა ხელს, რომ წავსულიყავი ცხვი-
რიც კი აბჯიკა სახაყით, თოჯინაყვით ლამაზად მორთული შვილი რომ მიხვევებოდა გვერ-
დით. წენ აღბათ ხედები, ანტონი, რომ ცხვირი მამაჩემისა მექვს. ამიტომაც დამარქვეს
სკოლაში ძინი, მალაიური დათვი. მე არ ვბრაზობდი. ვინაშავს სურათში მალაიური დათვის
ხელები? ისეთი საყვარლები არიან... ცხვირი ხორაუმა მიუვცეთ, ოღონდ შავი, ილიან შავი
აქეთ და პრიალა.

მოკლედ, მე და მამა ტროტუარზე მივდიოდით. მას ისევ მაგრად ჩაებლუჯა ჩემი ხელი.
ქუჩები ხალხით იყო გაქმდილი. ყველას რაღაც მიჰქონდა: ვის ნაძვის ხე, ვის სათამაშოები.
ჩვენ კი არასოდეს გვიყიდა ნაძვის ხე. ნაძვის ხეზე იმ დაწყებულულებში დაეყავი მამას,
სადაც თვითონ მუშაობდა, მაგრამ აბა ის რა ნაძვის ხეა. ნულიც არა გაქვს მოჭერებული
მისი აღერსით და უცბათ ცხვირმიწებებული მთერალი თოვლის პაპა გამოვეცხადება და
ხის ცხენით დაგასაჩუქრებს. ხის ცხენი რა ქირად ნინდოდა, ხელად გაცვლიდი ხოლმე
წიგნში. აბა ვის არ გამოცვლიდა წიგნს ცხენში? იმ დღეს კი ნაძვია ხის დარდი სულაც არ
შქონდა. წიგნი მაყიდე-მეთქი, იმაც არ მითხოვია მამასთვის, თუმცა ძლიერ კი მინდოდა.
მამამ ის თხერი პალტო მახაროდა, რომელიც მთელი ჩემი უბეღურების მიხეზი გახდა.

ცუდი ის იყო, რომ გზაში ისევ მოიწყინა მამამ. ვიგრძენი: ჯერ გიყვინა ხელი, შემდეგ
დაეხამა, ნეტე კი მთლად გამიშვა. სწორედ ამან დაღუპა მამა. ვგრძნობდი, წინ კი იყურე-
ბოდა ბრმასავით, მაგრამ ვერაფერს ხედავდა. ქალაქის ბაღი ვაგიარეთ და ივანე ვაზოვის
ქუჩაზე გავედით. რაკოვსკის ქუჩის კუთხეში მეორე მხარეს უნდა გადავსულიყავით, მამა
რაღაც ნაყარის წინ გაჩერდა ტროტუარზე, ცოტა შეუყოქმანდა, მაგრამ მაინც გადახტა ზედ.
მე სულ მთლად დავავიწყდი. რაღაც გაუბეღად გადავცა ნაბიჯი ქვაფენილზე, თითქოს ის-
სენებდა, უკან ხომ არაფერი დამრბენიაო. მე კი ვიდექი და ხელში გახვეული ძველი პალტო
მეჭიჩა.

და სწორედ იმ წამს გრუბუნით დაეტყა მანქანა. ასი წელიც რომ ვიცოცხლო ანტონი,
ეს სურათი ისე მექნება თვალწინ, თითქოს გუშინ მომხდარიყოს. ისე მაქვს მეხსიერებაში
ჩაქმდილი, რომ ვერაფერი ვერ წაშლას. მძიმე ავადმყოფი რომ ვიყავი, ეს კოშმარი ერთი
წუთითაც არ მონშორებია. გამოვედით და ახლაც არაფრით არ შემიძლია მისი მოცილება.
არ შემიძლია, თორემ არ ვიამბობდი და ცუდ ხასიათზე არ დავაყენებდი. ახლაც ნათლად
ვხედავ პრიალა ფარებიან მწვანე მანქანას. გიყვით მოქროდა და ისე მოისროლა მამა, რომ
ის ხელებგამილი დაეცა კაბოტზე. მანქანამ კიდევ გაიქროლა რამდენიმე მეტრი და უცბად
გაჩერდა. მამა ინერციით წინ გაფრინდა. მომეჩვენა, თითქოს მთელი საუკუნე მიფრინავდა,
თითქოს დრო გაჩერდა. ხელები და ფეხები გამილი ქონდა და თავი ჩაკიდებული, გარკვე-
ვით ჩანდა მისი თეთრი მელოტი. მერე ტროტუარზე დაენარცხა და კვერცხივით გადაეხანა
თავი. მე გული არ წამსვლია, თვალი არ მომიშორებია მისთვის. საშინელებისაგან გაშეშე-
ბული ვიდექი და მივჩერებოდი, მივჩერებოდა... საიდან არ მოვარდა ხალხი. მანქანიდან
მკვლელი გადმოვიდა. სულ ახალგაზრდა ბიჭი იყო, სახე კი ბებერი ქალივით დანაოჭებოდა.
ვილიცამ მამას აყვანა მოუნდომა. უმრავლესობა კი იმ ბიჭს შემორტყმოდა ვარს. ერთმა
საყულოში ჩაივლო ხელი, მეორემ მუშტი ჩასცხო კეფაში. გამხეცდა ხალხი; კინკებისგან
შეკერილ თოჯინასავით ჯიჯინდნენ ბაჭს. ბოლოს ასფალტზე დაეცა ბიჭი, ოღონდა. თმას
იგლეჯდა, მაგრამ ვგრძნობდი: თავს იკატუნებდა. ხალხმა ზიზლით შეაქცია ზურგი და ნაღვ-
ლიანად ჩაიარა. არც კი გავნძრეულვარ. მამა ერთ გამვლელ მანქანაზე დადეს. მე მის გაჩე-
ხილ თავს არ ვაშორებდი თვალს. ვიცოდი, მკვდარი იყო. არც არვის შევეუშინევივარ და არც
არვინ მიმხედარა, რომ მას ვახლდი. მალიციელმა ბიჭი წაიყვანა და ხალხიც თანდათან დაი-
შალა. სადაც მამა დაეცა, იქ პატარა წითელი ლაქა მოჩანდა. ბოლოს მეც მოვინაცვლე ფე-
ხი. სიზმარეულივით გადავქერი ქუჩა და შინისკენ წავლასლასდი. დარდისაგან გათავებული
ვიყავი, მაგრამ ახალი პალტო რომ მეცვა, მაინც არ მავიწყებოდა. მკვდარივით მივდიოდით,
ძლივს მივათრეული ფეხებს.

არ მახსოვს, როგორ მივედი სახლში და რა ვუთხარი დედაჩემს. ეს კი მახსოვს, დედას
სახე ფქვილივით გაუთეთრდა, უაზროდ იხედებოდა. არც დარდი, არც სიხარული, არაფერი

არ ყოფილა მის თვალში სიციხის გარდა. მე სამზარეულოში გავეძრდი, პირსაბანამდე ვერ მივადწიე, იატაკზე დავეცი და გული ამერია. რაღაც საწინელ მწუანეს ვაღებიაეზი, ნადგე-ლი ამომქონდა... სიგიჟემდე მინდოდა, გამეფხრიწა დედაჩემის რბილი მუცელი, რათა შიგ დატროვილი წიღელი სისაძაგლე გამონთხეულიყო. სურვილიააგან ვბილენი მივიწვევებოდა. აი რა არის ადამიანი, ანტონი, და ნუ გეგონება იმაზე უკეთესი, რაც არის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დოროთეამ ისრობა დაამთავრა და ბოლო სიტყვები თითქოს ტუჩებზე შეეყინა. გაწა-მებელი სახე მქონდა და დაშტეტილი ნიჭია.

— ცოტას წავიძინებ, ანტონი, საწინლად დავიღალე. — ნიჭია მან.

ნაპირზე მარტო წავედი სასეირნოდ. დიდხანს ვიხეციალე, მთელი საათი, შეიძლება მე-ტაც. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ცაში გაყინულ ღრუბლებზე დავაბიჯებდი, ისე მკაყიოდ მოჩანდა მათი ანარეკლი გალურსულ წყალში. როგორც ჩაკეტილ კაცს შეეფერება, საკლებად ვაძცვე ყვრიდღება ყოველივეს, რაც ჩემ გარშემო ხდება. გარემო არ ნაინტერესებს, გამოძახილს ვერ ბოულობს ჩემს სულში. რითაც სხვები აღტაცებული არიან, მე ნაკლებად მალეღვება. ასევე ვუღვრილად ვიდექი ზეობის პირამიდის წინაშეც და ნივარას ჩანჩქერთანაც. ან დღეს კი ვეუღვრა მალეღვება და გულზე მხვდებოდა. შეიძლება ეს თვითდაცვის ინსტინქტი იყო, მაგრამ გაცილებით აღრე დავწვიდდი, ვიდრე მოსალოდნელი იყო. „დოროთეა მართალია, აი რა არის ადამიანი“, — ვფიქრობდი მე. ადამიანი ტალახისაგან, ტბის წყლისა და ღრუბლებისაგან არის გამოძერწილი. რა პროპორციებიც არ უნდა იყოს, ამ ნაერთში შემადგენელი ელემენტები ალბათ უცვლელი დარჩება“.

ფიქრებში გართული შეუძინებლად მივუახლოვდი ტყის პირს. ნორჩი, მაგრამ უკვე უღ-რანი ტყე იყო. ტოტები დაძაღუულ, დონიერ მკლავებით გადახლარავოდნენ ერთმანეთს. ხეების ძირში მიწა მოტიტვლებული იყო, არც ყვავილი ხარობდა და არც ბალახი, გვიმრა-საც კი ვერ მოყრავდით თვალს, მარტო ქათმის კვერცხივით თეთრი და გლუვი სოკოები მოჩანდა აქ-იქ. მაინც სიღრმისკენ მიზიდავდა რაღაც. ეს ალბათ იდუმალუბის და შეუცნო-ბელის შეგრძნება იყო, ისეთივე ძველის, როგორიც თვით სამყაროა. ცოტა ხანს დავყავი ტყეში და უკან გამოვბრუნდი.

დოროთეა აღარ ეძინა. ჩაფიქრებული გასცქეროდა შორეთს. ჩემი ნაბიჯების ხმა არ გაუგონია, მაგრამ რომ დამინახა, ისევე სევდიანად გამიღიმა.

- დიდხანს მეძინა?
- არც ისე.
- დოროთეა საათს არასოდეს ატარებდა, დრო არ აანტერესებდა.
- მოგწვიდა?
- ცოტა.
- გინდა სადმე წავიდეთ? აქ ახლოს მშვენიერი რესტორანია.
- წავიდეთ, — დამეთანხმა იგი.

საჭმელი, რა თქმა უნდა, წამოღებული გვქონდა, მაგრამ ასეთი მძიმე საუბრის შემდეგ ვერ წარმომდგინა, დავმსხდარიყავით და მადიანად მიგვერთვა ძეხვი და მოხარული კვერ-ცხები. მღუმარედ ავიბარგეთ. რაღაც ოდნავი დაძაბულობა თუ უხერხულობა ისევე დარჩა ჩვენ შორის. ყოველგვარ აღსარებას რაღაცნაირი რიდი და უხერხულობა ახლავს ორივე მხრიდან. მანქანაში ჩავსხედით და მოტორი ჩავრთე. დავიძარიით თუ არა, მაშინვე შევებით ამოვისუნთქე. ყველაფერი ისევე უბრალო და ბუნებრივი გახდა, როგორც თვით ცხოვრებაა სინამდვილეში — უბრალო და ბუნებრივი.

ეტყობა, დოროთეაც ამასვე განიცდიდა, წევნიშნე, გაიღიმა. ამაზე ფიქრის დრო აღარ მქონდა. უკვე ტყეში შევიდით და გზა ძალზე ვიწრო იყო, თანაც ხეების და-ბურულ ჩრდილში ისე აჩელილი, ალაგ-ალაგ მანქანა ბუქსაობდა და რამდენჯერმე რის ვაივავლახით ამოვათრიე მშრალზე. ხმაგაგმენდილი ვიყავი, სანამ გზატკეცილზე არ გა-ვედი.

- იცი, ნე მოგხმარე, — გაიცინა დოროთეამ, როცა ასფალტზე აშრიალდა საბუ-რავები.
- შენ?! რანაირად?
- გუნებაში.
- მხნეობას მიწერგავდი?

— არა, მანქანას ვაწვებოდი.

მეც გავიცინე. ჩვეულებრივად ბავშვები ლაპარაკობენ ისე და სჯერათ კიდევ რასაც ამბობენ. გამახსენდა, ერთხელ ბავშვობაში ტალახში ჩაფლული ფორანი ვნახე. მუშორნე დაეხოგავად ურტყამდა ცხენებს ჯოხს ჩაქინდრულ თავებში. როცა ბოლოს და ბოლოს ფორანი დაიძრა, ღრმად მწამდა, რომ მე დავძარი გონებაში.

— ეს სხვა საქმეა, მე კი მართლა შემაძლია გონებაში რაღაც-რაღაცენის ჩაქვრება. მაშინ ამ სიტყვებისათვის მნიშვნელობა არ მიმიცია, ან უბრალოდ უფრო არ მითხოვებია. იმ დღეს უკვე ბევრი რამ მქონდა მოსმენილი. მოგვიანებით კი ეს სიტყვები მესხიერებაში ამონტივტივდა და მოსვენებას არ მაძლევდა.

მალე რესტორანსაც მივადწიეთ პარასელის წყალსაცავთან. ეს, რა თქმა უნდა, რესტორანი კი არა და ჩვეულებრივი სასაუზმეა, ქაბაბითაა განთქმული, მაგრამ მაშინ კულ ერთი იყო რასაც შევქამდი. ერთმა სასაუზმის გვერდით რანდენინე ბებერა ხე აღმართულიყო, ხეების ძირას გადაეფარებელი მავიღები იდგა. ოფიციატმა ჩვენს მაგიდას სუფრა გადააფარა და ჯარისკაცივით განოგვექინა. დიდი ხანია შევამჩნიე: უბრალო ხალხი დიდი მოწიწებითა და პატივისცემით მებყრობა, ალბათ გადაცმული გენერალი ვგონავარ. ან იქნებ ჩემი დიდებული ნაჩქანა ენერგავთ ჩემდამი განსაკუთრებულ პატივისცემას. ქაბაბი და „მენტოვკა“ დაუტყვეთეთ. „მენტოვკა“ მაშინვე მომართვა ოფიციატმა. ქაბაბი კი ჯერ მზად არ იყო. „მენტოვკა“ მაგარი სასმელი არ არის და მძლოლები უშიშრად სვამენ. სვამენ და ცუდსაც სხადიან, — ზოგჯერ საშინლად გივერაგებს ხოლმე ეგ შენი „მენტოვკა“. ასეა თუ ისე, მე კი მოულოდნელად შევთვერი. შეიძლება იმიტომ, რომ აღელვებული და მგზავრობისგან დაღლილი ვიყავი, ან უბრალოდ მზებზე გადავხურდი. სწორედ დღინის ბრალი იყო, ჩემთვის უჩვეულო ქარაფშუტობა და უტაქტობა რომ გამოვიჩინე:

- მერე რა მოხდა?
- რა უნდა მომხდარიყო?
- ეგ შენ უკეთ გეცოდინება.

დოროთეა დუმდა, თითქოს ჩემი არ ესმოდა.

— აბა, დოროთეა, — გაგამხსენე მე, — ვიცო გიქირს, მაგრამ მტკივანი კბილი უცბად უნდა ამოვგლიჯო, ჯობია, ერთი მოქნევიტ დაამთავრო...

სწორედ იმ წუთას მოატანა ოფიციატმა ქაბაბები და ხელიც არ გვიხლავა, ისე დავტოვეთ.

„მამის სიკვდილის მერე ისინი მალე დაქორწინდნენ, ცხადია, მე დამიმალეს. კადეც კარგი, რომ ჩვენთან არ დარჩნენ საცხოვრებლად, სხვაგან გადასახლდნენ. იმიტომ კი არა, რომ სინდისი აწუხებდათ, არა, უბრალოდ მეტისმეტად ძუნწები იყვნენ. მართალია, ძვირფასი ბინა არ გვქონდა, მაგრამ ქირას მაინც ვიხდიდით. ამიტომაც გადაწყვიტეს ცტანთან გადამარგება (თითონ ეძახდა ცტანს, მარცვალს ყლაპავდა, ისე კი ცვეტანი ერქვა. დედა ცვეტოს ეძახდა). საოცრად ძუნწი კაცი იყო. კაბიკა რაა, კაბიკზეც კანკალებდა. მის მერე პირივით მძულს ძუნწი ადამიანები. ისინიც მეზიზღებიან, ანტონი, და მათი ფულებიც. სანამ ქვეყანაზე ფული არსებობს, ადამიანები, როგორც არ უნდა შეინიღბონ, მაინც წვრილმანები და საცოდავები იქნებიან. ფულს თავისი სახე არა აქვს, იმასი მსგავსია, ვის ხელშიცაა. არსებობს ჭუჭყიანი ფული, ანტონი, საცოდავი ფული, უვარგისი ფული. ისეთი ფულიც არის, რომლითაც ვერაფერს იყიდი, ეს ძუნწი ადამიანების ფულია.

ცვეტოსთან გადაბარგების დღე კარგად მახსოვს. საბარგო მანქანა მოვიდა, რა თქმა უნდა, მტვირთავეების გარეშე. ყველაფერი ჩვენ თვითონ გადავზიდეთ. დედამჩემი ისეთი ღონიერი იყო, ცხენს აწევდა. ცვეტო ხომ იყო და იყო. თითქოს წადავლიაო, ისე ეცნენ ორივენი ავეჯს. ბაბუისაგან შენორჩენილი ძალზე ლამაზი ავეჯი გვქონდა. ყველაფერი კიბეზე ჩაათრიეს. რაც ვერ ასწიეს, ხრიგინ-ხრიგინით ჩაიტანეს საფეხურებზე. ხვწმოდნენ, წურწურით ჩამოსდიოდით ოფლი, დაძაგრული კისრები ჭარხალივით დასწითლებოდათ. ბუფეტს კი ძვრა ვერ უყვეს. გრძელი, უზარმაზარი ბუფეტი იყო, როგორც მაშამ ამიხსნა ერთხელ, ნაუღენთი მუხისა იყო. თვალწინ მიდგანან, თითქოს ახლა ეხედავდე: ფეხები გაუჩაჩხავთ, დაქაჩული თვალები ლამის ბუდეებიდან ამოუცვივდნენ. ბუფეტი კი არა და აბ იძვრის ადგალიდან. მუხლები ეკეცებათ, ტუჩები თევზებავით ჩასთეთქვიათ. როგორც იქნა, ოდნავ აუწიეს თავი და ეცნენ კიდევ ერთმანეთს, პირველად მოუვიდათ ჩხუბი. იდორბლებოდნენ და ისეთ სიტყვებს ესროდნენ ერთმანეთს, თითქოს ლილებივით პატარა, მწვანე გომბეშოები მოხტოდნენ მათი პირიდან. მე ისევე ცუდად გავხდი. საპირფარეოში შევიკეტე და გქვითინებდი, სანამ გული არ ამერია.

იქიდან რომ გამოძაბრძანეს, მანქანა უკვე დატვირთული იყო. ყველაფერი ზედ ეწყო, ანტონი, ბუფეტიც კი. პირდაპირ დაუჭერებელია, მაგრამ ასე იყო გაჭირვება რას არ გაჭნევიანებს კაცს, ისეთი ძალა მოგეცემა, რომ მერე შენვე გიკვირს: საიდანო.

ცეცოს სახლი იუჩბუნარში იყო. ღმერთო ჩემო, ჩემს სიცოცხლეში არ მიწახვებ, ანტონი, ასეთი ქობი. პატარა, გადაფერდილი და ისე მიგრებილ-მოგრებილი, ბავშვები, რომ ხატავენ ხოლმე. ისინი ახლაც იქ ცხოვრობენ. სახლს კი არა და, მიწიდან ნახევრამდე მანძილზე თალგამს ჰგავდა. სწორედ ისეთ თალგამს თესავდა სოლმე ცეცო და შემოდგომისთვის მქუქუნდა ამომშელთ. ისე ჯაჯგურით ვთხრიდი, თითქოს თალგამი კი არა, ფესვიანი ღოჭები ყოფილიყოს. სახლი ძველისძველი იყო, თიხით შეთითხნილი და ლილისყურად შეღებილი. საღებავი დახეთქილი იყო და წვიმები რომ დაიწყო, სახლი ჭუჭყიან ბურთს დაემსგავსა. შიგ რომ წესულიყავი, ორი საფეხურიით დაბლა უნდა ჩაგენაცვლებინა. არ ვიცი, მიწა იყო ეზოში შემოხიდილი თუ თვითონ სახლი ჩაჯდა მიწაში. მსგავსი სახლი მთელ ქუჩაზე არ მოიძეებოდა. დედა და ცეცო ისევ აგეჯს ეცნენ, მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო, ბუფეტი კარებში არ შეეტია. ფარდულში დატოვეს და დღესაც იქა დგას. შვიდი წელი აწვიმდა და ათოვდა, ზაფხულშიც მზე წვადა, ის კი ვითომც არაფერიც, ცოტა მოიღრიცა, ეგ არას და ეგ. ისევ ბუფეტიცა, წუნს ვერ დასდებ. ვერც მე ვუსწორებ თვალს და არც ის მიყურებს ზედ, ისე შევაზინდეთ თავი ჩვენი უმადურობითა და ხეპრობით. ბუფეტის გაყიდვა შეეძლოთ, მაგრამ ლატარიის იმედი ჰქონდათ, ბინას მოვიგებოთ და მაშინ ბუფეტის ადგილიც გამოჩნდებათ. ძალიანაც კარგი, ბინა რომ ვერ მოიგეს, თუმცა ბუფეტი ძალიან მენანება.

აჰ, ასე, ანტონი, შვიდი წელი ვიცხოვრე ამ სახლში. ვაოცებულნი ვარ, აქანდე როგორ არ დაინგრა. ერთი დიდი ოთახი იყო და პატარა სამზარეულო. მე და ბებია სამზარეულოში ვცხოვრობდით. ის ცეცოს დედა კი არა, ბებია თუ ბებუის დედა იყო. თვითონაც არ იცოდა თავისი წლოვანება, ასე ას წლამდე იქნებოდა. არც ერთი კბილა არ ჰქონდა და არც ერთი ღერი თმა ჩიტავით პაწაწა თავზე. მსუქანი იყო და ძილში ხმამაღლა ხვრინავდა. რაკი ძილის შეტს არაფერს აკეთებდა, დღე და ღამე ხვრინავდა. თუ ეღვიძა და გაუთავებლად დეჭავდა რაღაცას. უნით ვერ აკიწვრ, რა საშიშელი ხვრინვა იყოდა. ზოგჯერ მთელი ღამე არ მეძინა, მაგრამ ვითმენდი. ან რა უნდა მექნა? უნდა მეთმინა, მეთმინა და მეთმინა, სხვა გამოსავალი არ იყო. თუმცა სიძარტლე რომ გითხრა, გამოსავალიც ვიპოვე, მწუხარებამ ფრენა მასწავლა. დარდა რას არ ასწავლის თურმე ადამიანს. ესაა რომ ფრენა მხოლოდ დამლაშობით შეიძლება და იმაც იშვიათად, რას იტყვის ხალხი დღისით—მზისით საბურავების თავზე მიჭრინავი გივი რომ დაინახონ? დროდადრო ექიმ იურუკოვასთან წამიყვანდნენ ხოლმე, თითქოს სანატორიუმი ყოფილიყოს.

ყველაზე მეტად მაინც ცეცოს საქმეზე მაგიეებდა, დედაჩემისაც, რომელიც სულ მალე ყველაფერში ცეცოს დაემსგავსა. ამბობდნენ, ბინასთვის ვაჭროვებოთ ფულს, მაგრამ არ მჭეროდა. ისინი ისე გაწუწურაქდნენ, რომ თუ მართლა არ დაინგრა სახლი, ამ ფულიდან კაპიკსაც არ დახარჯავენ. საქმელს ცეცო დაკეტილში ინახავდა, დედასაც კი უმაღავდა. კვირაში ერთხელ, ხორცს რომ იყიდდნენ, საოცარი სიზუსტით, მისხალ-მისხალ გაჰყოფდა თ ნაწილად. ხორცს ტაშტის მაგვარ თუჯის ჭურჭელში თუშავდნენ კარტოფილთან ერთად. სადილად რომ დაესხდებოდით, ცეცო ოთხ ნაჭერს გადაიღებდა, დედას ორ ნაჭერს გადაუღებდა, ბებუის, მე და ტყუპებს კი თითო-თითო ნაჭერს. არ მესმის, რად უნდოდა ასე გაძლომა, როცა მთელი დღე უსაქმოდ იჯდა. თავის სიცოცხლეში არც ერთი ხანძარი არ ჩაუქრია. დიდი-დიდი. რამდენიმე ნამწვი თუ ექნება გასრესილი იმ დაწესებულების დერეფანში, სადაც მუშაობს. მსუქანი არ იყო, მაგრამ ღონე ჰქონდა?.. ნულა იკითხავ. დედა კი ძალიან გახდა. დამლაგებლად მუშაობდა პოლიკლინიკაში და მუდამ კარბოლისა და რაღაც საშინელების სუნით ყარდა. რატომღაც უღვაში ამოუვიდა და ხელები მეჭუჭუებით დაეფარა. ეფიქრობდი, ბედი თუ განგება დასჯის და სამაგიეროს გადაუხდის მამაჩემის გულსთვის-მეთქი, მაგრამ დღემდე არაფერი დამართნიათ. ის კი არადა, მგონია, ისა და ცეცო ბედნიერადაც გრძნობენ თავს. მიკვირს, როგორ უნდა არსებობდეს ასეთი საცოდავი ბედნიერება, უფრო სწორად, საძაგელი ბედნიერება? მაგრამ, როგორც ჩანს, არსებობს. მე კი მეგონა, რომ ადამიანისთვის ერთადერთი ბედნიერება ფრენაა.

ისინი არც ტანსაცმელს ყიდულობდნენ ჩემთვის, არც სახელმძღვანელოებსა და რვეულებს. კაცმა რომ თქვას, არც მჭირდებოდა. საოცარი მეხსიერება მაქვს. არასოდეს არაფერი არ მივიწყებდა. ალბათ ეს არის, ანტონი, ადამიანის ნორმალური მეხსიერება, დანარჩენი კი ნორმის ფარგლებიდან გადახრია. ტანგარჯიშიც ვარდა, ყველა საგანში ექვსიანი შე-

წერა. მინიჭვედაკაბები კი, თუ გინდა რომ იცოდეს, ჩემი გამოგონებაა. ისე გავაზარდე ერთ წელიწადში, რომ კაბა აი, აქამდე ამივარდა. ასე გაშიშვლებული მქონდა მკერდის სიმსხოფენები. წინდებიც კი არ მქონდა. წელიწადში ერთ წყვილს თუ მიყიდიდნენ და სულ დაკემსილი და დაკერებული მეცვა. დაკერება ყველაზე უფრო საზიზღარი საქმიანობაა ჩემთვის, ანტონი, დედა ხშირად მიამბობდა, როგორ ითხოვა ერთმა ოფიცერმა ლარბი გოგონა, დაინახა კარგად რომ კეშსავდა და თქვა: უკეთეს ცოლს ვერსად ვაშოვი. პატარა და კაქორწინდნენ. პირველად გული მწყდებოდა, ცუდად რომ მეცვა, მრცხვენოდა, ჩამოვარდნილი რომ დავდარდი. ახლა კი სანდის გეფიცები, მათი მადლობელი ვარ. ვინ აღარ გყოფილვარ ცხოვრებაში: თაისი გინდა თუ ზოია კოსმოდეშიანსკაია, სონია მარმელადოვაც კი ვიყავი. ისინი კი რაც იყვნენ, ამაღვე დარჩნენ.

პირველსავე წელს ტყუბები შეეძინათ. ქერა, თმახუჭუჭები იყვნენ, გოჭებივით ჩაპუტკუნებული და გოჭებივითაც ქვიროდნენ მთელი დღე შიმშილისაგან. სანამ პატარები იყვნენ, ძალიან მიყვარდნენ. ვაჰმედი, ვაბანავები, მოკლედ, სანამ ჯანმრთელი ვიყავი, მოვლა-პატრონობას არ ვაკლებდი, მაგრამ ექვს-ეჯვსი წლისა რომ გახდნენ, რაღაცაზე შევესწარი. აღმათ სეროიზული არაფერი იყო, უბრალოდ ბავშვურად ცელქობდნენ, მაგრამ ასე ჩემს სიცოცხლეში არ გავბრაზებულვარ. ახლაც არ ვიცი რამ განაცეცხლა. ისე ვცემე, სულ დედალილავე ორივე. ცეცომ შინიდან გამომავლო და მე ექიმ იურუკოვასთან გადავედი. მეზუ კი შენ შეგხედი, ანტონი, აი სულ ეს არის.

დოროთეამ თხრობა დაამთავრა და ხარბად მიეტანა ლიმონათს. ახლა ისე ვატანჯული და გაწანებული აღარ ჩანდა, პირველად რომ იყო. ის კი არაღა, რაღაც მხიარული ნაპერწკლებიც კი აუკიაფლა თვალებში. მე კი ისევ არ მქონდა მენტოვია გამოჩნლებული და კვლავ უტაქტობა ჩავიდინე:

- მშვენიერად იცი, რომ ეს ყველაფერი არაა.
- სხვა რაღა უნდა იყოს, ანტონი? — აღელდა იგი.
- ბიძაზე მიამბე.
- არა, — სკამიდან წამოდგა და დაიყვირა დოროთეამ.

არასოდეს არ მიანახეს იგი ასეთი. შერშინებული კი არ იყო, არა, შინაგანად დასაბული იყო, მკვდარივით გაფითრებული და ტუჩებმოკუმული.

- არა, — გაიმეორა მან, — გოზოე, ანტონი!
- რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, — არანაკლებ აფლული მეც, — თუ არ გინდა, არაა საჭირო.

ცოტა ხანს კიდევ ვისხედით და წავედით, მაგრამ გენება ისევ გავრფუჭო. იმ დღიდან რაღაც შეცვალა ჩვენი დამოკიდებულებაში, უფრო უბრალოდ და ბუნებრივად ვიყავით ერთმანეთთან, თვით ჩვენი ცხოვრებაც უფრო ბუნებრივი გახდა. დოროთეა აწითლებული, ქოშინით მორბოდა სამსახურიდან და მარჯალ ალაგებდა ბინას. საოცარი შეგრძნება მქონდა, თითქოს ნიეთები, რომლებსაც დოროთეა ეხებოდა, წონას კარგავდნენ და თვითონვე დგებოდნენ თავის ადგილას. ყველაფერს კითხულობდა, რასაც მოიხელოებდა ჩემი ბიბლიოთეკიდან, რომანების ვარდა. ზოგჯერ ისევ ნოტებს მიადგებოდა, მაგრამ ახლა მკვლავ ბურად აღარ იყო გატაცებული. ბოლო დროს მაგნიტოფონის ჩართვას მოუხშირა. ხანდახან საათობით მეკითხებოდა ხოლმე კომპოზიტორებზე, განსაკუთრებით — ჩაიკოვსკიზე. საგონებელში ვიყავი ჩავარდნილი, არ ვიცოდი: რა მემბნა და რა — არა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ჩაიკოვსკის ქორწინებაზე მეკითხებოდა. ყურადღებით მისმენდა და აღმათ თვითონვე ხედებოდა, რასაც მე არ ვუმხელდი. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეგონა.

ძლიერ შევიჩვიე. შინ რომ არ იყო, მოწყვნილი ვიყავი. არც ის მაკრთობდა, შემთხვევით რომ მომიხედებოდა ხელი ხელზე და არც ის, ხანგამოშვებით საათობით რომ დუმდა. არც ის მაშინებდა, გარინდებული რომ მისჩერებოდა ფრინველების ნავარდს. ყოველდღე ტერასზე ავდიოდი და მანამ ვისხედით იქ, სანამ ვარსკვლავები არ აკიაფდებოდა ცაზე. მხოლოდ ახლა შევამჩნიე, უამრავი ფრინველი ყოფილა ქვეყანაზე. ხეები კი იმაზე მეტიც ყოფილა, რამდენიც საჭიროა. მერცხლების გამორჩევა არ მიჭირდა, ნავარდით ვცნობდი. დოროთეა კი შესანიშნავი ორნითოლოგი იყო და ფრინველების შესახებ უფროს მეცნიერ მუშაებზე მეტი იცოდა. ფრინველების აღნაგობაზე უფრო მათი ბუნება და თვისებები იცოდა. ისე ლაპარაკობდა ფრინველებზე, როგორც ადამიანების ცხოვრებაზე. მათ ბედსა და ოცნებებზეც კი. და ეს სრულებითაც არ მიკვირდა. ზოგჯერ დამღამობით ყოველგვარი შიშის გარეშე ვფიქრობ-

დი, იქნებ მეც აღარ ვარ-მეთქი სრულ ჭკაზე. მაგრამ ისე გემრიელად ვცხოვრობდი, სხვა აღარა მინდოდა რა.

სავაზმოდ სხვაგან დავდიოდით, დანის ჯესტორნის ტურასი გქონდა არჩეული. დო-
როთეას მოსწონდა ეს რასტორანი, თუმცა არც სხვაზე ამბობდა უარს. სასაინოვნო ვაჭრობაში,
შოკაზმულ დარბაზში ჯდომა მისი ერთადერთი გასართობი იყო. შესანიშნავად მესმოდა დო-
როთეასი, მე ხომ მისი პალატა ვნახე საავადმყოფოში... ახლა უკვე დესტრუქციულად იყო:
შადიანად ჭამდა და ჩემს ხუმრობაზე იცინოდა. ეს კი იყო რომელიმე ტყვეობის პრეცედენტი
თუ შემოგვემატებოდა სუფრაზე, იღუშებოდა და მტრულად უცქეროდა.

სხვა შემთხვევებში უფრო აღურსიანი, მშვიდი და რაც მთავარია, უბრალო იყო. მისი
ოდნავ წვესებული ლოყების ნიხედვით თუ ვიმსჯელებდით, ცოტა მოიკეთა კიდევ. მახარებ-
და ეს ცვლილებები, მგეროდა, რომ დოროთეა თანდათან გამოჯანსაღდებოდა. ბოლოს და
ბოლოს, მას უკვე ბინა ჰქონდა და ჩემი აზრით ეს პატარა საქმე არ იყო. არც კი მინდოდა
მეფინტა რითი დამთავრდებოდა ეს ყოველივე, მთავარი დოროთეას საბოლოო გამოჯანმრთე-
ლება იყო.

იღვ დაღვა დღე, როცა ჩვეულებრივ ფული მიმტონდა ხოლმე ცოლთან. ამჯერად წინას-
წარ დავრჩედი ტელეფონით, ნიადაგი რომ მომემზადებინა. ლანძღვა-გინების თავი არ მქონდა.

— მომისმინე, ნადია, — მშვიდობიანად ვუთხარი. — თუ შეიძლება აუღელურ შენიშვნებს
ნუ მომცემ.

— იცი, რა გითხრა, გინდა მოდი და გინდა ნუ მოხვალ, თლომდ ულტიმატუმებს თავი
დაანებე.

დიდხანს ვფიქრობდი: უფრო ჭკვიანური ხომ არ იქნება, ფული ფოსტით გადავუგზავნო-
მეთქი. ბოლოს მაინც წავედი, ისეთი არ გახლავართ, მოვალეობებს რომ დაუძვრებიან ხოლმე.
რის ვაი-ვაგლაზით დავაჭირე თითი ზარის ღილაკს. როგორც ნადიამ მითხრა, თურმე ზარის
ხმა რომ გაუგონია, ჩვენი კატა ისარივით გამოქანებულია შესასვლელში. მეც კი ვავიგონე,
ჩახრინწული რომ ენათდა კართან. სასტუმრო ოთახში მოშორებით ჩაცუცქდა და საყვედუ-
რით მიცქეროდა. როგორც ჩანს, ჩემი საქციელის ვამთ საბოლოოდ დავკარგე ფასი მის
თვალში.

ნადიაც ჩემ მოპირდაპირე მხარეს დაჯდა. ახლა შეკამინიე, აუფთა, ახალი დაუთოვებელი
კოფთა გცვა, ჩუბტუბააც არა უშავდა. ძველებურად გაქანდა არ იყო. ჩემდა გააოცრად
ხმას არ იღებდა, ჩაფიქრებულ იყურებოდა წინ. ალბათ აღარც გახსოვდა, ყოველდღიური
წერალმანი საქმეები თუ უტრიალებდა თავში. გაბრაზებული ნამდვილად არ ჩანდა. ბოლოს
მომიბრუნდა და მითხრა:

— იცი, მე ვნახე ის შენი დამთხვეული.
აქობებდა, აენდგარიყავი და ფულიც არ მიმცეცა, ისე გავცლოდი. მაგრამ როგორც ყო-
ველთვის, ახლაც ცნობისმოყვარეობამ სძლია გაბრაზებას.

— სად? — გკითხე გულმოსულმა.

— გამომტევილობასთან დავუღარაჯდი.

ეს უკვე ნადი ნადია იყო.

— აქ სულ ცოტა ასი ქალიშვილი მაინც მეშაობს, — ვუბასუსე მე.

— კი, მაგრამ, მათ შორის მარტო ერთია დამთხვეული, ეს კი არც ისე ძნელი გამოსაე-
ნობია. აზრზეც არ მოსულა, ისე ჩაჯდა ტრანკვიში. უკან ავღუვანე, მინდოდა კარგად შემეთ-
ვალიერებინა. არა უშავს, ცუდი გოგო არ არის, ფესები კი ანკა შენი გემოვნების —
ძალზე წყრილი. შენთვის ქალი მარტო ფეხებისგან შედგება, ანტონი, დანარჩენს ვერაფერს
ამჩნევ. იმასაც ვერ ატყობ, თავი აბია თუ არა.

— შენ საერთოდ არასოდეს გტონია თავი, — ნაღვლიანად შევნიშნე მე.

— ეს არც ისე გონებასახვილურია, — მოულოდნელი სიმშვიდით მიპასუხა ნადიამ, — შე-
იძლება შენს ჭკაზე არა ჭკავს, მაგრამ კარგად ხარშავს. ეს შენი გოგო ძალიან მგრძობიარეა,
მაგრამ ჩემთვის არაფითარი ყურადღება არ მოუტყევია. გამალებული მოიჩქაროდა შინისკენ.
თქვენი გაჩერებიდან გამოიქცა კიდევ. მეც, რა თქმა უნდა, რაც ძალი და დონე მქონდა,
მოვსდევდი. ვთქვით, ის არანორმალურია, მაგრამ მე რა მრჩიდა, არ ვიცი. ისე, ქალები
ცოტ-ცოტა ყველანი დამთხვეულები ვართ. კაცებს არა ვგავართ. სანამ უკან მოვსდევდი, ლა-
მის შევიყვარე ის გოგო: ცარიელი, ქარაფშუტა, თავის თავზე შეფყარებული გოგო ასე არ
გამოიქცევა.

ჩემს სიცოცხლეში პირველად გავიგონე, რომ ნადიამ კარგი თქვა სხვა ქალზე. ან იქნებ დორთოთა სრულყოფილ ქალად არ მიაჩნდა, რაც კაცმა რომ თქვას, სწორი იყო.

— ჰო, ცოდოა გოგო — თანაგრძნობით თქვა მან, — რას უნდა მოელოდეს შენგან? შენზე უფრო ფრთხილი და ეგოისტი ადამიანი ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს. კანონიც შენს მხარეზეა...

უკონცხული
ბიზლიმთქა

მე გაოცებულმა წევსედე და ამან გააცოცხლა:

— რას მომჩერებხარ, ვითომ ვერ ჰგეგები რისი თქმაც მინდა. კანონის მიხედვით გიყზე ვერ დაქორწინდები და ამიტომ არც არაფერს აგებ. ეს ნერვების სასიამოვნო შედუღებებაა.

— რა სისულელეა, — ახლა მე ვავებრაზდი, — ასეთი რამ თავშიც არ წომსელია.

— მაწინ რაღას აეკიდ?

— რატომ ხარ ასეთი უხეშო. მინდა ღაფეხმარო და მეტი არაფერი.

— აჰ, ერთი ამ ფილანტროპს დაძიხედე?! — ნადიამ გასიამაღლებული მხერა ნომპყრო, — შენ შენი ანგარიში გაქვს. ნუ ბრაზობ, ეტყობა, აზრზეც არა ხარ, რას სწავლიხარ. გინდა ჩემი აზრი ვითხრა? დაეყოფნებლივ ჩამოშორდი. წარმოადგენაც არა გაქვს, რა ადამიანია. ხომ იცი, სადაა გაჩერება, პოდა, იქიდან დამდუღრულივით მოხბოდა თითქმის ნახევარ კლომეტრზე. შუა გზამდე გსდევ, მერე გაეჩერდი, გუნებაში შევეკორობხე და გამოებრუნდი. საკუთარი თავის შემტრება, ვინც არ უნდა ყოფილიყო, შერცხვებოდა.

— ამიტომ ხარ დღეს ასე გამობრანჭული? — ვკითხე მე.

— დიას, ადამიანი საკუთარ თავს უნდა სცემდეს პატივს, თუნდაც იმ ერთი წვეთი ადამიანობისათვის, რომელიც მას გააჩნია.

ამით დამთავრდა ჩვენი საუბარი. ან რაღა უნდა გვეთქვა ერთმანეთისთვის? რაღა იყო დარჩენილი ჩვენ შორის? ჯიბიდან ფული ამოვიღე, მაგიდაზე დავდე და უხერხულად გავიქიმიე.

— ბიჭზე რატომ არაფერს მეკითხები? — შემომხედა მან.

— ჰო, როგორ არის?

— როგორ არისო, კითხულობ? მოსგლა არ ისურვა, ყვირილი დაიწყო: ბებიასთან მინდა, ბებიასთან დავჩრებო. ბებიასთან მოინდომა ცხოვრება. მე ხომ ვიცი, ვისაც დაემსგავსა მამაკაცებს ყველას, ან თითქმის ყველას გეშინიათ, ანტონი, ნამდვილი ქალების. რატომღაც გგონიათ, რომ ასეთ ქალებს ვერ გაუგებთ და არც გამოგადგებიან. აი, ბებები კი სხვა საქმეა. ჩემი კეთილი დედიკო ისე შეუწყობს ხელს, რომ მეტისმეტად გაანებივრებს.

— მოდი, დედაჩემთან გადავიყვანოთ, — შევთავაზე მე. — ბავშვობაში გვარიანად მიბათქუნებდა ხოლმე.

— არც ცემია ყოველთვის საქირო, — შემეპასუხა ნადია, — კარგი წალი, არ მიყვარს ასე გამოლენჩებული რომ დგახარ.

მე კარისკენ წავედი. კატამ გამაცილა. ეტყობა, გაოცებული იყო, გერაფრით ვერ გაეგო, რა არ მომწონდა აქ. საწოლი მოხერხებულია, ცოლი ახალ ხბოს ხორცს ყიდულობს, თუშკა ზოგჯერ იმდენ ხაზესა და პილპილს უშვება კატლეტებს, რომ ცხვირთან ვერ მიიტან. მაგრამ ეს მაინც არ არის მიზეზი, რომ ამ სულელს უბინაო კატებივით სასურავზე იძანოს კაცმა. დავიხაზე, კატას ხელი გადავუხვი და მიუღაცებელი შესასვლელიდან გამოვეარდი. მაშინ ფიქრადაც არ მქონია, რომ ბევრი მოსაწყენი თვე გაივლიდა და ისეც ამ სახლში გამოვჩნდებოდი.

ზაფხული უფრო და უფრო მცხუნვარე ხდებოდა. დილდობობითაც კი საშინლად დახუთილი იყო ჰაერი. დორთოთა სამსახურიდან გაწუწული ქათამივით ბრუნდებოდა. მაგრამ ამას აინუნშიც არ აგდებდა. საერთოდ წვრილმან უსიამოვნებებს ყურადღებას არ აქცევდა. მე კი სულ მთლად აეღე ხელი სამუშაოს. როიალის ვახურებულ კლაფიშებსაც არ გავკარებდვარ. მიუხედავად ამისა, მშვიდად ვიყავი: ცარიელი საწოტო ფურცლებს დარდი არ მქონდა, დრო შოვა და შეივსება-მეოქი ხაზებიცა და წერტილებით. ბოლოს და ბოლოს ხომ აქვს ადამიანს უფლება, თავის თავს ეკუთვნოდეს! იმ თვეში ხშირად დავდიოდით წყალსაცავზე. დილაადრიანად მივდიოდით, გათენებამდე. სასიამოვნო იყო სრული სიჩქარით ქროლვა, მანქანისაგან გაკვეთილი ჰაერის ნაკადი სახეზე გველაშენებოდა. ერთმანეთზე მიყოლებით იკვებებოდა დილის მზის სხივებით განათებული შორეული მწვერვალები. ვზადავთ ტბები გვხვდებოდა. ტბების თავზე გამჭვირვალე ნისლი მოლავდა. რა თბილიც არ უნდა ყოფილიყო დილა, ტბის წყალი მაინც უფრო თბილი იყო. ტბის სიღრმეში თევზები გალურსულიყვნენ. მაგრამ მე ეს უკვე აღარ მაინტერესებდა, ანეესიც კი არ დამქონდა თან. ჩემ გარდაც ბევრი იყო თევზაობის მოყვარული.

გენერალმა კრისტევიმა შეებულემა აიღო და დეიდა ზორკასთან ერთად ავარაკზე ცხოვრობდა. საღამოს უზარმაზარ კაუჭზე სატყუარასა და სხვა წვრილ თევზებს წამოაგებდა და ნაპირთან ჩაპყიდებდა ხოლმე. დილით კი იძახულა თევზებს ამოათრევდა, რომ ვაოცებულნი და გახარებული ათვალიერებდა, თითქოს ზღვის ურჩხულები დაეჭიროს. დეიდა ზორკა ხეთში წვაგდა თევზს და ზედ თავისსავე მომზადებულ უგემრიელეს ცივ ნაიონებს ასხამდა. დოროთეა აღრე პირს არ აკარებდა თევზს, ახლა კი შეეჩვიოდა და სიამოვნებითაჲს მძინარეობდა. ყველანი მადიანად გეახლებოდით. ზოგჯერ გენერალთან ერთად თითო ქაქა ბუბუ-სეხის სუქანსაც ვაყოლებდით ზედ. ნეჩვენებოდა, რომ დოროთეა ჩვენი გაცნობის პირველსავე დღიდან ბედნიერად გრძნობდა თავს. გენერალი და მისი ცოლი ძალზე შეეჩვივნენ დოროთეას. საკუთარი შვილები არ ჰყავდათ, მაგრამ მარტო ამით არ აიხსნებოდა დოროთეასადმი მათი სიყვარული. როგორც ჩანს, გენერალმა ყოველგვარი ცნობა შეაგროვა მასზე. ისეთი სამსახური ჰქონდა, ვალდებულიც იყო, ყველაფერი სცოდნოდა. ყოველ შემთხვევაში, არც ერთხელ არ უკითხავს ჩემთვის, ვინ არის და რად გეკუთვნისო. ზორკა დეიდა კი თავისი მგრძნობიარე გულით ნამდვილად ხვდებოდა, რომ ის ჩემი საყვარელი არ იყო. ორივენი ლეკვებივით დასდევდნენ უკან და რას არ აკეთებდნენ მისი სიამოვნებისათვის. უცნაური ეს იყო, რომ დოროთეას არ ეხამუშებოდა ასეთი გადაჭარბებული ყურადღება, სავსებით ბუნებრივად მიაჩნდა, რადგან მათ სიყვარულს თვითონაც ასეთავე სიყვარულით პასუხობდა.

ერთ დღეს საბანაო კონსტიუმებით ვიწვევით ტბის ნაპირზე. ასეთი მშვიდი და ნათელი სუ-ლი ამჟამად თუ ნქონია ცხოვრებაში. უცბად უკან რაღაც შარიშური მომესმა — დოროთეა კრემს ისვამდა მზის მოსაკიდებლად. ბოლო თვეს მაგრად მოეკიდა მზე და შეგვკრემან სახეზე ბრალიანტებივით უბრწყინავდა თვალები.

— მომეცა, ნე წაგისვამ, — გუთხარია მე.

ეს ჩემდა უნებურად წამომცდა. დოროთეამ გამიღინა და ფლაკონი მომაწოდა. ერთი ბეწო დავისხი სელისგულზე და მის გამხდარ, გარუჯულ ბეჭს შევეხე. ცხადია, დენს არ დაურტყამს. მშვიდად წაფუსვი ზურგზე სქელი, ცხიმოანი სითხე, ყოველგვარი სიმორცხვისა და შინაგანი თრთოლვის ვარეშე.

— რა კარგი ხარ, ანტონი, — მითხრა მან.

— ისეთი მაინც არა ვარ, შენი დეიდა ზორკა რომ არის, — გავეხუმრე მე.

— ისინა ორადენი ისე კეთილებია! — თქვა დოროთეამ სერიოზულად, — იმიტომ რომ, ორივე უბედურია.

— რატომ გგონია?

— მაგათ ხომ შეილება არა ჰყავთ.

ავარაკზე გვიან საღამომდე ვრჩებოდით. ვივახშმებდით, მიცხვრიდან გამოდებულ ერთ-ორ ბოთლ ლუღს ვადავკრავდით და შინ ვბრუნდებოდით. თითქმის ღამე წამოვლიოდით ქა-ლაქში, მაგრამ მაინც აუტანლად დახუთული ჰაერი, ასფალტისა და მტვრის სუნი ვვხვდებო-და. შინ შესვლას არ ვჩქარობდით და ტერასზე ავდიოდით. იქ ფეხშიშველა ნიავი სახურავებზე დარბოდა და მსუბუქად არხვდა ანტენებს. ტერასზე ვიწვევით და გრად ჰაერს ვისუნთქიე-დით. უმეტესად ვდუმდით. იმ შინაგან სიმშვიდესა და სიწყნარეში ვიყავით ჩაძირული, რომელიც ასეთ ღამეებში მხოლოდ თვინაერ მცოხნავ პირუტყვებს სჩვენიათ. ამიტომაც გამიკ-ვირდა, მოულოდნელად რომ მითხრა დოროთეამ:

— ანტონი, ვინდა ბიძაჩემზე გიამბო?

— რასაკვირველია, — დავეთანხმე მე.

— ოლონდ, მეშინია, ანტონი.

— რასი?

— შენც არ ვადმოგედოს... ასეთი რამით სულს დამძიმება ძნელია.

— მამაკაცისთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს, დოროთეა.

— აქვს, — მწარედ მითხრა მან.

სანამ თხრობას დაიწყებდა, დიდხანს დუმდა.

— ბებიანე ხომ გიამბე. ანტონი? ძალიან ბეზარი იყო, ფეხებს ძლივს დაათრევდა. იშვი-ათზე იშვიათად, ისიც გაზაფხულზე თუ გამოვიდოდა გარეთ და მაშინ კი საათობით იჭდა ზღურბლზე. ვერაფერს მაგებინებდა. არც ერთი ქილი არ ჰქონდა და ისე ლაპარაკობდა, თით-ქოს ფაფითა აქვს პირი გამოტენილიო. აბანოში არ დადიოდა. ან როგორ უნდა მიედწია იქამდე? რა თქმა უნდა, ცეცოს რომ მოენდომებინა, აბანომდე კი არა ქვეყნის კიდემდე მი-იყვანდა ხელში ატატიბულს, მაგრამ როგორც ჩანს, ზედმეტად მიაჩნდა. თვითონაც ერთი

ორჯერ თუ ბანობდა წელიწადში. ძალად აგდებდა ხოლმე დედაჩემი აბანოში. „სუფთა სამიწათ მაქვს და თვითონაც სუფთა ვარ“. — იმართლებდა თავს ცეცო.

ზაფხულში ხანდახან დედა ბანდა ხოლმე ბებიას თავს. ცხელი წყლით სავსე ტაშტი, ჩაიდან და უბრალო საბინი, ეს იყო და ეს. კარგად გაუსაბნავდა თავს და მერე ჩაიღნიდან წყალს გადაავლებდა. ერთი ბეწო გაუხდებოდა ხოლმე თავი ბებიაჩემს, მტკნარ მწკნარ წყურით ჩამოსდიოდა წყალი. ბებია იომენდა, ზოგჯერ კი კამეჩივით აფრუტუნებდა მისი წყალს აქეთ-იქით აშხეფებდა. დედაჩემი ბრაზობდა და როგორც შეეძლო ლანძღავდა. ერთხელ დედამ დაინახა, რა მარჯვედ ვაბანავებდი ტყუბებს და ბებიაჩემის თავის დაბანაც მე მომანდო. საბნის ნამლევა მომაჩეჩა და თვითონ სადღაც წავიდა.

არასოდეს არ მიფიქრია, ანტონი, ეს ასეთი საშინელი რამ თუ იქნებოდა. როგორც იქნა, გავუსაბნე თავი, მაგრამ ხელი რომ უნდა წამესვა, საშინელი ზიზღი ვიგრძენი. ახლაც ვერ ამიხსნია, რატომ დამემართა ასე. საბინი მოვისროლე და თავქედმოგლეჯილი გამოვვარდი გარეთ. მეჩვენებოდა, რომ უკან გაწუწული საშინელი ბებია მომდევდა და სადაც იყო ნაწინავებში წამავლებდა ხელს. არ ვიცი, რამდენ ხანს ვარბინე და საით. ბოლოს გონს მოვეგვი. ვიფიქრე: ვაითუ საბნისანი წყლით დაადრჩო-მეთქი და ისევ მოეწედი ადგილიდან. ახლა უკვე სახლასკენ გავრბოდი. ბებიას არაფერი მოსვლია. სამზარეულომდე მიფიქროსებულა, იჭდა იჭ თავდასაგელებული და ტიროდა. ცეცო რომ დაბრუნდა, გამლახა. დედაჩემმა კი ბარგი-ბარხანა ამიკრა და ბიძაჩემთან განისტუმრა.

ბიძაჩემი გულთბილად შემხვდა. ხემა ამბავი რომ მოვეუხვეი, თანამივრძნო. ყველაზე საშინელი ის იყო, ანტონი, რომ ბიძაჩემი შუაზე გაჭრილი ვაშლივით ჰვავდა მამას. ოღონდ ის ბევრად უფროსი იყო, მთლად გამელოტებულა. მამაჩემივით გამხდარი არ იყო, მაგრამ ისეთი წაწვეტიებული ნიკაბა ჰქონდა, თითქოს ნიკაბი სფეროდ არა აქვსო. რატომღაც ზღვის გოჭს მაგონებდა, თანაც ისეთ ბებერს. ცხოვრება რომ მობეზრებია უყვე: თბოსუმასაც ვამსგავსებდი, თუმცა ასეთი ცხოველი თვალით არ მენახა. ეს კი მეგონა, თბოსუმა უკანა თათებზე თუ დადგება, მუცელი პატარა ტომარასავით ჩამოეციდება-მეთქი. ზუსტად ასეთი გარეგნობა ჰქონდა ბიძაჩემსაც. ორი წინა კბილი ქვედა ტუჩზე ჰქონდა გადმოდებული. ერთი პირთბა ისიც ავიკვიატე: ბიძაჩემი ალბათ აღამიანთა თავებოთ იკვებება-მეთქი. ტვინს ამოწუწუნის და მერე დაცლილი ქოქოსის კაკლებივით ფანჩრიდან გადაყრის-მეთქი. სხვა საშინელი სურათებიც შეხატებოდა თვალწინ. მეჩვენებოდა: თითქოს არც ძელები ჰქონდა და არც ხორცი, რაღაც უფორმო სხეული იყო. ზოგჯერ ქიაველასავით წაგრძელებოდა, ზოგჯერ კი თითქოს სივდებოდა და გაყინულ შესქელებულ მასასავით ავსებდა მთელ ოთახს, კვამულისიდან კუნტულამდე. შინისაგან სული შეპარებოდა, მაგრამ სად უნდა გაქცეულიყავი: შინ ბებიას გამოგერ მიეპრუნდებოდი.

ისე კი ცუდი კაცი არ იყო, ანტონი. ღვთისმოსავი და კეთილი იყო. ზამთარში ნამცეცებს გაუმთფერთხავდა მაგიდიდან და ბელურებსა და მტრედებს უყრიდა. ძალიან უყვარდა მტრედები, ვფერებოდა და ნაზად უსვამდა ხელს. ოღონდ ამ დროს რაღაც უცნაურად უფლავდა თვალები. ან საერთოდ რითი იყო ცუდი? თვალები მედამ მამასავით ეცრემლებოდა ხოლმე. იქნებ იმიტომ, რომ ისიც ცოლმა მიატოვა? ნარტონი ვცხოვრობდით მთელ სახლში. არა, სახლში კი არა, მთელ სართულზე, მაგრამ არც ესაა ცოტა. ბიძაჩემი ისეთი უბადრუკი და ცულისანრევი იყო, ნეცოდებოდა ხოლმე. მაშინაც კი მეცოდებოდა, როცა ახველებდა ან ქსუტუნებდა და ცხვირს იხრიავდა. სასაცილოდ იცოდა ცხვირის მოხოცვა: მთლად გალურჯდებოდა და ოვალები თითქოს შუბლზე ამოუცვივდებოდა. სულ იმას ვფიქრობდი: ხელამდე ვერ გააწევს-მეთქი, მაგრამ ის ახლაც ცოცხალია და შეიძლება ხანიც არ დატყობია. უნდა გითხრა, რომ მამას არ უყვარდა ბიძაჩემი და არც არასდროს დავყავდი მასთან. ბიძაჩემი საოცრად მშინშარა იყო. რიდასი არ ეშინოდა: ცხენების, ძაღლების, ელვის, ავტობუსისაც კი, ავტობუსებიც თავს არიდებდნენ. არ ვიცი რატომ, იქნებ ავტობუსებსაც ეზიზღებოდათ ბიძაჩემი. ერთხელ, ბიძაჩემი რომ შენიშნა, ისე მოტრიალდა ავტობუსი, რომ პირდაპირ ვიტრინაში შეიჭრა. ამბობდნენ, მოყინული იყო და მუხრუჭებმა უმტყუნაო, მაგრამ მართალი არაა. უბრალოდ ბიძაჩემთან პირისპირ შეყრას მოერიდა.

ამას იმიტომ ვეუბნები, ანტონი, რომ ნეც მეშინოდა მისი. თმაზე რომ გადამისვამდა ხელს, ბაჭიასავით ვიბუზებოდი. ზოგჯერ მუხლებზეც მეფერებოდა. მაშინ თვალები უშტერდებოდა და თითქოს უოფლიანდებოდა კიდევ. მე იმ ოთახში დავბინავდი, სადაც ადრე ბიცოლა ცხოვრობდა. თავდაპირველად იქ თავგებია ბუდედ გადაქცეული ერთი დავლეჯილი

ლები, ვარდა არაფერი იყო. მერე ბაძაჩემმა საბანი მომიტანა, ზურები, მაგილა, კიდეც რა-
ღაც-რაღაცები, და უფრო კეთილი გასდა ჩემ მიმართ.

მე მაინც აფორიაქებული ვიყავი, თუმცა თვითონაც არ ვიცოდი, რისი მეშინოდა, არაფე-
რი ცუდი არ გაუკეთებია. ეს იყო, რომ ღამისათვის კარს ეკან მასი ნაბიჯების ხმა შეს-
მთდა. ფრთხილად დადიოდა თითის წვერებზე და ზოგჯერ კატის კნუტივით ამოიკნულვდა
ხოლმე. არა, ეს არ მეჩვენებოდა. შიშისაგან სუნთქვაშეკრული ვიწევი და დამაბნელებლად
ვიყავი გადაქცეული. მაშინ სხვა რამე აზრადაც არ მომსვლია, ანტონი, სულ მძის ვფიქრობდი:
შეც გამიხვრიტავს თავს და მერე დანჯრიდან მოისვრის ქოქოსის კაკალივით-მეთქი.

იმ დღეს ცა ნაცრისფერი იყო, ზუსტად ასეთი, შემოდგომაზე რომ იცის. წერილი წვიმა
ცრიდა. ბიძაჩემმა ახგენზე ასვლა მთხოვა, რაღაც ქვითრებიანი კონვერტი უნდა მოეჭებინა,
რომელიც ვითომ რომელიღაც აველ ჩემოდანში ჩაეგდო, მაშინვე მიეხვდი, ანტონი, რაც უნ-
და მომხდარიყო. მიეხვდი, მაგრამ ეს ვერ გავიგე, სხვენზე აძრომა რა საჭირო იყო, როცა აბ-
ლონახლო სულელების ჭაჭანება არ იყო. რაც არ უნდა მეყვირა, ვერაფერს ვაიგონებდა. „აბ-
ღათ დამახრჩობს და მერე ძელზე ჩამომჭიდებს, ვითომ თვითონ ჩამოვხრჩვე თავი“ — გამიელ-
ვა უცბად გონებაში. ხომ არ გგონია, ანტონი, ისე ვიყავი შიშისაგან მოჯადოებული, რომ არ
ვიცოდი, რას ჩავდიოდი, არა. უკვე ცოტა გამიარა შიშმა, შენეძლო კიბეზე დაეშვებულყავი
და შეველა მეთხოვა, მაგრამ აქ არ მოვიქცეო. ფერძნობდი, როგორ განკლებდა ბიძაჩემი
და საშინლად შემეცოდა. არასოდეს არ მაგრძენია ასეთი სიბრაღული და თანაგრძნობა სხვის
მიმართ. პირდაპირ გულა მდებრიწებოდა ტკივილისა და სიბრაღულისაგან, თავთი სუსტი,
სახიზღარი და ებღღური იყო ბიძაჩემი. შენდევში ასეთი სიბრაღული კიდეც ერთი გოგონას
მიმართ ვიგრძენი: ერთ პალატაში ვიყავით ყქინ იურეკოვასთან. ის საოცრიად კეთილი და სა-
ყვარელი იყო, სულ პოლად ნორმალური. მხოლოდ ღამისათვის ესაზმრებოდა, უიათონ ვირთ-
ხები ესხმოდნენ თავს და საშინლად აყვირდებოდა ხოლმე. ძლივს ვაღვიძებდი და რის ვაივა-
გლახით ვაჭერებდი, რომ არავითარი ვირთხები არ არსებობდნენ. ამდენი განცდებისაგან სა-
შინლად გავხვდი. იურეკოვა მიხვდა ყველაფერს და სხვა პალატაში გადაამიყვანა.

აი ახლა ხომ ყველაფერს მიხვდი. ალბათ ნორმალური ადამიანები სხვანაირად იქცევიან,
მე კი ასე დამეშარათა. ისე აუცილ სხვენზე, თითქოს საწამებლად მივდიოდი. ბნელოდა და
დაობებული ძონძების მყრალი სუნი იდგა. როცა ბიძაჩემი ჩემკენ გადმოიხარა, მე შევქანდი
და გონება დავკარგე. მგონი ამან გადამარჩინა კიდეც. ის ჩემზე მეტად შეშინდა. მახსენდება
როგორ ცახცახებდა, ველარც ზელს ანძრევდა და ველარც ფეხს. შეიძლება ეს სულაც ჩემი
წარმოსახვაა.

ცა სიშავემდე წიწვი იყო. აღწერილი სიბრძნე იდგა. აჩქრე კი არა, რაღაც წარმოუდგე-
ნელი მდუმარება, თითქოს უფსკრულს შთავეწიქე. შეძრწუნებულა ძლივს ვუგრადი თავს
სიტყვებს, რომელთა ჭეშმარიტი შინაარსი თითქოს დამვიწყნოდა. ადრე მეგონა, რომ ყველა-
ფერი, ან თითქმის ყველაფერი ვიცოდი ადამიანებზე საკუთარი გამოცდილებით თუ წიგნე-
ბის საშუალებით, მაგრამ ახლა მივხვდი, რომ წიგნები და სიტყვები პინამღვილეს ნაკლებად
გამოსატყვენ, ან არ ძალუქათ მისი გამთხატვა.

- გული დავიმშიმიდა. არა, ანტონი?
- რატომ უნდა დამშიმებოდა? — კაბავითვე ვუბასუხე მე.
- შენ ხომ ყველაფერი გადმოგვიცა!
- მაგაზე ნუ დარდობ, ეს მხოლოდ შენ გაწამებდა. სხვებზე კი არავითარი ძალა არ
აქვს.
- რა კეთილი ხარ, ანტონი.
- არა, დორბოტეა, მე არ მინდა კეთილი ვიყო, იაეთი, შენ რომ მიგაჩნია კეთილად.
- გინდა შეება იგრძნო? ძალიან... ძალიან იგრძნო?
- არა, არ მინდა, — მტკიცედ ვუბასუხე მე.

რად მინდოდა, შეება რომ მეგრძნო, რაში მჭირდებოდა? ან რისგან უნდა დამეღწია თავი?
პირიქით, უნდა მეზიდა ის, რაც თავს დამატყდა, ისე უნდა განევარჯარებინა, რომ მის
სივაშკაშეს წყვედიადი გავეყვითა. მიყვირდა, როგორ ვცბოვრობდი აქამდე ასე უზრუნველად
და უდარღულად. დორბოტეა, ეტყობა, არც ვაეგონია ჩემი ნათქვამი, შემოხრწუნდა და ვაშქ-

რიახი მზერა მომაპყრო. ჯერ ერთი ბნელოდა და დორითვას ვერ ვხედავდი, თანაც ფიქრებში ვიყავი ჩაძირული, მაგრამ მისი მზერა ვიგრძენი.

— ადენი, ანტონი, — წყნარად მოთხარა მან, — და ნუ შეგეშინდება, ცუდს არაფერს შეგამთხვევ.

მე მოჩრჩილად წაშოდექი.

— მომეცი შენი ხელი.

ხელი გავუწოდე. მისი თითები ნოვლოდნელად თბილი და ძლიერი მეჩვენა.

— ახლა კი ცას ახედე ანტონი შენ უნდა შეეჩვიო ცას.

ცას შევეჩვიო? რატომ უნდა შეეჩვიოს ადამიანი ცას? მივჩერებოდი ცას და ახლა ის ისე დაბლა მეჩვენებოდა თითქოს გოლიათი ვყოფილიყავ და შეწვდომა შემძლებოდა. ცა დაბალი იყო, შავი და უჩვეულოდ ცივი, მაგრამ გარსკვლავები ისე დამაბრმავებლად კაშკაშებდნენ, რომ ჩემდაუნებურად თვალება მოვჭუტე.

— მალე გასაოცარ სიმსუბუქეს იგრძნობ, ანტონი, თითქოს შავროვანი გახდები... ჩუმად... მხოლოდ ეს მოთხარე, სიმსუბუქეს გრძნობ? ჰო თუ არა?

— ჰო, — ეუბანახე ცოტა მოგვიანებით.

— აი, აფერინდით კიდევ, ანტონი. მოადუნე ტანი, მოადუნე... მეგეტრად ნუ მოძრაობ და რაც მოაგარია, ნურაფერზე ფიქრობ... შორია, ბედნიერებას ვისურვებ!

მისი ხმა საოცრად წყრილვებდა და მელოდურად ეღერდა. არც კი მაგრძენია, როგორ მოვწყდით ტერასს. სულ მალლა, მალლა მივეჭრდი. ქვევით ქალაქის ჩირაღდნები კრთოდნენ. ზუბატალ იაც მოჩაღდნენ, როგორც აეროდრომიდან დაშვებული თვითმფრინავიდან ჩანს ხოლმე. თითქოს მიძიად ჩირაღდნებში მივეჭრდი. ეს მაინც არ იყო ფრენა. ეს არ დაფრინავდით, ვნაგარდობდით, როგორც ფრთაღონიერ ფრინველებს აჩვევიათ. საკუთარ სხეულსაც ეგრძნობდი და პაერსაც, წყალივით რომ მეახურებოდა ზედ.

— ხომ არ გეშინია, ანტონი? — შეათხარა დორითვამ, — ჰო თუ არა?

— არა, სრულებითაც არა!

— გინდა, უფრო მალლა ავიღეთ?

— ჰო... ჰო!

გარსკვლავებისკენ მივეჭრდი, რომლებიც უფრო და უფრო დადუღობდნენ და კაშკაშებდნენ. ქარიშხალი მეხვთქებოდა ხახვზე, შუბლი გამეყინა, წესტოები დამებერა. იმ წამში არც ეგრძნობელი ვიყავი და არც უსხეულო. დორითვას ხელი ეფრო და უფრო ცხელი და ძლიერი მეჩვენებოდა და რაც შეეძლო მაგრად ბლუჯავდა ჩემს ხელს. მერე ქარიშხალს ჩაღვა, პაერი კი ყინულივით გაცივდა. ჩვენ ისევ მალლა დავნავარდობდით, მაგრამ ახლა მხოლოდ გარსკვლავებსლა ვხედავდით, აღმასებუით რომ მჭრიდნენ თვალს.

— დორითვა, მიწა სადაა?

— ჩვენ ქვევით, ნუ გეშინია ახლა გულაღმა დავფრინავთ.

